"24 საათი" აღმოსავლეთ ევროპის
"ახალგაზრდა პრესა 2004"-ის კონკურსის გამარჯვებულია!

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 16 თებერვალი, 2004 წელი. №38 (587)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### მთავრობის სამოქმედო პროგრამა

გუშინ მთელი დღის განმავლობაში ზურაბ ჟვანიასთან მომავალი მთავრობის პროგრამაზე მუშაობდნენ.

A3

## ეკონომიკა

### საქართველოს საგარეო ვალი 4 მილიარდ ლარს აღწევს

იმ მემკვიდრეობაში, რომელიც საქართველოს ახალ ხელისუფლებას ერგო, არის საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ვალები, რომელთა საერთო რაოდენობამ, 2004 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, 3 მილიარდ 907 მილიონ 208 ათასი ლარი შეადგინა

A4

## უცხოეთი

### რუსეთს სისხლიანი არჩევნები უახლოვდება

“ეს იქნება ყველაზე სისხლიანი საპრეზიდენტო არჩევნები თანამედროვე რუსეთის ისტორიაში,” - აცხადებენ რუსი პოლიტიკოსები. მოსკოვი დღითი-დღე დენთის კასრს ემსგავსება. ქუჩებში მომრავლდა სამხედრო პატრული, მაგრამ სპეცსამსახურების მოჩვენებითი გააქტიურება დაუცველი მოსკოველებისათვის ვერაფერი ნუგეშია.

A5

## საზოგადოება

### ედუარდ შევარდნაძე: "ფერო" საქართველოსია, ყველასია, მათ შორის ჩემიც

ვაცხადებ: მე "ფეროზე" მაქვს ამაგი და ისე, როგორც ყველა ზესტაფონელს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, შემიძლია ვთქვა: "ფერო" საქართველოსია, ყველასია, მათ შორის ჩემიც.

A6

## სამართალი

### "კანონიერი ქურდი" საკუთარ უფლებებს სასამართლოს გზით იცავს

ახლახან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა “კანონიერ ქურდებთან” ბრძოლის ერთ-ერთ გზად მათი, ასე ვთქვათ “გაფუჭება” მიიჩნია. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი კრიმინალური ავტორიტეტი თუ “ქურდობას” უარყოფს, თანამოსაქმეთა შორის ის ყოველგვარ ავტორიტეტსა და რეგალიებს კარგავს...

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 4 | ☁ |
| ქუთაისი | 4 | ❄ |
| ბათუმი | 3 | ❄ |
| სოხუმი | 1 | ❄ |
| ფოთი | 3 | ❄ |
| თელავი | 2 | ☁ |
| ზუგდიდი | 3 | ❄ |
| გორი | -2 | ☁ |
| ახმეტა | 3 | ☁ |
| ჭიათურა | 1 | ❄ |
| გაგრა | 1 | ❄ |
| სამტრედია | 3 | ❄ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0600 |
| ევრო | 2.6397 |
| გირვანქა სტერლ. | 3.8986 |
| რუბლი | 0.0722 |

# ახალ მინისტრთა კაბინეტზე, საკადრო პოლიტიკაზე და არა მარტო მათზე

დავით ზურაბიშვილი

პოსტრევოლუციური მთავრობის ფორმირების ოდნავ გაჭიანურებული პროცესი, როგორც იქნა, დასრულდა. მინისტრთა კაბინეტი დაკომპლექტებულია. დარჩა მხოლოდ საპარლამენტო არჩევნები, რომლის შედეგები, ფაქტობრივად, წინასწარ ცნობილია და რის შემდეგაც ახალი ხელისუფლება უკვე სრულად აიღებს ხელში მართვის სადავეებს. თუმცა, ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას: ეს მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ იქნება ისეთი, როგორიც ადრე იყო.

აქ ლაპარაკი არ არის კონკრეტულ პიროვნებებზე, მიუხედავად იმისა, რომ წარდგენილი მინისტრების პერსონალური შემადგენლობა საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურება. უფრო მეტიც, პერსონალიების თვალსაზრისით, ეს ყველაზე უკეთესი მთავრობაა პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიაში, მაგრამ მთავარი მაინც სხვაა.

გაგრძელება A8 გვერდზე


ზაალ გულაშვილის ფოტო

ახალი მინისტრთა კაბინეტის წარდგენა.

# "ვარდთა და ნეხვთა..."

რევაზ საყევარიშვილი

შპს "საქართველოს რკინიგზა", სააქციო საზოგადოება "მადნეული" და ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური სახელმწიფოს კუთვნილი ის სამი ვეშაპი იყო, რომელთა ზურგზე ნებივრობასაც შევარდნაძე და მის გარემოცვა ძალაუფლების დაკარგვამდე ვერ შეელია. არც შეელეოდა, რომ არ გაეშვათ. საბედნიეროდ, მაინც გაუშვეს და სამივე მონსტრი ძველი პატრონის გარეშე დარჩა. შემდეგ კი ყველაფერი ნაცნობი სცენარით წავიდა და, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, უპატრონო ეკლესიის დაპატრონება ეშმაკებმა სცადეს. და არა მარტო სცადეს, უკვე ეპატრონებიან კიდეც.

### პრელუდია

15 დეკემბერს სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ საგანგებო პომპეზურობით საქართველოს რკინიგზის ახალი სამეთვალყურეო საბჭო წარადგინა - ორგანო, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი და შემოსავლიანი ბუნებრივი მონოპოლიის რეფორმირების ძირითადი ინსტრუმენტი და გარანტი უნდა გამხდარიყო. "საქართველოს რკინიგზა უნდა გახდეს მოდელი იმისა, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ქვეყანაში სახელმწიფო ქონების მართვა," - ასეთი გახლდათ სახელმწიფო მინისტრის ანონსი, რომელიც, საბოლოოდ, სიმართლისგან შორს ნამდვილად არ აღმოჩნდა: რკინიგზის გარშემო მომხდარმა მოვლენებმა ნამდვილად ცხადყო, როგორ აპირებს ახალი ხელისუფლება საწარმოთა მართვას. ამ საკითხში ის, ჯერჯერობით, თავისი წინამორბედის სრულფასოვანი მემკვიდრეა: შეიცვალა სახელები, შეიცვალა გვარები, მაგრამ იოტისოდენადაც არ შეცვლილა თამაშის წესები - მხცოვანი ბაბუს საოჯახო სამზარეულოში მოხარშული ხორაგის ნასუფრალი სუფრაზე გვიან შემოსწრებულთათვის არანაკლებ მიმზიდველი და იგივე ფორმით სახრავად სავსებით მისაღები აღმოჩნდა.

### ... და "კუკუშკა" მიგვაქროლებს წინ!

შევარდნაძის "ყულაბის" - აკაკი ჩხაიძის "გატეხვის" შემდეგ ნამსხვრევების გატანა 15-კაციან სამეთვალყურეო საბჭოს დაევალა. თავის მხრივ, საბჭომ უპირველეს მიზნად აბსოლუტურად ლოგიკური ამოცანა დაისახა - მოეძებნა ადამიანი, რომელიც ამ ნაგვის გატანას სათავეში ჩაუდგებოდა. გენერალური დირექტორის პოსტზე გამოცხადებული, კარგად აფიშირებული და ყოველმხრივ შეხურებული კონკურსი ნამდვილად გამჭვირვალედ და საზოგადოების მხრიდან სერიოზული ყურადღების ფონზე ჩატარდა. საბოლოოდ, თავდაპირველი 25-კაციანი ნუსხიდან მეთვალყურეებმა კანდიდატთა ოდენობა ოთხამდე "დაამოკლეს", თან არ დავიწყნიათ განსაკუთრებული ხაზგასმა, რომ ოთხივე - დარგის გამოცდილი პროფესიონალია.

გაგრძელება A4 გვერდზე

# უკანასკნელი დარტყმა ფესტივალზე



REUTERS

მსახიობები ბიროლ უნელი, სიბელ კეკილი და გამარჯვებული ფილმის რეჟისორი ფატიჰ აკანი.

## "24 საათი" აღმოსავლეთ ევროპის გაზეთების კონკურსის ლაურეატი

თამარ ბაბუაძე

*“ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, დამოუკიდებელი ჟიურის გადაწყვეტილებით, გაზეთ “24 საათს” მიენიჭა “აღმოსავლეთ ევროპის ახალგაზრდა პრესის” 2004 წლის პრიზი, რომელსაც ჰერდ ბუცერიუსის ფონდი ყოველწლიურად გასცემს. გულწრფელად გილოცავთ ამ პრესტიჟული წოდების მიღებას”.*

***პროფესორები მიხაელ გერინგი და ერიკ რუდენგი.***
***ჰამბურგი, ოსლო, 2004 წლის 9 თებერვალი.***

მსგავსი შინაარსის მილოცვა წელს სულ ხუთმა გაზეთმა მიიღო. აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო გაზეთი – ეს პრესტიჟული წოდება “24 საათთან” ერთად “ნევსკოე ვრემიამ” (სანკტ-პეტერბურგი), “ზვეზდამ” (პერმი), “მოლოდოი ბუკოვინეცმა” (ჩერნოვცი) და “ინტეკსპრესმა” (ბარანოვიჩი) მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ სიტყვიერი და წერილობითი წახალისების გარდა, ამ გამოცემებს 30 ათასი ევროთიც დააჯილდოებენ. პრინციპში, წახალისების ყველაზე დიდი დოზაც სწორედ ამ თანხაზე მოდის – დაჯილდოებულმა გაზეთებმა ფულადი პრემია თვითგანვითარებასა და გაფართოებას უნდა მოახმარონ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ასლან აბაშიძე უკან არ იხევს

თამარ მჭედლიშვილი

*ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ცესკო-ს სამსახურების უფროსები, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებთან ერთად, ბათუმში ორდღიან სემინარზე იმყოფებოდნენ. ეს სწავლებები ეუთო-მ დააფინანსა და იგი საკმაოდ კარგადაც იყო ორგანიზებული, თუმცა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის ბათუმში ვიზიტის მთავარი ინტრიგა მაინც ავტონომიის ხელმძღვანელთან ასლან აბაშიძესთან შეხვედრა გახდა.*

ჩვენი ინფორმაციით, თავდაპირველად აბაშიძესთან აუდიენცია ზურაბ ჭიაბერაშვილის გეგმებში არ შედიოდა. უფრო სწორედ, ბათუმში ჩასული, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები წინასწარ იყვნენ შეგუებულები იმ ფაქტს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებისათვის გამართული ორდღიანი სემინარის განმავლობაში ავტონომიის მეთაურთან შეხვედრა შეუძლებელი იქნებოდა. მით უფრო, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ ბათუმში მყოფ ზურაბ ჭიაბერაშვილს ასლან აბაშიძე არ შეხვედრია.

და მაინც, ზურაბ ჭიაბერაშვილისა და ასლან აბაშიძის შეხვედრა შედგა. როგორც “24 საათისთვის” გახდა ცნობილი, ცესკო-ს წევრმა “აღორძინებიდან”, ზურაბ აბაშიძემ ზურაბ ჭიაბერაშვილი გვერდით ისე გაიხმო და ქუჩაში ისე გაიყვანა, რომ ცესკო-ს თავმჯდომარემ ბოლო წუთამდე არ იცოდა, სად და რისთვის მიჰყავდათ იგი. ამ ხანმოკლე და უტყვი მოგზაურობის საბოლოო წერტილი კი, როგორც უკვე ვთქვით, ასლან აბაშიძის სამუშაო კაბინეტი აღმოჩნდა.

ოფიციალური ვერსიით, ასლან აბაშიძისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის საუბარი მხოლოდ გაცნობითი ხასიათის იყო. საჯარო განცხადებებს თუ დავუჯერებთ, აბაშიძე იმით

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 ამბები | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ექსკლუზივი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5-B6-B7 "საოჯახო ტოტო" | B8 სხვადასხვა

## ბადრი პატარკაციშვილის მიმართ საქმის აღძვრა საქართველოშიც შეიძლება


ბადრი პატარკაციშვილი

"რუსეთის გენერალურ პროკურატურას ქართველი კოლეგებისათვის პასუხი, ჯერჯერობით, არ უცნობებია ცნობილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის მიმართ რუსეთში აღძრული სისხლის სამართლის საქმის გადმოგზავნის მოთხოვნაზე", - აცხადებს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი პაატა მსხილაძე.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შარშან, დეკემბერში, რუსი სამართალდამცველების მორიგ მოთხოვნას ბადრი პატარკაციშვილის გადაცემის თაობაზე ზემოხსენებული მოთხოვნით უპასუხა. საქართველოს ხელისუფლება ბადრი პატარკაციშვილის გადაცემას არ თანხმდება, ვინაიდან იგი საქართველოს მოქალაქეა. თუმცა, შესაბამისი მტკიცებულებების გამოგზავნის შემთხვევაში, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეს ქართველი პროკურორები აღძრავენ.

ცნობილია, რომ რუსეთის ხელისუფლება ბადრი პატარკაციშვილს, მის მეგობარ ბორის ბერეზოვსკისთან ერთად, სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით — რამდენიმე ათეული მილიონი აშშ დოლარის დატაცების ბრალდებით ბოლო რამდენიმე წელია ეძებს. ბორის ბერეზოვსკი - დიდ ბრიტანეთში, ხოლო პატარკაციშვილი - საქართველოში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ.

*მედია-ნიუსი*

## აღმოაჩინეს კუსტარული საამქრო

შიდა ქართლის გუბერნატორმა და მხარის ძალოვნებმა გუშინ გორის რაიონში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად სოფელ მერეთში თევზის შესაბოლი კუსტარული საამქრო აღმოაჩინეს.

ერგნეთის ბაზრობაზე შეძენილი ორაგულის შებოლვა მერაბ გორგიშელის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე სააბაზანო ოთახში ხდებოდა. თუმცა, სახლის პატრონის განცხადებით, თევზის წარმოებას მისი ნათესავი ირაკლი შერელაშვილი ახდენდა.

"ეს გახლავთ სისხლის სამართლის დანაშაული. როგორც ხედავთ, აქ კუსტარულად, ყოველგვარი პირობების დაცვის გარეშე, საპირფარეშოს გვერდით ხდებოდა თევზის შებოლვა, აღნიშნული თევზი კი შემდგომ სარეალიზაციო ქსელში იყიდება. აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია ამ თევზით მოიწამლოს არა მარტო გორის რაიონის მოსახლეობა, არამედ ყველა იმ ადგილას მცხოვრები, სადაც აღნიშნული თევზის რეალიზაცია ხდება. ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნული შებოლილი თევზით მოწამვლის რამდენიმე ფაქტი უკვე დაფიქსირდა," - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში მიხეილ ქარელმა

*ინტერ-პრესი*

## ასლან აბაშიძე თბილისში, შესაძლოა, საპარლამენტო არჩევნებამდე ჩამოვიდეს


ბესო გულაშვილის ფოტო

ასლან აბაშიძე

თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ჰამლეტ ჭიპაშვილი არ გამორიცხავს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი ასლან აბაშიძე დედაქალაქში პრეზიდენტ სააკაშვილთან შესახვედრად 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებამდე ჩამოვიდეს.

მისი ვარაუდით, თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ, აბაშიძის ასეთი ჟესტი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში „აღორძინების" პოლიტიკურ რეიტინგს სერიოზულ „ქულებს შესძენს".

ჭიპაშვილის ინფორმაციით, აბაშიძე კეთილგანწყობით შეხვდა სააკაშვილის მიწვევას დედაქალაქში, რადგან მიიჩნევს, რომ უკვე იწყება იმ ბარიერების რღვევა, რის გამოც აჭარის მეთაური თბილისში სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრაზე უარს აცხადებდა.

„დღევანდელი მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება შევარდნაძის ეპოქისგან, როცა „აღორძინებას" და მის ლიდერს, საჭიროებისამებრ, აქებდნენ ან აძაგებდნენ," — განაცხადა ჭიპაშვილმა.

აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ის სახელმწიფო კანცელარიისკენ ფეხით მიმავალ პრეზიდენტ სააკაშვილს ქუჩაში შემთხვევით შეხვდა, რომელმაც პირად საუბარში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აბაშიძის ჩამოსვლის შემთხვევაში, მისი უსაფრთხოების დაცვა პრობლემას არ წარმოადგენს.

*მედია-ნიუსი*

## ასლან აბაშიძე უკან არ იხევს

პირველი გვერდიდან

დაინტერესდა, თუ როგორ ემზადება ცენტრალური საარჩევნო კომისია მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისათვის, რა ღონისძიებების განხორციელებაა დაგეგმილი და ა.შ.

არაოფიციალური ვერსიით კი, ასლან აბაშიძე სულ სხვა საკითხით - ამომრჩეველთა სიებით იყო დაინტერესებული. ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა რეგიონში მცხოვრებ ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციისთვის საარჩევნო უბნების გახსნაზე. მაშინ ეს პრობლემა არცთუ აქტუალური იყო, რადგან "აღორძინებასა" და თავად ასლან აბაშიძეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ აჭარაში ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის გარეშეც საპრეზიდენტო არჩევნებს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა.

ამჯერად კი საფრთხე "აღორძინების კავშირს" დაემუქრა. აჭარაში ოფიციალურად რეგისტრირებულ 300 ათასი ამომრჩევლიდან ასლან აბაშიძეს ერთიც კი არ ეთმობა. შესაბამისად, მას ამ რიცხვის გადახედვა არ სურს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან 300 ათასი ამომრჩეველი - ეს ის რაოდენობაა, რომელიც "აღორძინების კავშირს" პარლამენტისკენ მწვანე შუქს აუნთებს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადებას, რომელიც მარტში ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის პროცესის დაწყებას ეხება, ასლან აბაშიძე არ ღებულობს.

არადა, ამ შეხვედრამდე რამდენიმე წუთით ადრე ჟურნალისტებთან საუბარში ზურაბ ჭიაბერაშვილმა არცთუ ორაზროვნად განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თუკი საქართველოში იარსებებდა ამომრჩეველთა ერთიანი სია, სადაც აჭარის მონაცემებიც იქნებოდა შეყვანილი.

ასლან აბაშიძეს კი საკუთარ ამომრჩეველთა სიის თბილისისათვის გადაცემა არ სურს. მით უფრო, რომ მისი გადამოწმების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, იგი გაბერილი და, რბილად რომ ვთქვათ, არაზუსტი აღმოჩნდეს. ამავე დროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ 28 მარტს არჩევნები მთელ საქართველოში "ერთიანი სტანდარტებით" უნდა გაიმართოს და თუკი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არჩევნების ჩატარებას ორ ნოემბერს არსებული ამომრჩეველთა სიით აპირებს, მაშინ ცესკო აჭარიდან ჩამოსულ შედეგებს ბათილად გამოაცხადებს. აქედან გამომდინარე, ასლან აბაშიძე და "აღორძინება" საკმაოდ სერიოზული არჩევანის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ.

## დღეს სსფ-ს მისია მუშაობას დაასრულებს

დღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში ორკვირიან ვიზიტს დაასრულებს. ფონდის მისიის ხელმძღვანელი პაულო ნეუჰაუსი დღეს, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს შეხვდება და ვიზიტის შედეგებს შეაჯამებს.

სავალუტო ფონდის მისიის ორკვირიანი მუშაობის შედეგად შემუშავდება მემორანდუმი, რომელსაც ფონდი ქვეყნის ახალ მთავრობას დაუტოვებს. მემორანდუმში, სავარაუდოდ, ჩამოწერილი იქნება ის პირობები და რეკომენდაციები, რაც საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მიმდინარე წლის მაისამდე და მაისის შემდეგ უნდა შეასრულოს. მაისში ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართება, სადაც გადაწყდება, დაიწყებს თუ არა ფონდი საქართველოში ახალი პროგრამის განხორციელებას. პროგრამის აღდგენის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შესავსებად უკვე წელს, დაახლოებით, 40 მლნ. დოლარს მიიღებს.

ფონდთან ფინანსთა სამინისტრომ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტიც შეათანხმა, რომელიც განსახილველად საქართველოს პარლამენტს თებერვლის ბოლოს წარედგინება.

*ინტერ-პრესი*

## თერჯოლის საგადასახადო ინსპექცია - რაიონული საავადმყოფოს წინააღმდეგ

თერჯოლის საგადასახადო ინსპექცია რაიონულ საავადმყოფოს ვალების გადახდას სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყადაღის დადებით ემუქრება.

პარალელურად, საავადმყოფოს ხელმძღვანელები საგადასახადო ინსპექციას უტევენ და კონტრარგუმენტებით პრეტენზიებს უყენებენ. თერჯოლის რაიონულ საავადმყოფოს ბიუჯეტის მიმართ სხვადასხვა სახის დავალიანებები გააჩნია, რაც ჯამში 17.000 ლარს შეადგენს. როგორც მთავარი ექიმი ნოდარ სირაძე აცხადებს, მის ორგანიზაციაზე დარიცხული ვალები უკანონოა და ეს საგადასახადო ინსპექციის ყოფილმა უფროსმა მერაბ კვიტაიამ განახორციელა. ის პრობლემის მოგვარებას ახალი ხელისუფლებისაგან ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი რაიონის დატოვებით იმუქრება. "საგადასახადომ სამჯერ მომაწოდა ინფორმაცია ვალების შესახებ და სამივეჯერ სხვადასხვა ციფრი დაასახელა. გარდა ამისა, ადგილობრივი ფინანსური განყოფილებისაგან 43.000 ლარი გვეკუთვნის, ცენტრალური ბიუჯეტიდან კი - 200.000 ლარი. კანონის შესაბამისად, მე შემიძლია არ გადავიხადო ვალი, რადგან ბიუჯეტიდან თანხები მეკუთვნის," - განუცხადა "ინტერ-პრესს" მთავარმა ექიმმა ნოდარ სირაძემ.

*ინტერ-პრესი*

## ხუთჯვრიანი დროშა ტიან-შანზე

ცნობილმა ქართველმა ალპინისტმა გია თორთლაძემ ტიან-შანზე ექსპედიციის დროს მწვერვალ კორონაზე საქართველოს ახალი ხუთჯვრიანი სახელმწიფო დროშა აღმართა.

როგორც გია თორთლაძემ პრაიმ-ნიუსს ტელეფონით აცნობა, მწვერვალზე ასვლა მან მიუძღვნა გასული წლის ნოემბერში საქართველოში მომხდარ "ვარდების რევოლუციას", რომლის მონაწილეც თავად იყო.

ქართველი ალპინისტის თქმით, მწვერვალზე ასვლა ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა.

მიუხედავად ამისა, აღნიშნა გია თორთლაძემ, მარშრუტის გავლა თითქმის ერთ დღე-ღამეში მოხერხდა.

*პრაიმ-ნიუსი*

## სოხუმის ხელისუფლება დავით შენგელიას დაპატიმრებას ითხოვს

სოხუმის ხელისუფლების უშიშროების სამსახური უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველი სამართალდამცველების მიერ პარტიზანული მოძრაობა "ტყის ძმების" წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, პარტიზანთა მიმართ აღმკვეთი ღონისძიებები არ ტარდება. აღნიშნული სამსახური საქართველოს ხელისუფლებას პარტიზანთა მეთაურის დავით შენგელიას დაპატიმრებისკენ მოუწოდებს.

"ხელისუფლება შენგელიას დასაკავებლად გადამჭრელ ზომებს არ ატარებს და პარტიზანებისგან იარაღის ამოღებაც არ ხდება. ეს კი სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პარტიზანების წინააღმდეგ მხოლოდ სარეკლამო ხასიათის სპეცოპერაცია ჩაატარა, რომელიც სულაც არ ისახავდა მიზნად უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან ბრძოლას," - ნათქვამია აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.


დავით შენგელია

სოხუმის ხელისუფლება პარტიზანებსა და ქართველ სამართალდამცველებს შორის თანამშრომლობის დამადასტურებელ ფაქტად პარტიზანული მოძრაობა "ტყის ძმების" მეთაურის დავით შენგელიას და მისი თანამოაზრეების დაუსჯელობას ასახელებს და აღნიშნავს, რომ ქართული მხარე, ქვეყნის ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, პარტიზანებთან და უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებთან სერიოზულ ბრძოლას არ აპირებს. "დავით შენგელიას მსგავსი ბანდიტების ადგილი ციხეშია," - ნათქვამია განცხადებაში,

შეგახსენებთ, პარტიზანული მოძრაობა "ტყის ძმების" დაშლის შესახებ დავით შენგელიამ განცხადება რამდენიმე დღის წინ გააკეთა და პარტიზანების ხელთ არსებული იარაღი აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩააბარა.

*ინტერ-პრესი*

## კოდორის ხეობის განაღმვა დათბობის შემდეგ დაიწყება


ემზარ კვიციანი.

პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი აცხადებს, რომ კოდორის ხეობის განაღმვის პროცესი, აფხაზურ მხარესთან ერთად, გაზაფხულზე, დათბობის შემდეგ დაიწყება. როგორც ემზარ კვიციანმა პრაიმ-ნიუსს განუცხადა, აფხაზურმა მხარემ ერთობლივ განაღმვაზე თანხმობა უკვე გამოთქვა.

პირველი სამუშაოები მარუხის უღელტეხილზე გასული წლის შემოდგომაზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ადრეული თოვლის გამო, განაღმვის პროცესი გადაიდო.

გასულ წელს კონფლიქტის შემდეგ დარჩენილ ნაღმებზე სამი ადამიანი აფეთქდა. განაღმვის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, საქართველოში 2003 წელს ნაღმებზე აფეთქების 18 შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან 5 სიკვდილით დამთავრდა. 2001-2002 წლებში ნაღმზე აფეთქების 61 შემთხვევა სიკვდილით დასრულდა, მათ შორის 8 ბავშვია და 11 მესანგრე, რომლებიც განაღმვითი ოპერაციის დროს დაიღუპნენ.

*პრაიმ-ნიუსი*

## 847 დაჯარიმებული ობიექტი

საკონტროლო-სალარო აპარატის დადგმისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოებმა მიმდინარე წელს 847 ობიექტი დააჯარიმეს. ჯარიმის სახით დარიცხულმა თანხამ 183 ათას ლარს გადააჭარბა.

როგორც "ინტერ-პრესს" საგადასახადო დეპარტამენტში განუცხადეს, საკონტროლო აპარატებით აღჭურვილია ობიექტთა 73,2 პროცენტი. დეპარტამენტი აფრთხილებს ყველა მეურნე-სუბიექტს, რომლებიც ვალდებულნი არიან საკონტროლო-სალარო აპარატები გამოიყენონ, რომ დროულად უზრუნველყონ მათი შეძენა და სათანადო რეგისტრაცია შესაბამის ადგილობრივ საგადასახადო ინსპექციებში. "წინააღმდეგ შემთხვევაში, გატარებული იქნება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები," - განაცხადეს დეპარტამენტში.

*ინტერ-პრესი*

### ოფიციოზი

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №60

*2004 წლის 14 თებერვალი ქ. თბილისი*

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შექმნის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის თანახმად:

1. შეიქმნას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და დამტკიცდეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანდართული დებულება და სტრუქტურა.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ "საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მომზადებისას გაითვალისწინოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსებისათვის აუცილებელი სახსრები.
3. ამ ბრძანებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 31 იანვრის №81 ბრძანებულება "საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის დროებითი დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ" (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები 1997 წლის იანვარი, გვ. 5).
4. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*მიხეილ სააკაშვილი*

დებულება იხილეთ მე-6 გვერდზე

### ორი სიტყვით

**თბილისი.** თავდაცვის მინისტრის პოსტზე ოფიციალურად წარდგენილი გელა ბეჟუაშვილი აცხადებს, რომ მისი უწყება ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველოში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესი დაჩქარდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის წევრი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა უნდა დატოვოს, თუმცა ეს იმდენად აქტუალური საკითხი არ არის, რამდენადაც ქვეყნის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების დახურვის და აფხაზეთში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მოძრაობამ "ნათელი მომავლისათვის" 20 ათასი ხელმოწერა შეაგროვა აჭარაში საგანგებო მდგომარეობის გაუქმების, ორპალატიანი პარლამენტის და ავტონომიის მეთაურის ინსტიტუტის გაუქმების მოთხოვნით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტზე შაბათს ოფიციალურად წარდგენილი გოგა ხაინდრავა აცხადებს, რომ აქტიურად გამოიყენებს პირად კონტაქტებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტმა უფლებამოსილება შეუწყვიტა და თანამდებობიდან გაათავისუფლა ოთხი ელჩი. ესენი არიან: გერმანიასა და პოლონეთში საქართველოს ელჩი კოტე გაბაშვილი, სომხეთში - ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი, ისრაელში - რევაზ გაჩეჩილაძე და საფრანგეთში - გოჩა ჩოგოვაძე. რამდენიმე დღეში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტს დასამტკიცებლად ელჩების ახალ კანდიდატურებს წარუდგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ უცხო ქვეყნებში, მათ შორის - საქართველოში, გახშირდა უკრაინული გემებისა და ეკიპაჟის წევრების დაკავების ფაქტები. სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ადასტურებს დაკავებულების მხრიდან კანონის დარღვევის ფაქტებს და აცხადებს, რომ ეს ქვეყნის იმიჯის შელახვასთან ერთად, უკრაინულ კომპანიებსაც სერიოზულად აზარალებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საკონტროლო-სალარო აპარატის დადგმისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოებმა მიმდინარე წელს 847 ობიექტი დააჯარიმეს. ჯარიმის სახით დარიცხულმა თანხამ 183 ათას ლარს გადააჭარბა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ენერგეტიკის მომავალ მინისტრს ნიკა გილაურს ყველა გადამხდელის 24-საათიანი ელექტროენერგიით მომარაგება, ჯერჯერობით, შეუძლებლად მიაჩნია. თუმცა, როგორც დღეს, სახელმწიფო მინისტრთან გამართული თათბირის შემდეგ მან განაცხადა, უკვე შემუშავებულია ე.წ. 16-თვიანი პროგრამა, რომელმაც ქვეყნის ენერგოკრიზისიდან გამოყვანას უნდა დაუდოს საფუძველი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ თებერვლის თვის ლტოლვილთა შემწეობისთვის საჭირო ხარჯები დააფინანსა. კვირის ბოლო სამუშაო დღეს მობილიზებული 3.222.000 ლარი მთლიანად ლტოლვილთა შემწეობების დასაფინანსებლად მიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საბანკო სისტემის მიმართ მოსახლეობის ნდობის ამაღლებისადმი და საბანკო მიმომხილველის ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით, საქართველოს საბანკო ასოციაციამ ეროვნულ ბანკთან ერთად "წლის საუკეთესო საბანკო მიმომხილველის" გამოსავლენად კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საქართველოში მოქმედ ნებისმიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას ან ჟურნალისტს, რომელსაც 2003 წლის განმავლობაში მომზადებული აქვს, მინიმუმ, 3 ტელე-რადიო სიუჟეტი, ინფორმაცია ან ანალიტიკური მასალა საბანკო-საფინანსო სფეროზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალი ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აცხადებს, რომ სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტი შემოსავლების ზრდასა და საკადრო პოლიტიკის სწორად განხორციელებას მიენიჭება. ნოღაიდელის თქმით, ყველა სტრუქტურული თუ სოციალური პრობლემების მოგვარება სწორედ საკადრო პოლიტიკას უკავშირდება.

ცნობილია, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა მას მარტისთვის პენსიებისა და ხელფასების გაზრდა დაავალა. ნოღაიდელმა აღნიშნა, რომ ამ თემებზე კონკრეტულად მარტში ისაუბრებს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "24 საათი" - აღმოსავლეთ ევროპის გაზეთების კონკურსის ლაურეატი

პირველი გვერდიდან

ასე რომ, "ცაიტ-შტიფტუნგისა" და ოსლოში დაფუძნებული "სიტყვის თავისუფლების" ფონდის რჩეულთა სიაში მოხვედრა გაზეთებისათვის ორმაგად საპატიო მოვლენა გახლავთ. მათ ერთდროულად შემდგომი განვითარებისთვისაც ეძლევათ რეალური ფინანსური შანსი და თან აქამდე გაწეული შრომაც უფასდებათ.

ცხადია, დიდ თავსატეხს არც იმის გამოცნობა წარმოადგენს, თუ რა მიზნებით დაფუძნდა "ცაიტ-შტიფტუნგის" ფონდი. გაერთიანება "ცაიტის" ჩანაფიქრი ასეთი იყო: ეკონომიკური ზეწოლის, პოლიტიკური პრესინგისა და ხშირად რეპრესიების წინაშე მდგომ აღმოსავლეთ ევროპის ახალგაზრდა პრესას დემოკრატიული გზით განვითარებაში უნდა დახმარებოდა. პრინციპით – "აბა, თქვენს შორის რომელია ყველაზე დიდი პროფესიონალი და დემოკრატი" - გაზეთების პირველი კონკურსი 1999 წელს გაიმართა. მარტივმა ფსიქოლოგიურმა ხერხმა – წახალისებამ გაამართლა. და დემოკრატიის მაღალი იდეალებით მოღვაწეობა, ისედაც საამისოდ მოწოდებულმა გაზეთებმა, კიდევ უფრო მეტი მონდომებით განაგრძეს. ასე გახდა აღმოსავლეთ ევროპაში თავისუფალი სიტყვისა და დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის განვითარების გარანტი გაზეთებიდან წამოსული მონდომება, რომელსაც, თავის მხრივ, მეტ-ნაკლებად ამძაფრებდა "ცაიტის" კონკურსში გამარჯვების სურვილი. 2002 წელს ფულადი ჯილდო და საპატიო სიგელი ხუთმა გაზეთმა მიიღო, 2003 წელს – სამმა, წელსაც – ხუთმა.

უნდა ითქვას, "ცაიტის" საქმიანობა თავისუფალი პრესის განვითარებას ხშირად სცდება. კვლევა და სტიპენდიები, ხელოვნება და კულტურა, განათლება და ტრენინგები – "ცაიტი" ამ სფეროებშიც მოღვაწეობს და თავისი საქმიანობის ძირითად მიზნად აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას ასახელებს. ასე რომ, ფაქტია, პრესის წარმომადგენლებზე არანაკლებ უმართლებთ კულტურის მოღვაწეებსაც: 2002 წლიდან "ცაიტი" ჰამბურგში "არტ ფორუმს" აწყობს, 2003 წელს კი ჰამბურგის მუსიკის ფესტივალსაც უხელმძღვანელა.

ამ უზარმაზარი გაერთიანების უკან გერდ ბუცერიუსი დგას – იურისტი, რომელმაც 1946 წელს ჰამბურგში გაზეთი "დი ცაიტი" დააარსა, 1971 წელს კი გაერთიანება "ებელინ უნდ გერდ ბუცერიუს ცაიტსაც" ჩაუყარა საფუძველი – ორგანიზაციას, რომლის მოღვაწეობაზეც ზევით ვისაუბრეთ. ბუცერიუსი თავისი ფონდის მამოძრავებელ ძალად იმ ლიბერალურ სულისკვეთებას ასახელებს, რომლითაც ქალაქი ჰამბურგი გამოირჩევა.

ახლა კი, ორიოდე სიტყვით, ისევ პრესის შესახებ. სანამ ევროპულ აღიარებას წელს "24 საათი" და დანარჩენი ოთხი გამოცემა მოიპოვებდა, "ცაიტ-შტიფტუნგის" ლაურეატები ისეთი ცნობილი გამოცემები გახდნენ, როგორებიც "ნოვაია გაზეტა" და "ობშჩაია გაზეტაა". ამ უკანასკნელზე არჩევანის შეჩერებას ჟიური შემდეგი მოსაზრებით ასაბუთებდა: "ეს ყოველკვირეული გაზეთი 1991 წლის აგვისტოში იგორ იაკოვლევმა დააფუძნა და ის იყო იმ დამოუკიდებელი, იატაკქვეშა მოსკოვური გაზეთების საერთო გამოცემა, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ აკრძალეს. ხელისუფლების საქმიანობის კრიტიკულად, მაგრამ ამავე დროს კონსტრუქციულად გაშუქებისა და მაღალი ჟურნალისტური დონის გამო, ეს გაზეთი დამოუკიდებელი რუსული პრესის სიმბოლოდ იქცა".


ნოემბრის რევოლუციის დღეები, პარლამენტის შენობის წინ.

ჟიურის წევრებს ჯერ არ შეუდგენიათ ასეთივე მოკლე ანოტაციები, რომლებშიც წლევანდელი რეციფიენტების ღირსებებზე გაამახვილებენ ყურადღებას. თუმცა, "ობშჩაია გაზეტას" მაგალითითაც ნათლად ჩანს, რომ ლაურეატების შერჩევას კომპეტენტური ჟიური ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდება. მათ მიერ მოწონებული გაზეთი მაღალი დონის ჟურნალისტიკის სიმბოლოსაც უნდა წარმოადგენდეს და თან "კურიკულუმ ვიტეში" ერთი-ორი "საგმირო საქმეც" უნდა ჰქონდეს ჩართული.

ასე რომ, ქართული "24 საათისა" და დანარჩენი ოთხი გამოცემის უფრო კონკრეტულ დახასიათებას "ცაიტ-შტიფტუნგი" მოგვიანებით შემოგვთავაზებს. დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალი კი 19 მაისს, ჰამბურგში გაიმართება. სწორედ ამ დღეს ჩაიბარებს ხუთივე გამოცემის საპატიო წარმომადგენელი პრიზს და თან დიდ პასუხისმგებლობასაც – დაჯილდოების შემდეგ ხომ რჩეული გაზეთები მთელ რეგიონში დემოკრატიის, თავისუფალი სიტყვისა და მაღალი ხარისხის ჟურნალისტიკის გამავრცელებლებად უნდა იქცნენ. კონკრეტულად "24 საათის" პასუხისმგებლობას კი ზრდის ისიც, რომ მისი კანდიდატურა "ცაიტ შტიფტუნგის" 2004 წლის პრემიაზე ევროკომისიის წევრმა კრისტოფერ პატენმა, ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა და ევროპაში დიდი ავტორიტეტის მქონე დოქტორმა იოჰანეს ზემლერმა წარადგინეს; გაზეთს რეკომენდაცია გაუწიეს ფონდმა "ღია საზოგადოება საქართველო" და გოეთეს ინსტიტუტმა. გაზეთი დიდ მადლობას უხდის მათ გამოცხადებული ნდობისათვის.

ქალაქის ცენტრში

ქირავდება ქალაქის ცენტრში
პრესტიჟულ ადგილას
400 კვ.მ. ფართის ტერიტორია.

საუკეთესოა რესტორნის, ღამის
კლუბის ან სხვა გასართობი
საქმიანობისათვის.

400 კვ.მ

ინფორმაციისათვის დარეკეთ: 893 200035

## მთავრობის სამოქმედო პროგრამა

ლელა მჭედლიძე

გუშინ მთელი დღის განმავლობაში ზურაბ ჟვანიასთან მომავალი მთავრობის პროგრამაზე მუშაობდნენ. იუსტიციის მომავალი მინისტრის გიორგი პაპუაშვილის განცხადებით, სამინისტროს მთავარი პრიორიტეტი სასამართლო და პენიტენციალური სისტემების რეორგანიზაცია-რეფორმა იქნება. ასევე ძირითად მიმართულებად იქცევა ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და ევროსტანდარტებთან მიახლოება. ევროპულ კანონმდებლობასთან ადაპტირების სურვილს გუშინ მთავრობის თითქმის ყველა წევრი გამოთქვამდა.

მომავალი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარგში გოგა ხაინდრავა, ამ ეტაპზე იმ პრიორიტეტების განსაზღვრის მომხრეა, რითიც ქვეყანაში არსებული მძიმე კრიზისული მდგომარეობა მეტ-ნაკლებად უნდა მოწესრიგდეს. მისი აზრით, ყურადღება, პირველ რიგში, სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უნდა გამახვილდეს. პარალელურად მუშაობა უნდა დაიწყოს ქვეყანაში არსებული კონტრაბანდის მკვეთრ შემცირებაზე.

განათლების მომავალი მინისტრი კახა ლომაია მსოფლიო ბანკის მიერ ადრე გამოყოფილი 60-მილიონიანი კრედიტის განკარგვის რევიზიის მომხრეა.

საარსებო მინიმუმის გაზრდაზე ჯერ კიდევ პარლამენტიდან მოსაუბრე ზურაბ ჟვანია, ახლა ამ საკითხზე უკვე მომავალი პრემიერ-მინისტრის სტატუსით საუბრობს. თუმცა, კონკრეტულად რა ვადებსა და რიცხვებზეა საუბარი, ამის დადგენა ამ კვირისთვის არ ესწრება. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ კონტროლის გარეშე ახლა არც ერთი საჯარო და იურიდიული სამართლის პირი და ორგანიზაცია არ დარჩება.

გუშინ პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმად, მარეგულირებელი კომისიები და სახელმწიფო ტელევიზია, უშუალოდ, პრეზიდენტის ადმინისტრაციას დაექვემდებარება.

სააქციო საზოგადოება
საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

ანაბრები და დეპოზიტები

"საქართველოს ბანკი" გთავაზობთ ვადიანი და მოთხოვნამდე ანაბრებზე და დეპოზიტებზე
თანხის განთავსებას ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით (წლიური)

| ვადები | ეროვნულ ვალუტაში | უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო) | ბრიტანული სტერლინგი |
|---|---|---|---|
| ზრდადი | 8 % | 8% | - |
| მოთხოვნამდე | 2,0 % | 2,0 % | 2,0 % |
| 31-89 დღე | 5,0 % | 4,0 % | - |
| 90-179 დღე | 8,0 % | 7,0 % | - |
| 180-269 დღე | 10,0 % | 9,0 % | - |
| 270-389 დღე | 11,0 % | 10,0 % | - |
| 390-545 დღე | 11,5 % | 10,5 % | - |

"საქართველოს ბანკში დეპოზიტების და ანაბრების განთავსების შემთხვევაში
თქვენ ისარგებლებთ დამატებითი შეღავათებით:

- "საქართველოს ბანკი" თავის მეანაბრეებს სთავაზობს შეღავათიან საპროცენტო განაკვეთებს მათ მიერ ბანკში განთავსებული დეპოზიტებისა და ანაბრების უზრუნველყოფით გაცემულ კრედიტებზე. ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრება ამ დეპოზიტებზე დასარიცხი წლიური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და აღემატება მას ოთხი პროცენტული პუნქტით.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 6-11 თვის ვადით ანაბარზე განათავსებენ 3.000-5.000 აშშ დოლარს, უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებულიCirrus/Maestro ( Visa Electron).
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 12 თვით ან მეტი ვადით ანაბარზე განათავსებენ 3.000-5.000 აშშ დოლარს, მათი სურვილისამებრ უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული Cirrus/Maestro ( Visa Electron), ან სამედიცინო დაზღვევა.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 6-11 თვის ვადით ანაბარზე განათავსებენ 5.000-50.000 აშშ დოლარს, მათი სურვილისამებრ უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული EuroCard/MasterCard Standart ან Visa Classic.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 12 თვით ან მეტი ვადით ანაბარზე განათავსებენ 5.000-50.000 აშშ დოლარს, მათი სურვილისამებრ უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული EuroCard/MasterCard Standart ( Visa Classic) ან სამედიცინო დაზღვევა.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 12 თვით ან მეტი ვადით ანაბარზე განათავსებენ 50.000 აშშ დოლარზე მეტ თანხას, უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული EuroCard/MasterCard Standart ( Visa Classic) და სამედიცინო დაზღვევა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ
"საქართველოს ბანკის" ფილიალებში ან დაგვირეკეთ: 444 444

# "ვარდთა და ნეხვთა..."

პირველი გვერდიდან

ამ ოთხიდან ორი - თენგიზ დონაძე და რამაზ გიორგაძე - არც მეტი, არც ნაკლები, იმავე აკაკი ჩხაიძის მოადგილე და მარჯვენა ხელი იყო და მათზე უარი სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო ითქვა. დარჩენილი ორიდან კი სამეთვალყურეო საბჭომ უპირატესობა უფრო რეალისტური პროგრამის მქონე გელა ლეჟავას მიანიჭა - აზერბაიჯანში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენს, რომლის პროფესიონალიზმს და დარგის ცოდნასაც ნამდვილად არავინ აყენებს ეჭვქვეშ.

ისტორია თითქოს დასრულდა და მხოლოდ წერტილის დასმაღა იყო დარჩენილი. ეს "წერტილი" მოსალოდნელზე გაცილებით ეფექტური აღმოჩნდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის სწორედ იმ ადამიანმა დასვა, ვისგანაც არავინ ელოდა. დასვა და საკუთარივე ზღაპარი სახელმწიფო ქონების ახლებურად მართვის შესახებ საფუძველში მოსრა და გააცამტვერა. მეორეც, ასეთი უპატივცემულობა და სრული უნდობლობა ახალი სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოიჩინა იმ ადამიანმა, ვინც რამდენიმე კვირით ადრე საბჭოს თითოეული წევრი ყველა ტელეარხის პირდაპირ ეთერში ენით აუწერელი დითირამბებით შეამკო.

სახელმწიფო მინისტრი რკინიგზისთვის ბრძოლაში აქტიურად ჩაება და სამეთვალყურეო საბჭოს შერჩეული კანდიდატის დანიშვნა ერთპიროვნულად შეაჩერა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსაც, როგორც ჩანს, საკმაოდ თავისებური დამოკიდებულება აქვთ პრინციპებისა და პრინციპულობის მიმართ, რადგან ეს ჯგუფი სრულიად უდრტვინველად და ყოველგვარი პროტესტის გარეშე შეეგუა იმას, თუ როგორ გადაახიეს თავზე საკუთარი არჩევანი. მეტიც: სამეთვალყურეო საბჭომ სრული მზადყოფნა გამოთქვა, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ნებისმიერი კანდიდატურა დაუბრკოლებლად დაემტკიცებინა.

"ნებისმიერი კანდიდატურა", როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან მალე მოიძებნა: ზურაბ ჟვანიამ წარმატებით განაგრძო საკუთარი პროტეჟეების დასაქმება და რკინიგზის პირველკაცად ზურაბ ნოღაიდელის საქმიანი პარტნიორი ლევან ვარშალომიძე სამეთვალყურეო საბჭოს ტაშის გრიალით დაამტკიცებინა.

რკინიგზაში კოლექტივისთვის წარდგენის ცერემონიამდე დარიგებულ ინტერვიუებში ვარშალომიძემ გულწრფელად აღიარა, რომ თავის ახალ საუფლოზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს და არც კონკრეტული პროგრამა გააჩნია. სამაგიეროდ, მის მხარესაა ძალა, გამოცდილება და ფინანსები: ძალის დემონსტრირება სახელმწიფო მინისტრის კუნთებით ხდება, გამოცდილებას ვარშალომიძეს აკაკი ჩხაიძის ის ორი მოადგილე (დონაძე და გიორგაძე) გაუზიარებს, რომლებიც მისი მოადგილეებიც იქნებიან და მარჯვენა ხელობას კვლავაც გასწევენ, რკინიგზის ფინანსებს კი ასევე ნოღაიდელის კადრი ლაშა გოცირიძე გააკონტროლებს.

მოკლედ, იმ ანდაზისა არ იყოს, მგლებიც დანაყრდნენ და ცხვრებიც ცოცხლად გადარჩნენ: რკინიგზაში პარტიის იმედი მიავლინეს, საქმეს ისევ აკაკი ჩხაიძის მოადგილეები გააკეთებენ (ალბათ, ყველას სჯერა, რომ მათ უკვე გაიარეს კათარზისი), ფინანსებს ასევე პარტიის კადრი გააკონტროლებს, სამეთვალყურეო საბჭო კი იმის შიშით, რომ ლეჟავასნაირი "იაღლიში" აღარ მოუვიდეს, ყველაფერს ხანგრძლივი, მქუხარე აპლოდისმენტებით დააკანონებს.

მოდელი უეჭველი წარმატების გარანტია მისთვის, ვინც რკინიგზის სალაროს და სხვა ბერკეტებს აკონტროლებს. ადრე ეს ნომინალურად აკაკი ჩხაიძე და რეალურად პრეზიდენტი შევარდნაძე იყო. ფორმატის შეუცვლელად სქემაში მხოლოდ ახალი გვარ-სახელები ჩაჯდა: ნომინალური ერეკლე ქიქოძე (საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი) იქნება, რეალური - ზურაბ ჟვანია. თუმცა ეს დაყოფაც სრულებით პირობითია, რადგან ერეკლე ქიქოძე ისევე გახლავთ ზურაბ ჟვანიას კადრი, როგორც ზურაბ ნოღაიდელი, მიხეილ მაჭავარიანი თუ ბევრი სხვაც. და თუ აქამდე სახმინისტრის საქმეებს იგივე მაჭავარიანი და ნოღაიდელი აკეთებდნენ, დღეს მათ რიცხვს უკვე ქიქოძეც შეემატა. შეემატა და საქმესაც აკეთებს - რკინიგზაში ხელების დაფერთხვის შემდეგ უკვე სააქციო საზოგადოება "მადნეულის" ჯერი დადგა.

## ჩემი ოქრო ჩემთან!

"მადნეულში" სახელმწიფო ქონებაზე ახალ მონადირეებს სტრატეგია არ შეუცვლიათ - ყველაფერი აქაც სამეთვალყურეო საბჭოს შეცვლის მცდელობით დაიწყო. საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი ერეკლე ქიქოძე სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევას გამალებით ცდილობდა. საბოლოოდ ამ მიზნით სასამართლოს მიმართა და თავისას მიაღწია კიდეც. თუმცა, საკითხავია, რის ფასად. სასამართლომ მოიწვია კრება საწარმოთა მართვის სააგენტოს მოთხოვნით, როცა იმ მომენტისათვის "მადნეულის" აქციების მფლობელად ირიცხებოდა... სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. ანუ სააგენტო, რომელმაც იმდენადაც არ შეიწუხა თავი, რომ დროულად შეეტანა ცვლილებები რეესტრში (რითაც აქციების მფლობელად ქონების მართვის სამინისტროს სამართალმემკვიდრედ დაფიქსირდებოდა), არასათანადო მხარე იყო. როდესაც ასეთ იურიდიულ ნიუანსებს ყურადღებას არ აქცევენ, მიზეზი, როგორც წესი, ორია ხოლმე: ან უცოდინარობა, ან სრული დაუსჯელობის განცდა. ამ შემთხვევაში რომელია, სულ ერთია. ფაქტია, რომ ძალამ აღმართი ისევ მოხნა.

ცხადია, ასეთი ხარვეზის გამო ლოგიკური იქნებოდა, სასამართლოს საქმე საერთოდ რომ არ განეხილა, მაგრამ ყველაფერი გასაგები ხდება, როცა ირკვევა, ვინ იყო მოსამართლე. ეს ადამიანი ბოლნისის ლეგენდარული მოსამართლე ლუიზა ხუციშვილი გახლდათ, რომელიც "მადნეულთან" დაკავშირებული საქმეების სტაჟიანი "სპეციალისტია". მან ჯერ კიდევ 1997 წლის თებერვალში შპს "კვარციტში" მადნეულის კუთვნილი 50-პროცენტიანი წილიდან 24 პროცენტი უკანონოდ გადასცა ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ "ფულის სარეცხ საამქროს" - კომპანია "ეფიშიენთ რესორსიზს", რომელიც მთელი ორი წლის განმავლობაში "მადნეულის" შემოსავლების მეოთხედს აბსოლუტურად უკონტროლოდ ითვისებდა. იმავე მოსამართლემ 1998-2000 წლებში არაერთხელ დააყადაღა "მადნეულის" ანგარიშები კომპანია "ინგასოს" სასარგებლოდ, რომლის ხელმძღვანელების წინააღმდეგ ათეულობით საქმეა აღძრული "მადნეულიდან" თანხების მიტაცებაზე. და საერთოდ, ქალბატონი ხუციშვილი წლების მანძილზე სრულ კარტ-ბლანშს აძლევდა ლევან მამალაძეს და მის დოსტებს "მადნეული"-"კვარციტის" კომპლექსში აღვირახსნილი ბოგინისთვის. ჩვეულება რომ რჯულზე უმტკიცესია, კიდევ ერთხელ დადასტურდა და მოსამართლე ხუციშვილი ახალ ხელისუფლებასაც უპრობლემოდ მოემსახურა. მთელ ამ ისტორიას კი საეჭვოდ დაემთხვა ერთი გარემოება: ხუციშვილს, რომელსაც უფლებამოსილების ვადა 12 იანვარს გასდიოდა, ეს ვადა უამრავი დარღვევის მიუხედავად, რატომღაც მაინც გაუგრძელდა და საშუალება მიეცა, "მადნეულის" საქმეზე კიდევ არაერთი გადაწყვეტილება გამოეტანა. მოსამართლე, როგორც ხედავთ, ვალში არ დარჩენილა.



რაღა დარჩა? ფოთის პორტი...

სასამართლოს მიერ დანიშნულ კრებაზე ერთადერთი მოქმედი პირი იყო, რომელიც სხდომასაც უძღვებოდა, საკითხსაც აყენებდა, ხელსაც იწევდა და გადაწყვეტილებასაც იღებდა - ერეკლე ქიქოძე. შედეგად "მადნეულმა" მიიღო ახალი სამეთვალყურეო საბჭო - უაღრესად საინტერესო პიროვნებათა კრებული, რომელმაც ქართული მრეწველობის ერთ-ერთ ყველაზე ხელშესახებ აქტივს უნდა გაუწიოს ზედამხედველობა.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 69 წლის გეოლოგი ვლადიმერ გუგუშვილი აღმოჩნდა - პიროვნება, რომელმაც დანიშვნის მომენტშივე თავმომწონედ განაცხადა, რომ "გაერთიანებულ დემოკრატებს" ეთაყვანება. პოლიტიკით ასე აქტიურად დაინტერესებამდე ბატონი გუგუშვილი ქართულ-ავსტრალიური კომპანია "ტრანსჯორჯიან რისორსიზის" დამფუძნებელი გახლდათ. კომპანიისა, რომელიც ავსტრალიური "კროპვუდის" და საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის შვილობილი გახლავთ. "კროპვუდი" იმ "ბოლნისი მაინინგის" დამფუძნებელია, რომელიც 10 წლის მანძილზე უმოწყალოდ აჩანაგებდა "მადნეულის" ოქროს კომპლექსს და პასუხი არავის მოუთხოვია. თავად "ტრანსჯორჯია რისორსიზი" კი ის კომპანიაა, რომელიც ჯერ სავსებით უკანონოდ შეიქმნა (მისი დამფუძნებელი ქართული მხრიდან სახელმწიფო უწყება - გეოლოგიის დეპარტამენტია, რაც კანონის უხეში დარღვევაა), შემდეგ კი ავსტრალიელებს 5 მილიონ დოლარად გეოლოგიის დეპარტამენტის ანუ სახელმწიფოს კუთვნილი სახელმწიფო ინფორმაცია მიჰყიდა. მოკლედ, ბატონ გუგუშვილს "მადნეულის" წინაშე ბევრი "დამსახურება" გააჩნია.

ავსტრალიელებთან კავშირი გააჩნდა სამეთვალყურეო საბჭოს კიდევ ერთ წევრს, არასამთავრობო სექტორის ღირსეულ წარმომადგენელს ვაჟა სალამაძეს, რომელიც "ბოლნისი მაინინგის" დამცველი კომპანია "პირველი ლობის" დამფუძნებელი გახლდათ. ავსტრალიელებთან დაკავშირებული კადრია ავთანდილ უგრეხელიძეც, რომლის ღირსებად დღეს ის მიიჩნევა, რომ "კვარციტის" უზნეო მენეჯმენტმა სამსახურიდან დაითხოვა.

სამეთვალყურეო საბჭოში აღმოჩნდა თავად საწარმოთა მართვის სააგენტოს ორი წარმომადგენელიც, რომლებიც საჯარო მოხელეთა კანონის მიხედვით იქ არანაირად არ უნდა მოხვედრილიყვნენ: ვახტანგ ცინცაძე (სააგენტოს მრეწველობის სამმართველოს უფროსი) და შოთა ქელდიშვილი (სააგენტოს ხელმძღვანელის მთავარი მრჩეველი). ეს უკანასკნელი საწარმოში, თურმე, ფინანსებს და ეკონომიკას უხელმძღვანელებს. როგორც ჩანს, მან ისე გამოიჩინა თავი ქონების მართვის სამინისტროში (ქელდიშვილი ყველაზე სკანდალური ქონების მართვის მინისტრის, მიხეილ უკლებას მოადგილეობიდან მოდის), რომ მისი საბჭოში ინტეგრირება გარდაუვალი იყო.

სამეთვალყურეო საბჭოს კიდევ ერთი წევრი არასამთავრობო სექტორის საკმაოდ თვალსაჩინო წარმომადგენელი, ასოციაცია "მწვანე ტალღის" ხელმძღვანელი მაკა ჯახუა გახლავთ. ქალბატონი მაკა წლების განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და აქტიურ არასამთავრობოს წარმატებულად ხელმძღვანელობს, თუმცა, "მადნეულის" მეთვალყურეებში მის მოხვედრას უფრო მეტად ზურაბ ჟვანიას კურსელობას მიაწერენ.

ასე რომ, სახელმწიფო მინისტრის აქტივში კიდევ ერთი მძლავრი აქტივია - "მადნეულის" კომპლექსი ჟვანიასადმი აბსოლუტურად ლოიალური (თუ არ ვიტყვით, მორჩილი) 9-კაციანი სამეთვალყურეო საბჭოთი, რომელიც სახმინისტრის ყველა სურვილს ისეთივე წარმატებით "დაშტამპავს", როგორც ანალოგიური 15-კაციანი სტრუქტურა რკინიგზაში.

ახლა "მადნეულშიც" ჯერი ვარშალომიძის მსგავსი მორჩილი გენერალური დირექტორის დანიშვნაზეა, რასაც სამეთვალყურეო საბჭო მაშინვე აღასრულებს, როგორც კი ამ სახის გადაწყვეტილების მიღებას სასამართლო "ემბარგო" მოეხსნება.

## ესაა ჩემი ნავსაყუდელი!

რაღა დარჩა? ფოთის პორტი. რკინიგზისა და "მადნეულის" შემდეგ ლოგიკურად სწორედ მისი რიგია, მაგრამ მასთან მიკარება არა მხოლოდ სახელმწიფო მინისტრისთვის, არამედ ნებისმიერი სხვა თანამდებობის პირისთვისაც უკვე პოლიტიკურად არაკორექტული გახდა, ვინაიდან პორტის ხელმძღვანელმა ჯემალ ინაიშვილმა არათუ დროზე იყნოსა საფრთხე და თავი "ნაციონალებს" შეაფარა, არამედ პოსტაბაშიძისეული აჭარის ლიდერობაზე ერთ-ერთ რეალურ კანდიდატადაც განიხილება.

ეს, ალბათ, სტატუს-კვოს შენარჩუნებისათვის საკმარისი იქნება და აღარავის გაახსენდება, რომ ჯემალ ინაიშვილი შევარდნაძე-ახვლედიანების დაჯგუფების ერთ-ერთი სერიოზული საყრდენი და მათთვის სავსებით სანდო პირი იყო. იმდენად სანდო, რომ ჯერ გურამ ახვლედიანის მოადგილე გახდა სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, შემდეგ კი, "იმ შორეულ" 1998 წელს გურამ ახვლედიანმა სწორედ ბატონი ჯემალი შეარჩია და მიავლინა თავისი ახალი "სამფლობელოს" - ფოთის პორტის ხელმძღვანელად, რომელიც საოჯახო ბიზნესის ერთ-ერთ ფუძე-ობიექტად იქცა და ყოფილი პრეზიდენტის გარემოცვის პირადი (და არა სახელმწიფო) ხაზინის უმსხვილესი დონორობა იკისრა. ეს "სამფლობელო" ახვლედიანებმა (შესაბამისად, პორტის უფროსობა - ინაიშვილმა) მას შემდეგ მიიღეს, რაც ბურუსით მოცულ ვითარებაში პორტის ყოფილი უფროსი ვალერი გეგიძე დაიღუპა. ამ ბურუსის გაფანტვა შევარდნაძე-ახვლედიანების ზეობისას, ცხადია, არავის უცდია. ალბათ, არც ახლა ეცდება ვინმე, რადგან პორტის მოქმედ უფროსს ახვლედიანების კალთის მოშლის შემდეგ სხვა, არანაკლებ თბილი და მზრუნველი კალთა ხურავს და ჯერ არც საიმისო ნიშნები ჩანს, რომ მას ამ კალთას ახდიან.

შესაბამისად, ფოთის პორტში, საუკეთესო შემთხვევაში, ალბათ, მხოლოდ აბრები გამოიცვლება. მართვისა და ფინანსური ნაკადების მოძრაობის სქემა კი უცვლელი დარჩება: თუ ადრე ეს უკონტროლო არხები შევარდნაძე-ახვლედიანების ქისაში მიედინებოდა, ახლა, საუკეთესო შემთხვევაში, აჭარის ლომის დამხობის ეკონომიკურ საფუძველს შექმნის. ანუ ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო ქონება პოლიტიკური ბრძოლისა და გავლენის სფეროების გადანაწილების ბერკეტი ხდება და არა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და შემოსავლების მობილიზების ქმედითი ინსტრუმენტი.

## ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ!

ბანალურია, არა? სამაგიეროდ, კვლავ აქტუალურია. როგორც წესი, ახალი ხელისუფლების საქმიანობის პირველ შეფასებას 100 დღის შემდეგ აკეთებენ ხოლმე. ამ 100 დღის შესრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი დარჩა, მაგრამ უკვე კატასტროფული ტემპით გროვდება ის კრიტიკული მასა, რომელიც ხელისუფლების თანმიმდევრული გაბანკროტების უტყუარი ნიშანია.

ხელების გრეხით გატანილი საეჭვო ღირებულების მქონე საკონსტიტუციო ცვლილებები, მრავალი კითხვის ნიშნის წარმომშობი საკადრო პოლიტიკა, თვითმმართველობის არჩევითობის დაკონსერვება, გავლენის სფეროებისთვის თავგამოდებული ბრძოლა და მრავალი სხვაც სწორედ ის ფაქტორებია, რომელთა ყოველდღიური მოძლიერება პირდაპირპროპორციულად ზრდის იმ საზოგადოების უკმაყოფილებას და პროტესტს, რომელიც სწორედ ამ მანკიერებების დასამხობად ათეულ ათასობით ადამიანის სახით გამოვიდა ქუჩაში და რამდენიმე კვირის განმავლობაში უკეთესის იმედით სველდებოდა და ითოშებოდა.

საბედნიეროდ, რევოლუცია უსისხლოდ და წარმატებით დასრულდა, მაგრამ, როგორც ყველა რევოლუციას ახასიათებს, მის შემდეგ "ვარდთა და ნეხვთა მზე სწორად" მოეფინა. შესაბამისად, მისი შედეგების მომკასაც ყველა თავისებურად ცდილობს, მაგრამ ყველა არ ითვალისწინებს, რომ ვარდის რევოლუციონერებმა შევარდნაძის დამხობით და მის მიერ დაწერილ პრინციპებზე თეორიული უარის თქმით უკიდურესად მაღალ დონემდე ასწიეს თამასა. ახლა მოსახლეობა მათთვის არნახული ნდობის სახით გაცემული თამასუქების განაღდებას ითხოვს. სამწუხაროა, მაგრამ შევარდნაძის პრინციპებზე უარის თქმა ჯერ მხოლოდ თეორიულ დაპირებად რჩება. პრაქტიკაში შევარდნაძის ბუდის ყოფილი ბარტყები კვლავ აქტიურად სარგებლობენ აღმზრდელის არსენალში დამკვიდრებული მეთოდებით. ჯერ ძნელია თქმა, ვერ ახერხებენ თუ არ უნდათ მათზე უარის თქმა. თუ პირველია მიზეზი, ეს კიდევ ნაკლები უბედურებაა, თუ მეორე - სრული კატასტროფა.

ერთი კი დღესვე ცხადია: რევოლუციის ვარდს სურნელოვანი ფურცლები დიდი ხანია, გასცვივდა. ქვეყანაში ეკლების კრეფის დრო დგება.


## საველე ინჟინერი

**BP-ს პროექტებისათვის, BP-ს სრული ზედამხედველობით, IRA Ltd.**
**ეძებს სათანადო კვალიფიკაციის პირს საველე ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად.**

**სამუშაოს აღწერა:**

ობიექტებთან და პროექტთან დაკავშირებული ტექნიკური და საინჟინრო საკითხების მენეჯმენტი, საველე და ადგილზე მომუშავე საინჟინრო ჯგუფების კოორდინირება და მხარდაჭერა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ობიექტების პროექტების წარმატებით განხორციელების მიზნით.

საველე ინჟინრის სამუშაო ადგილი იქნება ველზე, იგი იცხოვრებს საველე კემპში.

**როლები და პასუხისმგებლობები**

- ველზე კონტრაქტორის სამშენებლო საქმიანობის ტექნიკური მონიტორინგი, კონტრაქტის მოთხოვნების გათვალისწინებით
- ველზე საერთო ხარისხის უზრუნველყოფისთვის ობიექტების საველე ინჟინრის დახმარება
- ხარისხის მენეჯერის დახმარება კონტრაქტორის მიერ ტექნიკური მოთხოვნების დაცვის შემოწმებისას
- კონტრაქტორის მეთოდებთან დაკავშირებული დოკუმენტების გადასინჯვა
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შემოწმებების ჩატარება
- კონტრაქტორის მიერ აღჭურვილობის მოვლა-მომსახურების მონიტორინგი
- დახმარება ექსპლუატაციაში გამშვები ჯგუფისათვის სისტემების გადაცემისას
- მშენებლობის დროს ძირითადი პუნქტების დამოწმება

**მოთხოვნები:**

- შესაბამისი ინჟინრის ხარისხი
- პროგრამების MS Word, Excel, PowerPoint, MS Project, MS Outlook და ინტერნეტის კარგად ცოდნა
- სასურველია გამოცდილება ობიექტების მშენებლობის სფეროში
- შესაბამისი საინჟინრო დისციპლინის საფუძვლიანად ცოდნა, სხვა დისციპლინების კარგ ტექნიკურ ცოდნასთან ერთად
- ინგლისური, რუსული და ქართული ენების კარგად ცოდნა
- ადამიანებთან ურთიერთობის და გუნდური მუშაობის კარგი უნარი, მოტივირებულობა და ტაქტის გრძნობა
- შესაძლებლობა იმოგზაუროს, ბევრი დრო გაატაროს ველზე და იცხოვროს ბანაკში
- კომუნიკაციისა და ადამიანებთან ურთიერთობის კარგი უნარი
- სურვილი და შესაძლებლობა, მჭიდროდ ითანამშრომლოს კონტრაქტორის შტატთან და ველზე კონტრაქტორის საქმიანობაზე გავლენის მოხდენის უნარი
- იყოს ორგანიზებული, პრაქტიკული და რეალისტი პიროვნება
- ჰქონდეს სურვილი, უზრუნველყოს BP-ს ძირითადი ფასეულობების და ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი უფლებების (GHSER) განხორციელება

**განცხადების შეტანა / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თქვენ თვლით, რომ გაგაჩნიათ ამ როლის შესრულებისათვის საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) და შეავსოთ განაცხადის ფორმა, რომლის მიღებაც შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2004 წ 1 მარტი, 18:00 საათი.

აუცილებელია იყოთ საქართველოს მოქალაქე.

**განხილული იქნება ყველა მიღებული განცხადება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველას მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**კადრების განყოფილება**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია BP**
**საბურთალოს ქ. N 38, თბილისი, საქართველო**


# საქართველოს საგარეო ვალი 4 მილიარდ ლარს აღწევს

თამარ ივანიძე

*იმ მემკვიდრეობაში, რომელიც საქართველოს ახალ ხელისუფლებას ერგო, არის საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ვალები, რომელთა საერთო რაოდენობამ, 2004 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, 3 მილიარდ 907 მილიონ 208 ათასი ლარი შეადგინა (1 მილიარდ 851 მილიონ 759 ათასი დოლარი). ამ ვალების მომსახურებისთვის (ანუ პროცენტების გადასახდელად) საქართველოს ხელისუფლებას მომავალი წლის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებში 88 მილიონი ლარის ხარჯის გათვალისწინება მოუხდა.*

ეს 88 მილიონი ლარი კიდევ არაფერია იმ თანხებთან, რომლის გაღებაც ბიუჯეტს პარიზის კლუბში წარუმატებელი მოლაპარაკების შემთხვევაში შეიძლება დაემუქროს. თუმცა, ახალი ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ პრობლემები არც საერთაშორისო ფონდთან შეექმნება, რომელმაც პარიზის კლუბში საქართველოს მხარდაჭერა უნდა გამოუცხადოს.

პარიზის კლუბში შეხვედრა მაისი-ივნისისთვის შედგება, სადაც ვადამოსული დავალიანებების დიდი ნაწილის რესტრუქტურიზება უნდა მოხდეს. საუბარია ავსტრიის (96 მილიონ 745 ათასი დოლარი), ნიდერლანდების (შედის ევროგაერთიანების ვალში), აზერბაიჯანის (16 მილიონ 190 ათასი აშშ დოლარი), რუსეთის (156 მილიონ 858 ათასი აშშ დოლარი), გერმანიის (25 მილიონ 967 ათასი აშშ დოლარი), აშშ-ს (39 მილიონ 620 ათასი აშშ დოლარი), იაპონიის (37 მილიონ 655 ათასი აშშ დოლარი), კუვეიტის (13 მილიონ 203 ათასი აშშ დოლარი), უზბეკეთის (802 ათასი აშშ დოლარი), ჩინეთის (3 მილიონ 29 ათასი აშშ დოლარი) წინაშე ვალის რესტრუქტურიზებაზე.

საქართველოს საგარეო ვალებში შედის ის ვალებიც, რომელზეც სახელმწიფომ თავის დროზე სახელმწიფო გარანტიები გასცა - საუბარია 56 და 36 მილიონზე, რომელიც კერძო ფირმების, მათ შორის სასტუმრო "მეტეხის" ვალსაც წარმოადგენს. ამ ვალების ირგვლივ, როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, ამ ეტაპზე პრობლემები არ წარმოქმნილა და მათ ვალის უშუალო ადრესატები ისტუმრებენ.

### საქართველოს საგარეო ვალები

| | | კრედიტის ვალუტა | ვალის ნაშთი კრედიტის ვალუტებში(ათასი) | ვალის ნაშთი აშშ დოლარებში (ათასი) | ვალის ნაშთი ლარში(ათასი) |
|---|---|---|---|---|---|
| | სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები | | | 1,851,757 | 3,907,208 |
| | მრავალმხრივი კრედიტორებისაგან: | | | 1 000 223 | 2 110 470 |
| 1. | მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია | SDR | 395 387 | 590 365 | 1 245 669 |
| 2. | ევროკავშირი | EUR | 92 000 | 113 822 | 240 165 |
| 3. | სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი | SDR | 4 003 | 5 977 | 12 611 |
| 4. | საერთაშორისო სავალუტო ფონდი [illegible] | SDR | 194 263 | 290 059 | 612 025 |
| | ორმხრივი კრედიტორებისაგან: | | | 758 339 | 1 600 095 |
| 1. | ავსტრია | EUR | 78 197 | 96 745 | 204 133 |
| 2. | აზერბაიჯანი | USD | 16 190 | 16 190 | 34 160 |
| 3. | თურქმენეთი | USD | 253 190 | 253 190 | 534 202 |
| 4. | თურქეთი | USD | 54 338 | 54 338 | 114 653 |
| 5. | ირანი | USD | 12 826 | 12 826 | 27 063 |
| 6. | რუსეთი | USD | 156 858 | 156 858 | 330 971 |
| 7. | სომხეთი | USD | 19 593 | 19 593 | 41 341 |
| 8. | უზბეკეთი | USD | 802 | 802 | 1 691 |
| 9. | უკრაინა | USD | 549 | 549 | 1 158 |
| 10. | ყაზახეთი | USD | 27 774 | 27 774 | 58 603 |
| 11. | ჩინეთი | CHF | 3 821 | 3 029 | 6 391 |
| 12. | გერმანია | EUR | 20 969 | 25 967 | 54 790 |
| 13. | იაპონია | JPY | 3 988 917 | 37 655 | 79 453 |
| 14. | კუვეიტი | KWD | 3 890 | 13 203 | 27 858 |
| 15. | ამერიკა | USD | 39 620 | 39 620 | 83 598 |
| | სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები | | | 93 196 | 196 643 |
| 1. | გერმანია | EUR | 45 748 | 56 599 | 119 425 |
| 2. | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი | USD | 36 596 | 36 596 | 77 218 |

# რუსეთს სისხლიანი არჩევნები უახლოვდება

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

**"ეს იქნება ყველაზე სისხლიანი საპრეზიდენტო არჩევნები თანამედროვე რუსეთის ისტორიაში,"** - აცხადებენ რუსი პოლიტიკოსები. მოსკოვი დღითი-დღე დენთის კასრს ემსგავსება. ქუჩებში მომრავლდა სამხედრო პატრული, მაგრამ სპეცსამსახურების მოჩვენებითი გააქტიურება დაუცველი მოსკოველებისათვის ვერაფერი ნუგეშია. მოსკოვში თითქმის ყოველდღე ტრაგედია ხდება, რასაც უდანაშაულო ადამიანები ეწირებიან.

პირადად შევესწარი მოსკოვის მეტროში ასეთ ინციდენტს: ხალხით გავსებულ ვაგონში ახალგაზრდა გოგონას უცებ ისტერიკა დაემართა. **"ახლავე მაჩვენე, რა გაქვს ჯიბეში,"** - დააცხრა იგი გვერდით მჯდომ ოციოდე წლის კავკასიელ ახალგაზრდას. მგზავრებმა დაბნეულ ბიჭს ქურთუკი ლამის ტანზე შემოახიეს. ჯიბეში მას მხოლოდ სამი ფუნჯი და აკვარელის ორი ქილა უპოვეს.

მოსახლეობის მღელვარება კულმინაციას აღწევს. თუ ასე გაგრძელდა, ხალხი, ალბათ, ქუჩაში გამოვა. რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა დრო რჩება. ნათელია, რომ 14 მარტის არჩევნებში ისევ ვლადიმირ პუტინი გაიმარჯვებს, მაგრამ, უცნობია, კიდევ რამდენი ტრაგედია დატრიალდება რუსეთის ტერიტორიაზე.

უცნობია, რა მოხდა მოსკოვის ცნობილ "აკვა-პარკში". მოსკოვის ხელისუფლება გამორიცხავს ტერორისტულ აქტს და ტრაგედიას ტექნიკური მიზეზით ხსნის. წინასწარი ვერსიით, შეცდომა სამშენებლო-საინჟინრო გათვლების დროს მოხდა. მოკოვის ერთ-ერთი პრესტიჟული გართობის ცენტრი 2002 წელს თურქულმა ფირმამ ააშენა. ვინაიდან მოსკოვში ამ დღეებში ოცგრადუსიანი ყინვებია, არის ვერსია, რომ ტრაგედია აუზის შიგნით და გარეთ ტემპერატურების კონტრასტმა გამოიწვია. ამის გამო შუშის სახურავი გასკდა და აუზში მყოფი ადამიანები ქვეშ მოიყოლა. დაიღუპა 26 ადამიანი, ხოლო დაშავებულთა რიცხვმა ასს გადააჭარბა. ტრაგედიის დროს აუზში 400-ზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა, ხოლო მთლიანად კომპლექსში 1300-მდე დამსვენებელი იყო. თვითმხილველები ყვებიან, თუ გადარჩენილები საბანაო კოსტუმების ამარა როგორ გარბოდნენ თოვლში. მოსკოვის აკვა-პარკში მომხდარი ტრაგედია მორიგი საშინელებათა ფილმია ყოფით საშინელებებს უკვე მიჩვეული რუსი მაყურებლისათვის. არავინ იცის, თუ რა მოხდება კიდევ – მორიგი ტექნიკური წუნით გამოწვეული ტრაგედია თუ კამიკაძის მიერ მოწყობილი ტერორისტული აქტი.



მორიგი ტრაგედია მოკსოვში.



REUTERS

მრავალმილიონიან მოსკოვში ხელისუფლება ყოველდღე უმტკიცებს საკუთარ ხალხს, რომ რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლეს ფასი არ აქვს. ხელისუფლება უღონო და უმოქმედოა. რუსეთის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა, პრაქტიკულად, უნაყოფოა. საზოგადოებრივ აზრს მეთოდურად ამზადებენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები.

რუსი პოლიტიკოსები, მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების ანალიზისას, ბრძნულად ასკვნიან, რომ პრეზიდენტის უჩვეულოდ მაღალი რეიტინგი ძლიერი ხელის მოლოდინით აიხსნება. "ძლიერი ხელი" კი კრემლის თბილ კაბინეტში ზის და თავის დროს ელის, როცა სისხლითა და ცრემლით გამძვინვარებული მრავალმილიონიანი მასა მისგან "წესრიგის" დამყარებას და ამისათვის ყველა "უცხოელისა" და "არარუსის" გაძევებას მოითხოვს.

# სააკაშვილის მოსკოვური ვიზიტის რუსული შეფასება

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი რუსეთში ისევ იმსახურებს ინტერესს. გთავაზობთ რუსი პოლიტიკოსების შეფასებებს, რომელიც მათ გაზეთ "24 საათთან" საუბრისას გააკეთეს.

რუსი პოლიტიკოსების ერთი ნაწილის განცხადებები უფრო პესიმისტური იყო. მათ მიაჩნიათ, რომ საქართველოს ახალი პრეზიდენტის პირველ სამუშაო ვიზიტს მოსკოვში ორი ქვეყნის ურთიერთობებში სერიოზული გარღვევის მოხდენა არ შეუძლია. "**ორ საათში იმის გამოსწორება, რაც ათი წლის მანძილზე მეთოდურად ვანგრიეთ, არალოგიკურად მიმაჩნია. სსრკ-ს ნგრევის შემდგომმა ქაოსმა ორი ქვეყნის პოლიტიკოსებს მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ამდენად, რაიმე მიღწევას შეიძლება პოლიტიკოსთა ერთი-ორი თაობა დასჭირდეს,"** - ასეთი ვარაუდი გამოთქვა "იაბლოკოს" წევრმა ვლადიმირ ლუკინმა, რომელიც, სხვათა შორის, 13 თებერვალს რუსეთის ომბუდსმენად აკურთხეს.

მოსკოვში საქართველოს პრეზიდენტის პირველი ვიზიტის შედეგებისადმი კრიტიკულად არიან განწყობილნი სამხედრო-პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები. მაგალითად, გენერალი ვიქტორ ალქსნისი მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს ლიდერებს შორის, ფაქტობრივად, შეთანხმება არაფერზე მომხდარა: **"ნუ დაგავიწყდებათ, რომ მარტში რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებია. ანუ, ვლადიმირ პუტინი საქართველოსათვის არ გადადგამს ისეთ არაპოპულარულ ნაბიჯს, როგორიც აფხაზეთის საკითხში კომპრომისი და სამხედრო ბაზების დაუყოვნებლივ გატანაზე პირობის მიცემაა. ეს იყო მხოლოდ შეხვედრა შეხვედრისათვის."**

რუსეთის პარლამენტის უშიშროების კომიტეტის წევრი ვლადიმირ გუდკოვი კი უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი: **"დღეს კრემლს ყველაზე მეტად დსთ-ს ქვეყნებთან საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობა აინტერესებს. საქართველოს პრეზიდენტისაგან პუტინმა მიიღო სერიოზული დაპირება, რომ ტერორისტთა დაკავება-გადაცემა, სამძებრო ღონისძიებების სინქრონიზაცია ორი ქვეყნის სპეცსამსახურების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამდენად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სააკაშვილი-პუტინის შეხვედრის დახურული ნაწილი ამ მხრივ მეტად ნაყოფიერი იყო. დღეს მთავარი სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის სტრატეგიის დასახვა იყო. ამ მხრივ, ეს ვიზიტი პირველი კარგი ნაბიჯია მთელი რიგი პრობლემების გადასაჭრელად."** პოლიტიკოსთა ეს ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი ხელისუფლება შევარდნაძის ეპოქის მანკიერი მხარეებისაგან თავისუფალია, რაც კრემლის ასევე ახალ მესვეურთა თვალში ნდობას იმსახურებს. საქართველოს პრეზიდენტის მოსკოვში სამუშაო ვიზიტის მთავარი პოლიტიკური შედეგი სწორედ ორ ქვეყანას შორის დაკარგული ნდობის აღდგენა გახდა.

ორი ქვეყნის განვითარებაში მანკიერ "პარალელებს" ხედავს პოლიტიკოსთა სხვა ჯგუფი. "**სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესი საქართველოსა და რუსეთში - იგულისხმება სახელისუფლებო ვერტიკალის გაძლიერება - პარალელურად მიმდინარეობს. თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში მალე თავისუფალი გაზეთებისა და ტელეარხების დახურვის მოწმენიც ვიქნებით. ანუ მოხდება ის, რაც რუსეთში ახლა ხდება. მეორე მხრივ, გარდამავალი პერიოდის ნებისმიერმა ქვეყანამ ეს საფეხური მტკივნეულად, მაგრამ მაინც გაიარა. პოსტსაბჭოთა სივრცეში სასიამოვნო გამონაკლისი მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებია. ასე რომ, საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გააქტიურების პერიოდი შეიძლება "გარდაუვალმა ცენზურამ" შეცვალოს,"** - მიიჩნევს ადამიანის უფლებათა ცნობილი რუსი დამცველი ვალერია ნოვოდვორსკაია.

# ევროპა ირჩევს ჯონ კერის

აშშ-ს დემოკრატიული პარტიის ფავორიტი ჯონ კერი პრეზიდენტობისაკენ კვლავ წარმატებით მიიკვლევს გზას. მან ამჯერადაც ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოიგო ნევადას შტატსა და აშშ-ს დედაქალაქ ვაშინგტონში ჩატარებული პრაიმერიზები. ნევადას შტატში ჯონ კერიმ ჰოვარდ დინს სძლია, ხოლო ვაშინგტონში – ელ შარპტონს. ამდენად, 16 შტატიდან ჯონ კერიმ დამაჯერებელი გამარჯვება 14-ში მოიპოვა. დამკვირვებლები დარწმუნებულნი არიან, რომ ის დამაჯერებელ წარმატებას ვისკონსინის შტატშიც მიაღწევს, სადაც პრაიმერიზი სამშაბათს უნდა გაიმართოს.

როგორც ცნობილია, საარჩევნო მარათონს უკვე გამოეთიშა გენერალი უესლი კლარკი. მან თავის "გამოსამშვიდობებელ" სიტყვაში განაცხადა, რომ ყველაფერს იღონებს, რათა ჯორჯ ბუშს თეთრი სახლის ტერიტორია დაატოვებინოს. ამ მიზნით, გენერალმა კლარკმა თანადგომა და აქტიური მხარდაჭერა გამოუცხადა ჯონ კერის და თავის მომხრეებს მოუწოდა, ხმა მისცენ ყველაზე პოპულარულ დემოკრატს.

ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ სწორედ კლარკის ამ განცხადებამ იმოქმედა ნევადას შტატში ამომრჩევლთა აქამდე არნახულ აქტივობაზე.

როგორც ჩანს, კერის პოპულარობამ უკვე რესპუბლიკელთა ბანაკიც შეაშფოთა. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, ჯონ კერიმ უკვე გადაუსწრო რესპუბლიკელთა ერთადერთ ფავორიტს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს. სწორედ ამ შეშფოთებას უნდა მივაწეროთ რესპუბლიკელების შტაბის მიერ მომზადებული და გავრცელებული ვიდეო-მასალა, სადაც ჯონ კერი მიწასთან არის გასწორებული. დემოკრატების ფავორიტი არაპრინციპულობაშია დადანაშაულებული. ჯონ კერიმ ეს დარტყმა მშვიდად მიიღო და განაცხადა, რომ თუ ჯორჯ ბუშს მასთან ასეთი მეთოდებით სურს ბრძოლა, ის ამაზე თანახმაა. **"იმის მაგივრად, რომ ქვეყნის პრობლემების გადაჭრაზე იზრუნოს, მან ამას პოლიტიკური გამოხდომები amჯობინა,"** - განაცხადა ჯონ კერიმ.

ჯონ კერის პრეზიდენტობას ოპტიმიზმით უყურებენ ევროპაშიც. დიპლომატიური ეტიკეტიდან გამომდინარე, ევროპული ქვეყნების ლიდერები აშშ-ს საარჩევნო პროცესის მიმართ სრულ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს, თუმცა ანალიტიკურ წრეებში არ მალავენ, რომ ბოლო დროს გართულებული ატლანტიკური ურთიერთობების გამოსასწორებლად ჯონ კერის გაპრეზიდენტება შეიძლება ურიგო არც კი იყოს.

ჯონ კერის ახლო პირადი ურთიერთობები აქვს ევროპასთან. იგი დიპლომატების ოჯახის შთამომავალია და შვედეთში სკოლაში სწავლობდა. იგი კარგად საუბრობს ფრანგულად. მას საფრანგეთში ნათესავებიც კი ჰყავს, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ. კერი 18 წელი სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში მუშაობდა და საერთაშორისო ურთიერთობებში ბუშზე გაცილებით კარგად ერკვევა.



REUTERS

ჯონ კერის პრეზიდენტობას ოპტიმიზმით უყურებენ ევროპაშიც.

ჯონ კერი, მსოფლიო პოლიტიკის სხვადასხვა პრობლემებზე გამოთქმული მოსაზრებების გამო, ევროპაში ბევრად უფრო პოპულარულია, ვიდრე მოქმედი პრეზიდენტი ბუში, რომელსაც ევროპელები ხშირად ცალმხრივობაში ადანაშაულებენ. "**კერი, გამარჯვების შემთხვევაში, ევროპასთან არსებული უთანხმოებების მოგვარებას უნდა ეცადოს და ამით იგი აუცილებლად შეძლებს ატლანტიკური ურთიერთობების გაუმჯობესებას. ნათელია, რომ მას ევროპელ მოკავშირეებთან თანამშრომლობა სურს. იგი გარემოს დაცვის საკითხებსაც აქცევს ყურადღებას და გაერო-ს ფარგლებში თანამშრომლობასაც ემხრობა,**" - ამბობს გერმანიის ყოფილი პრეზიდენტი რიხარდ ფონ ვაიცზეკერი. არადა, ეს სწორედ ის სფეროებია, სადაც ევროპელები ამერიკელთა ცალმხრივი ნაბიჯებით უკმაყოფილებას ვერ მალავენ. ევროპაში მოწონებას იმსახურებს კერის შეფასებები, რომ ვაშინგტონი საკუთარი ძლიერებითაა "გაბრუებული" და ძირს უთხრის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემას, საერთაშორისო ინსტიტუტებსა და საერთაშორისო სამართალს. კერი ამბობს, რომ შეცდომაა ერაყის რეკონსტრუქციის პროცესიდან საფრანგეთისა და გერმანიის გამოთიშვა. კერის მხარს უჭერენ გერმანიისა და საფრანგეთის ანალიტიკურ წრეებში, რაც, გარკვეულწილად, პოლიტიკური წრეების სიმპათიის გამოძახილიცაა. საინტერესოა, რომ დიდ ბრიტანეთშიც კი, რომლის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ბუშის უახლოეს მოკავშირედაა მიჩნეული, კერის გაპრეზიდენტებას დადებითად უყურებენ. ლონდონსა და ვაშინგტონს შორის არსებობს შეუთანხმებელი საკითხებიც, სადაც უმთავრესი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ბუშის ადმინისტრაციამ ამ პრობლემას თავი ვერ გაართვა. კერის გამარჯვების შემთხვევაში ევროპაში იმედოვნებენ, რომ აშშ უფრო ყურადღებით მოუსმენს ევროპელ კოლეგებს და ამით, ატლანტიკური ურთიერთობებიც გაუმჯობესდება.

# ოლიგარქებს თურქეთშიც შეუტიეს

ოლიგარქების წინააღმდეგ ბრძოლა თურქეთშიც პოპულარული ხდება. თურქეთის ფინანსურმა უწყებებმა 200-ზე მეტი კომპანიის ანგარიშებს ყადაღა დაადეს. ეს კომპანიები ქვეყნის ერთ-ერთ უმდიდრეს სამრეწველო დინასტიას ეკუთვნის, რომელსაც უზანის ოჯახი მართავს. ოფიციალური ორგანოს განცხადებით, სანქციების გამოყენება აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც ამ კომპანიებმა ხუთნახევარი მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის სახელმწიფო სესხის დაფარვა ვერ შეძლეს.

ამასთანავე, თურქეთის ხელისუფლებამ უზანის ოჯახი თაღლითობაში დაადანაშაულა.

უზანის ბიზნეს-იმპერია სხვადასხვა სფეროებს მოიცავს, დაწყებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან და კავშირგაბმულობიდან, სამშენებლო მასალების წარმოებით დამთავრებული. ოჯახის საკუთრებაში მყოფი, ქვეყნის სიდიდით მეორე მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "ტელსიმი" ერთ-ერთია იმ 219 კომპანიიდან, რომელთაც ხელისუფლების სანქციები შეეხოთ.

ფინანსურ მოხელეთა განცხადებით, ოჯახის მფლობელობაში მყოფ, კიდევ ერთ "იმარ ბანკში" ჩატარებული რევიზიის შედეგად, ბანკში თანხების დიდი დანაკლისი აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ კომპანია მალავდა თავის კლიენტთა რეალურ ოდენობას და არარსებულ სახელმწიფო ბონებს ყიდდა.

თურქეთის ხელისუფლება უზანის ოჯახის მაქინაციების შედეგად დაზარალებულ მეანაბრეებს ფულის დაბრუნებას შეჰპირდა.

მთავრობის განცხადებაში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ უზანის ოჯახმა სახელმწიფო სესხის დაფარვის რაიმენაირი გეგმა ვერ წარმოადგინა.

უზანის დინასტიის რამდენიმე წარმომადგენელი, მათ შორის - ოჯახის უფროსი ქემალ უზანი, ძებნაში იმყოფება, მაშინ, როდესაც დანარჩენები კომპანიის ხელმძღვანელებთან ერთად სასამართლოს წინაშე წარდგებიან.

თაღლითობის, გაფლანგვისა და უკანონო ოფშორული გადარიცხვების წარმოების ბრალდებით გაცემულია დაპატიმრების სანქციები ქემალ უზანზე, მის ძმა იავუზზე და ქემალის უმცროს შვილ ხაკანზე.

ბრალდებების პასუხად, უზანის ოჯახის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი პოლიტიკური შანტაჟის მსხვერპლნი გახდნენ. ერთ-ერთი მათგანი ჯემ უზანი, რომელიც გამოძიებასთან დაკავშირებული არ არის, მემარჯვენე ახალგაზრდათა პარტიის ლიდერია.

## ორი სიტყვით

**ერაყი.** შაბათს ერაყის ქალაქ ფალუჯაში პარტიზანთა დიდმა ჯგუფმა რამდენიმე საათით ადგილობრივი უშიშროებისა და პოლიციის ბაზა დაიკავა. თავდამსხმელებმა ციხეში მყოფი 100-მდე პატიმარი გაუშვეს. ფალუჯა ბაღდადის ახლოს მდებარეობს და ანტიამერიკული წინააღმდეგობის ფრონტის ერთ-ერთ ცენტრად მიიჩნევა. თავდასხმის შედეგად 30-მდე ადამიანი დაიღუპა და 30-მდე დაიჭრა. თავდამსხმელები ავტომატურ იარაღსა და ყუმბარმტყორცნებს იყენებდნენ. თავდასხმის დროს არსად ჩანდნენ ამერიკელი სამხედროები, რომლებიც ქალაქების დაცვას თანდათანობით ერაყის უშიშროების სამსახურებს გადასცემენ. ერაყული დანაყოფები კი ჯერაც სუსტია პარტიზანთა თავდასხმების მოსაგერიებლად. ეს უკვე მესამე მსგავსი თავდასხმა იყო გასული კვირის განმავლობაში. იმავდროულად, გუშინ ბაღდადში სადამ ჰუსეინის მმართველი პარტიის ბაასის ერთ-ერთი გამოჩენილი სახე, მუჰამად ალ-სადუნი დააკავეს. იგი ამერიკელთა მიერ ძებნილ 55 პირს შორის იყო. სადამის რეჟიმის დროს, ალ-სადუნის ბაასის პარტის ერთ-ერთი რეგიონული ბიუროს ხელმძღვანელის პოსტი ეკავა. აშშ ადმინისტრაციას მასზე 1 მლნ დოლარი ჯილდო ჰქონდა დაწესებული.

■ ■ ■

**ყაზახეთი.** ყაზახეთმა და ჩინეთმა სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესი დაასრულეს. ორ ქვეყანას შორის საზღვარი 1 782 კილომეტრია. ყაზახეთის სასაზღვრო უწყების ინფორმაციით, დელიმიტაციის პროცესი ჯერ კიდევ შარშან დასრულდა, თუმცა ოფიციალური ძალა მას ახლა მიეცა. დელიმიტაციის პროცესი რთული არ ყოფილა, რადგან ორ ქვეყანას შორის ტერიტორიული დავა არ არსებობს, - მიიჩნევენ ყაზახეთში.

*გამოხმაურება*

# ედუარდ შევარდნაძე: "ფერო" საქართველოსია, ყველასია, მათ შორის ჩემიც

## პასუხი ჩემს ახალგაზრდა კოლეგას

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან და მის კოლექტივთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს.

იმერეთის დღევანდელი რწმუნებული მაშინ ბავშვი იქნებოდა და შეიძლება, ყველაფერი კარგად არ ახსოვს. ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელსაც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მართლაც, დანგრევის პირას იყო მისული - ულმერთოდ ღრჩოლავდა და იქაურები, ლამის, ვაზის გაშენებასაც ანებებდნენ თავს.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ალექსი კოსიგინი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბიჭვინთაში ისვენებდა. შვებულება დაუმთავრდა, დამირეკა და მთხოვა - თუ დრო გექნებათ, თბილისში ჩამოსვლა მინდა და ერთად ვიმგზავროთო. რა თქმა უნდა, დავეთანხმე. ღამე წყალტუბოში გავათენეთ და დილაადრიან დავადექით გზას თბილისისაკენ. როცა ზესტაფონს მივუახლოვდით და როდესაც უზარმაზარი ამონაბოლქვი მასა გამოჩნდა, ეს რა არისო - კოსიგინმა მკითხა. ყველაფერი ავუხსენი და ქარხნის ისტორიაც მოვუყევი. კი მაგრამ, ეს ხომ მავნებელია ადამიანისთვის, ბუნებისთვის - გაოცდა კოსიგინი. მე ვიცოდი, რომ მას ასეთი რეაქცია ექნებოდა და ვთხოვე, ქარხანაში შეგვევლო და საამქროები დაგვეთვალიერებინა. ნანახით იგი აღშფოთებული დარჩა, ასეთ მდგომარეობაში ხომ "დემიდოვის" ქარხნებიც არ იყოო - ბრძანა და თანაშემწეს, შავი მეტალურგიის მინისტრისა და საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე დეპეშის ტექსტი უკარნახა, სადაც მათ საგანგებო დავალებებს აძლევდა. დეპეშის ასლი მე გადმომცა და მთხოვა, თვალყური მედევნებინა, თუ როგორ შესრულდებოდა მისი განკარგულება. მოკლე ხანში მართლაც დაიძრა ზესტაფონისკენ ვაგონები ახალი ღუმელებით; იაპონელებთან გაფორმდა ხელშეკრულება მავნე აირების საწინააღმდეგო დანადგარების შესყიდვის შესახებ და 2-3 წელიწადში ქარხანაში, კედლების გარდა, ყველაფერი შეიცვალა. ფეროს ძველ მუშაკებს ეს დრო კარგად ემახსოვრებათ, მით უმეტეს, რომ რამდენიმე თვის წინ, ზესტაფონში სტუმრობისას, მაშინდელი მოვლენები მუშა-მოსამსახურეებთან ერთად გავიხსენეთ...

ასეთ ქარხანას ყოველთვის სჭირდება შეძლებული მფლობელი, რომელიც საბაზრო ეკონომიკის, კაპიტალიზმის პირობებში სახსრებს არ დაიშურებს ქარხნის მუდმივი განახლებისა და საჭირო რეკონსტრუქციისთვის.

ასეთი ინვესტორიც გამოჩნდა. "დცმ დეკომეტალის", უძველესი და უძლიერესი ავსტრიული კომპანიის წარმომადგენლები, ზესტაფონის შემდეგ, თბილისში ჩამოვიდნენ ჩემთან შესახვედრად. თანხა, რომელიც მათ დაასახელეს ქარხნის საფასურად, სოლიდური იყო - 7 მილიონი დოლარი. ამ დროს ჭიათურაც ამოქმედდა და "ფეროსაგან" ბიუჯეტში შენატანებიც გაორმაგდა (თუ მეტი არა).

როგორც ხედავთ, გარკვეული წვლილი ფეროშენადნობთა ქარხნის განახლებაში და რიტმულად ამუშავებაში შევარდნაძეს აქვს შეტანილი და არა მის ოჯახს.

ამ წერილის მიზანიც ისაა, რომ ჩემს ახალგაზრდა კოლეგას ვურჩიო: რასაც გააკეთებთ, ცუდსა და კარგს, ყველაფერი წინ დაგხვდებათ. ასე იოლად ნუ წამოჰკრავთ ხელს ადამიანის ღირსებას! ცილისწამება, მე მგონი, უდიდესი ცოდვაა, რომელიც აუცილებლად ყველას მოეკითხება. ხომ შეუძლია ვილაცამ თქვას, რომ დღეს თქვენ ჭიათურის მარგანეცის მოპოვებაში გაქვთ წილი, დავიჯეროთ? - მე არ მჯერა.

და კიდევ ერთი - ახლაც გრძელდება ცილისმწამებლური გამოსვლები პრესით, ტელევიზიით, რასაც საზოგადოების მხრიდან აუცილებელი რეაგირება სჭირდება, რათა უპასუხოდ არ დარჩეს ასეთი გამოხდომები.

ვაცხადებ: მე "ფეროზე" მაქვს ამაგი და ისე, როგორც ყველა ზესტაფონელს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, შემიძლია ვთქვა: "ფერო" საქართველოსია, ყველასია, მათ შორის ჩემიც, რადგან იქ შექმნილი პროდუქცია მნიშვნელოვანი კომპონენტია მსოფლიო ბაზრისთვის და ჩემი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტისთვის.

*ედუარდ შევარდნაძე*

*შიმშილობა*

# უკომპრომისო გარემო



*ოპოზიციონერი მოშიმშილეები.*



*რექტორის მხარდამჭერი მოშიმშილეები.*

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტოები

*სოხუმის უნივერსიტეტში ორი დაპირისპირებული მხარე შიმშილობს. მეორე სართულზე რექტორის კაბინეტის წინ ოპოზიციონერი სტუდენტები ითხოვენ სამი პირის გადადგომას (რექტორი ოთარ ჟორდანია, პრორექტორი თემურ ჩილაჩავა და უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორი მერი გაბედავა) და უნივერსიტეტში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, ხოლო მესამე სართულზე - რექტორის მხარდამჭერი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები შიმშილობენ.*

ზაზა ფაჩუაშვილი

რექტორის მხარდამჭერები მოითხოვენ, რომ ოპოზიციის მიერ "ვარდების რევოლუციად" მონათლული აქცია შეფასდეს, როგორც კანონსაწინააღმდეგო ქმედება, მოშიმშილეებისგან გათავისუფლდეს ადმინისტრაციული შენობა, აღდგეს სასწავლო პროცესი და შესაბამისმა სამსახურებმა გამოიძიონ აღნიშნული საქმე. ოპოზიცია არ ეთანხმება არც ერთ მოთხოვნას და ბოლომდე ბრძოლას აპირებს.

თავდაპირველად შესაძლო დიალოგზე ორივე მხარე საუბრობდა, მაგრამ რაც დრო გადის, სოხუმის უნივერსიტეტში გარემო სულ უფრო უკომპრომისო ხდება. დაძაბულობის განმუხტვა ვერც ერთმა ავტორიტეტულმა პიროვნებამ ვერ შეძლო. დაპირისპირებულ მხარეებს თსუ-ს რექტორი როინ მეტრეველიც შეხვდა და კომპრომისული ვარიანტი შესთავაზა - ინიშნება არჩევნები, მაგრამ მანამდე რექტორად რჩება ჟორდანია.

ამას ოპოზიციამ თავისი ვარიანტი დაუპირისპირა – ინიშნება არჩევნები, მაგრამ მანამდე ჟორდანია გადადგება და რექტორის მოვალეობას ორივე მხარისთვის მისაღები პიროვნება ასრულებს. ეს გამოსავალი ჟორდანიასთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან მისთვის გადადგომა წარმოუდგენელი ყოფილა. უმალ თავს მოვიკლავო, - აცხადებს ჟორდანია ერთერთ ინტერვიუში.

აკადემიკოს როინ მეტრეველის ძალისხმევამ მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ ჟორდანია მოშიმშილე სტუდენტებს შეხვდა და საათნახევრის განმავლობაში ესაუბრა. როგორც მოშიმშილეები ამბობენ, მას 19 უპასუხო შეკითხვა დაუსვეს და, ცინიკური დამოკიდებულების გარდა, ვერაფერი მიიღეს. როგორ შეიძლება რექტორობაზე პრეტენზია ჰქონდეს პიროვნებას, რომელიც აცხადებს, რომ არ იცის, რა ხდება მისადმი რწმუნებულ უნივერსიტეტში; მაგალითად, მოშიმშილე სტუდენტების თქმით, მან, თურმე, არ იცის, რომ მერი გაბედავას ხუთი თანამდებობა უკავია (ლექტორი, კანცელარიის უფროსი, გამომცემლობის ხელმძღვანელი, საუნივერსიტეტო გაზეთის რედაქტორი, სახელმწიფო გამოცდების კოორდინატორი). სტუდენტები კატეგორიულად აცხადებენ, - რექტორთან შეხვედრის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ჟორდანია სრულიად ქმედითუუნაროა და მისი ხელმძღვანელობა ყოვლად დაუშვებელიაო.

*ოფიციოზი*

# საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დებულება

**დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 თებერვლის №60 ბრძანებულებით**

**I. ზოგადი დებულებანი**

1. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (შემდგომში - ადმინისტრაცია) იქმნება საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

2. ადმინისტრაცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, კანონებით, ამ დებულებით და საქართველოს პრეზიდენტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

3. ადმინისტრაციას აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, საკუთარი ბლანკი და ანგარიში ხაზინაში.

4. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებებსა და ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობას ადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

5. ადმინისტრაციის ზოგად ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი.

6. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7.

**II. ადმინისტრაციის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები**

7. საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებაში ხელის შეწყობის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს:

ა) საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვის პირობების შექმნას;

ბ) საქართველოს მთავრობის, სამინისტროების და მათი ტერიტორიული ორგანოების მუშაობის კოორდინაციას საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობასთან;

გ) საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის ხელის შეწყობას;

დ) აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ საქართველოს პრეზიდენტის აქტებისა და დავალებების შესრულების საერთო კონტროლს;

ე) საქართველოს პრეზიდენტის ინფორმირებას ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ;

ვ) საქართველოს პრეზიდენტის კანონშემოქმედებით საქმიანობას; საქართველოს პრეზიდენტის აქტების პროექტების მომზადებას, საქართველოს პრეზიდენტის ხელმოსაწერად წარმოდგენილი კანონების ექსპერტიზასა და გამოქვეყნებას;

ზ) საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებისა და განკარგულებების პროექტების ექსპერტიზას;

თ) წინადადებების მომზადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტების შეჩერების ან გაუქმების თაობაზე;

ი) სახელმწიფო ორგანოების შექმნის, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე პროექტების ან წინადადებების მომზადებას;

კ) საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფას;

ლ) საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობის ინფორმაციულ-ანალიტიკურ უზრუნველყოფას;

მ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ საკადრო გადაწყვეტილებების მიღებაში ხელშეწყობას;

ნ) საქართველოს პრეზიდენტის ურთიერთობას საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს მთავრობასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მოქალაქეთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და სხვა ინსტიტუტებთან;

ო) საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ საპროტოკოლო ღონისძიებათა კოორდინაციას;

პ) მთავრობისა და საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ორგანოების სხდომების გამართვის, განსახილველი საკითხებისა და დღის წესრიგის პროექტების მომზადების ორგანიზებას;

ჟ) ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პარლამენტში წარსადგენად საქართველოს პრეზიდენტის მოხსენების პროექტის მომზადებას;

რ) საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლობას;

ს) ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პოლიტიკის საკითხებზე წინადადებების შემუშავებას;

ტ) საქართველოს პრეზიდენტისათვის დასკვნების მომზადებას შემდეგ საკითხებზე: თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულის სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის შეჩერების და დათხოვნის შესახებ, მოქალაქეობის და თავშესაფრის მიცემის შესახებ, სახელმწიფო ჯილდოების, უმაღლესი სამხედრო, სამხედრო სპეციალური და სხვა სპეციალური და საპატიო წოდებების, უმაღლესი დიპლომატიური რანგების მინიჭების შესახებ;

უ) სხვადასხვა ორგანიზაციიდან და დაწესებულებიდან ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამოთხოვას და მიღებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ფ) დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიებისა და იმ სახელმწიფო ორგანოების მუშაობის კოორდინაციას, რომლებიც არ შედიან მთავრობის შემადგენლობაში;

ქ) კანონმდებლობით გათვალისწინებული უწყებათაშორისი და სხვა სახის კომისიების შექმნას;

ღ) საქართველოს პრეზიდენტისათვის წინადადებების შემუშავებას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხორციელების თაობაზე;

ყ) საქართველოს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის მიღებას და პრეზიდენტისათვის ანგარიშის წარდგენას;

შ) კანონმდებლობით საქართველოს პრეზიდენტის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებული სხვა საკითხების რეგულირების ხელშეწყობას.

**III. ადმინისტრაციის სტრუქტურა და შემადგენლობა**

8. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადგილობრივი მმართველობის და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახური;

ბ) კონტროლის სამსახური;

გ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკის სამსახური;

დ) ეკონომიკური, ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის სამსახური;

ე) კადრების სამსახური;

ვ) მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

ზ) მოქალაქეობის საკითხთა, სახელმწიფო ჯილდოების და საპატიო წოდებების მინიჭების სამსახური;

თ) პრეზიდენტის სამდივნო;

ი) სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური;

კ) საქართველოს პრეზიდენტის არქივი;

ლ) საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახური;

მ) საქართველოს პრეზიდენტის მთავრობასთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისა და იურიდიულ საკითხთა სამსახური;

ნ) პროტოკოლის სამსახური;

ო) კანცელარია;

პ) შიდა პოლიტიკის სამსახური;

ჟ) ადმინისტრაციის უფროსის სამდივნო.

9. ადმინისტრაციაში თანამდებობრივად შედიან: ადმინისტრაციის უფროსი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები.

**IV. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა**

10. ადმინისტრაციის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

11. ადმინისტრაციის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით.

12. ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეებს შორის უფლება-მოვალეობებს ანაწილებს და მათი საქმიანობის წესს განსაზღვრავს ადმინისტრაციის უფროსი.

13. ადმინისტრაციის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის საქმიანობას და უზრუნველყოფს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაციას;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საერთაშორისო მოლაპარაკებებსა და ოფიციალურ მიღებებში;

გ) იღებს საზღვარგარეთის ქვეყნების ოფიციალურ დელეგაციებს;

დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ მოსამსახურეებს, გარდა საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციას მიკუთვნებული თანამდებობის პირებისა;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას ადმინისტრაციის მოსამსახურეთა საქმიანობაზე, ახორციელებს მათ წახალისებასა და მათთვის დისციპლინური სახდელების შეფარდებას;

ვ) განსაზღვრავს პირველი მოადგილისა და მოადგილეების ფუნქციურ მოვალეობებს;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს ადმინისტრაციის ფინანსურ სახსრებს;

თ) საქართველოს პრეზიდენტს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილის, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნისა და საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეების კანდიდატურებს;

ი) გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტებს;

კ) ამტკიცებს ადმინისტრაციის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს და ადმინისტრაციის შინაგანაწესს;

ლ) ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის აქტებისა და დავალებების შესრულების კონტროლის კოორდინაციას;

მ) ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტაციას და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ან/და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში გამოდის ადმინისტრაციის სახელით;

ნ) ქმნის სამუშაო ჯგუფებს სამართლებრივი აქტების პროექტების მოსამზადებლად;

ო) მონაწილეობს მთავრობისა და საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ორგანოების სხდომებში;

პ) უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დასანიშნი თანამდებობის პირების კანდიდატურების შეთანხმებას საქართველოს პრეზიდენტთან;

ჟ) ახორციელებს კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**V. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები**

14. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, გარდა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნისა, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი.

15. საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

16. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და პასუხისმგებელია ადმინისტრაციის უფროსის წინაშე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;

ბ) განსაზღვრავს თანამშრომელთა სამსახურებრივ უფლებამოსილებებს;

გ) ადმინისტრაციის უფროსს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა კანდიდატურებს;

დ) ხელს აწერს სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციაში შემავალ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

ე) ანაწილებს სამსახურებრივ კორესპონდენციას დაქვემდებარებულ თანამშრომლებზე და უზრუნველყოფს მათი შესრულების კონტროლს;

ვ) უფლებამოსილია სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) წარუდგენს ადმინისტრაციის უფროსს თანამშრომელთა კანდიდატურებს მათი წახალისებისა ან მათთვის დისციპლინური სახდელების შეფარდების მიზნით;

თ) ახორციელებს ამ დებულებათა და კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**VI. ადმინისტრაციის თანამშრომლები**

17. ადმინისტრაციის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

# საზარელი მკვლელობის დეტალები ჯერ კიდევ უცნობია

ხათუნა ჯანგირაშვილი

თელავის რაიონის სოფელ ართანაში კვლავ დაძაბულობაა. გუშინ დილიდან თელავი-თბილისის ავტომაგისტრალის აკურის მონაკვეთზე ართანელებმა გზა გადაკეტეს. აქციის მონაწილეები რამდენიმე დღის წინ მომხდარ მკვლელობაში მონაწილე ეჭვმიტანილთა დაკავებას კატეგორიულად ითხოვდნენ. მოსახლეობა გუშინ კვლავ დამნაშავეთა ლინჩის წესით გასამართლებით იმუქრებოდა. ორი დღის წინ ართანელების დაწყნარება სამართალდამცველებმა ადვილად შეძლეს. გუშინ კი, აქციის ორგანიზატორებთან და მონაწილეებთან კახეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებს დიდი ხნის განმავლობაში მოუწიათ მუშაობა. აქციის მონაწილეებს კახეთის გუბერნატორი თამაზ ხიდაშელიც შეხვდა, თუმცა ვერც მან მოახერხა ხალხის დარწმუნება იმაში, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილებს სამართალდამცველები უახლოეს ხანში დაიჭერენ და დასჯიან კიდეც. **”მოვითხოვთ შინაგან საქმეთა მინისტრთან და პრეზიდენტთან დაუყოვნებლივ შეხვედრას”** – ასეთი იყო მოკლული ზაზა ლაზარიაშვილის ახლობელთა ულტიმატუმი.

შეგახსენებთ, 35 წლის ზაზა ლაზარიაშვილი 9 თებერვლიდან დაკარგულად ითვლებოდა. თელავის რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად მდინარე ალაზნის პირას მანქანისა და სისხლის კვალი აღმოაჩინეს. მეთევზეების დახმარებით ალაზანზე ჩატარებული სამძებრო სამუშაოების შედეგად კი გაუჩინარებული ზაზა ლაზარაშვილის დასახიჩრებულ გვამს მდინარეში მიაგნეს. ცხედრის პოვნის შემდეგ, სოფელ ართანის საშუალო სკოლაში სასწავლო პროცესი შეჩერდა. მოსახლეობა შიშმა მოიცვა, იქ დღემდე არ გამორიცხავენ დაპირისპირებას და შურისძიების მიზნით სიტუაციის გართულებას.

გაირკვა, რომ ლაზარიაშვილს მკვლელებმა ჯერ ყელი გამოჭრეს, მოკლულს ხელ-ფეხი შეუკრეს, ტანსაცმელში მძიმე ქვები ჩაულაგეს და მდინარეში გადააგდეს.

ამ ყველაფერს კი წინ უსწრებდა გავრცელებული ინფორმაცია სოფელ ართანადან ხუთი ადამიანის გაუჩინარების შესახებ. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ლაზარიაშვილი ბოლოს ამავე სოფელში ერთ-ერთ ოჯახში გამართულ წვეულებაზე ნახეს, საიდანაც ის ოთხ თანასოფლელთან ერთად წავიდა. წვეულებაზე მყოფი თითქმის ყველა სტუმარი გამოძიებას უკვე დაკითხული ჰყავს. სწორედ მათი ჩვენებების საფუძველზე მოხდა წვეულებიდან ლაზარიაშვილთან ერთად წასული, მკვლელობის მონაწილე ოთხი ეჭვმიტანილიდან ერთ-ერთის, დავით პაპუაშვილის დაკავება. ჩვენი ინფორმაციით, გუშინწინ სამართალდამცველებმა მკვლელობაში მონაწილე კიდევ ერთი პირის, გვარად მამუკელაშვილის დაკავებაც შეძლეს. **”მკვლელობის დეტალებს მამუკელაშვილისა და პაპუაშვილის ჩვენებები გამოამზეურებს, სხვა ეჭვმიტანილებსაც დავიჭერთ,”** – პირობას დებენ სამართალდამცველები.

გუშინ გავრცელდა ვერსია, რომ ლაზარიაშვილი, სავარაუდოდ, სოფელ ართანაში წელიწადნახევრის წინათ, დედა-შვილის მკვლელობაში მონაწილეობდა და მას სწორედ ამიტომ გაუსწორდნენ. ეს ინფორმაცია ”24 საათთან” საუბრისას სამართალდამცველებმა არც უარყვეს და არც დაადასტურეს.

**”სადისტურად მოკლული ზაზა ლაზარიაშვილის დაკრძალვას ართანის მოსახლეობა არ აპირებს მანამ, სანამ მკვლელობაში მონაწილე ოთხივე ეჭვმიტანილს არ დააკავებენ, ამ სოფელში ჩადენილი სერიული მკვლელობები სწორედ მათ უკავშირდება”**, - აცხადებდნენ გუშინდელ აქციაზე გარდაცვლილის ახლობლები.

ერთი სიტყვით, გამგებლისა და სამართალდამცველების რამდენიმესაათიანი ახსნა-განმარტებების შემდეგ, გუშინდელი აქცია როგორღაც დაიშალა. თუმცა, თუკი ზაზა ლაზარიაშვილის მკვლელების დაკავებას და მკვლელობის დეტალების დადგენას სამართალდამცველები უახლოეს რამდენიმე დღეში ვერ შეძლებენ, როგორც მოკლულის ახლობლები აცხადებენ, აქცია კვლავ განმეორდება და უფრო ფართო მასშტაბს მიიღებს.

# კომისია გუანტანამოელი პატიმრების საქმეებს შეისწავლის

გუანტანამოს პატიმრებს უფლება მიეცათ ოფიციალურად ითხოვონ გათავისუფლება. როგორც აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა, შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც წელიწადში ერთხელ გადასინჯავს გუანტანამოს ბაზაზე მყოფი ტუსაღების პატიმრობის ვადებს.

"გამომძიებლების და დაზვერვის ანალიტიკოსებისგან შემდგარი სპეციალური კომისიები იმ საფრთხის ხარისხს შეამოწმებენ, რომელსაც პატიმრები აშშ-სთვის წარმოადგენენ. თუ დადგინდა, რომ ტუსაღი საშიში აღარ არის, მას გაათავისუფლებენ. ჯერჯერობით ბუნდოვანია, მიიღებენ თუ არა გუანტანამოს პატიმრები ადვოკატის აყვანის უფლებას, თუმცა გარკვეულწილად მათი ინტერესები დაცული იქნება", - აცხადებს პენტაგონის წარმომადგენელი.



გუანტანამოს ამერიკულ ბაზაში, დაახლოებით, 650 ადამიანი იმყოფება.



გუანტანამოს ამერიკულ ბაზაში, დაახლოებით, 650 ადამიანი იმყოფება. ისინი ავღანეთში საომარი ოპერაციის დროს აიყვანეს ტყვედ და "ალ-ქაიდას" ტერორისტულ ორგანიზაციასთან და "თალიბანის" მოძარობასთან კავშირში არიან ეჭვმიტანილნი. ტუსაღებისთვის ბრალდებები დღემდე არ წაუყენებიათ. სამართალდამცველები დიდი ხანია ამერიკის ხელისუფლებისგან გუანტანამოს პატიმრების სამოქალაქო უფლებების დაცვას მოითხოვენ და თეთრი სახლიც დათმობაზე წავიდა. თუმცა, პენტაგონი კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ ტუსაღები სამხედრო ტყვეები არ არიან და ისინი სამხედრო ტრიბუნალმა უნდა გაასამართლოს.

დონალდ რამსფელდი ამტკიცებს, რომ აშშ საერთაშორისო ნორმების შესაბამისად მოქმედებს. "გუანტანამოს პატიმრები იმიტომ კი არ სხედან, რომ მათ ავტომანქანა გაიტაცეს, ან ბანკი გაძარცვეს, ისინი უჩვეულო დამნაშავეები არიან და გისოსებს მიღმა იმიტომ აღმოჩნდნენ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. ამიტომ მათ მიმართ ჩვეულებრივი პროცედურების გამოყენება არ შეიძლება," - განაცხადა პენტაგონის ხელმძღვანელმა.

ამერიკის ხელისუფლება ასევე აცხადებს, რომ სავარაუდო ტერორისტთა ხანგრძლივი პატიმრობა ხელს უწყობს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან მათგან მიღებულმა ინფორმაციამ სპეცსამსახურებს საშუალება მისცა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაგეგმილი მრავალი ტერაქტი თავიდან აეცილებინათ.

# "კანონიერი ქურდი" საკუთარ უფლებებს სასამართლოს გზით იცავს

*ახლახან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა “კანონიერ ქურდებთან” ბრძოლის ერთ-ერთ გზად მათი, ასე ვთქვათ “გაფუჭება” მიიჩნია. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი კრიმინალური ავტორიტეტი თუ “ქურდობას” უარყოფს, თანამოსაქმეთა შორის ის ყოველგვარ ავტორიტეტსა და რეგალიებს კარგავს. თუმცა, ეს რომ გამოსავალი არ არის, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ საკუთარ დაწერილ კანონებს “ქურდები” საკმაოდ ოპერატიულად, თავადვე ცვლიან და სიტუაციას არგებენ. გარდა ამისა, საკუთარი “ქურდული ტრადიციების და კანონების” მორჩილი კრიმინალებიც რომ განიცდიან ადაპტაციას, ამაზე ქვემოთ ნაამბობი შემთხვევაც მიუთითებს.*

სამოქალაქო თვითშეგნება მთელი პოსტსაბჭოური მასშტაბით, როგორც ჩანს, ისეთ წინსვლას განიცდის, რომ “კანონიერმა ქურდებმაც” კი საკუთარი უფლებების დაცვა სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით დაიწყეს. ჩვენთვის ცნობილი პირველი ასეთი შემთხვევა სულ ახლახან, დონის კრიმინალურ დედაქალაქად აღიარებულ ვოლგოდონსკში დაფიქსირდა. იქაურმა, როგორც ამბობენ, დიდი გავლენის მქონე კრიმინალურმა ავტორიტეტმა, ვინმე კუდრიავცევმა, მეტსახელად “ადმირალმა”, როსტოვის სამხარეო პროკურატურას საჩივრით მიმართა.

საქმე ის გახლავთ, რომ ეს კუდრიავცევი მშობლიური ქალაქიდან გარკვეული პერიოდის წინ მიიმალა. ამჯერადაც მისი გამოჩენა მხოლოდ ვირტუალურად, ამ კონკრეტული საჩივრის სახით მოხდა, რომელიც პროკურატურაში მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა შეიტანა. “ადმირალი”, რომელსაც სამართალდამცველები დიდი ხანია ეძებენ, გაზეთ “наше время”-ს და იმ ჟურნალისტს უჩივის, რომელმაც მას, საგაზეთო სტატიაში “კრიმინალური ავტორიტეტი” უწოდა, რითიც მისი “ღირსება და საქმიანი რეპუტაცია” შელახა. კუდრიავცევი ირწმუნება, რომ წარმატებული ბიზნესმენია და კეთილსინდისიერად იხდის გადასახადებს, ჟურნალისტის ნაშრომის წაკითხვის შემდეგ კი, საჩივრის თანახმად, მან განიცადა **“საშინელი შეშფოთება და სხვა ნეგატიური ემოციები, ასევე ფიზიკური ტანჯვა, რაც გამოიხატა ძლიერი თავის ტკივილით, თავბრუსხვევით, გულისცემის აჩქარებითა და უძილობით”**. ამ საზარელი წამებისთვის კუდრიავცევი, კომპენსაციის სახით, გაზეთისგან სულ რაღაც 200 ათას, ჟურნალისტისგან კი – 100 ათას რუსულ მანეთს ითხოვს.

ამ საჩივრის განხილვა უკვე სასამართლოშიც დაიწყო. თავად კუდრიავცევი პროცესს არ დასწრებია, არადა, ადგილობრივ სამართალდამცველ ორგანოებს ბევრი კითხვა აქვთ, რომლებზე პასუხებსაც მისგან სიამოვნებით მოისმენდნენ. მოპასუხე გაზეთის რედაქტორმა კი თავდასაცავად სასამართლოზე რამდენიმე ოფიციალური დოკუმენტი წარადგინა – დადგენილებები ჩხრეკის ჩატარების შესახებ “ქალაქ ვოლგოდონსკში მოქმედი ადგილობრივი კრიმინალური დაჯგუფების ლიდერის ევგენი კუდრიავცევის საცხოვრებელ ადგილზე”.

სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ სარჩელის განხილვა 20 თებერვლისთვის გადადო, თუმცა ისიც თქვა, რომ თავად კუდრიავცევის გარეშე სხდომა არ შედგება, რადგანაც სასამართლოს “ახლააღმოჩენილი გარემოებების ირგვლივ” მისთვის დასასმელი არაერთი შეკითხვა დაუგროვდა.

როგორ გაგრძელდება ეს პროცესი, ან კი გაგრძელდება თუ არა საერთოდ, არავინ იცის. ის კი ფაქტია, რომ როსტოვი ერთგვარი პიონერი აღმოჩნდა – ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ეგრეთ წოდებულ კანონიერ ქურდს თავისი პატივისა და ღირსების შელახვისთვის სამართალდამცველებისთვის მიემართოს.

რუსეთის მილიციის პოლკოვნიკი, მწერალი დანიელ კორეცკი, რომელიც დიდხანს სწავლობდა “კანონიერ ქურდთა” დაუწერელ კანონებს, ამას ახალი ტიპის ავტორიტეტების გამოჩენით ხსნის:

**“ტრადიციული გაგებით – კრიმინალური ავტორიტეტისთვის სასამართლოში ჩივილი წარმოუდგენელი რამ არის და ეს მისი ყველა “ტიტულის” დაკარგვის ტოლფასია. მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ახალი ტალღის სპორტსმენ-რეკეტირები კრიმინალური ტრადიციების დაცვისგან შორს არიან. ჩემი აზრით, სასამართლოსთვის მიმართვის თავად ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ეს ადამიანები თავს ძალზე თავისუფლად გრძნობენ”.**

*24 საათი*

ორი სიტყვით

**თბილისი.** გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ამავე რაიონის პირველი განყოფილების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, 27 წლის ზაზა ურთაშვილი დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ურთაშვილმა მეტროსადგურ სარაჯიშვილის მიმდებარე ტერიტორიაზე ”მაკაროვის” სისტემის ტაბელური პისტოლეტიდან მოახდინა სამი გასროლა და ჯიხურის გამყიდველს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცა 30 ლარი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** მორიგი მკვლელობა მოხდა გორის რაიონში. სოფელ ხვითში მცხოვრები 88 წლის ჟენია გოგიშვილის გვამი საკუთარ საცხოვრებელ სახლში მეზობლებმა იპოვეს. გარდაცვლილს სხეულზე ძალადობის კვალი აღენიშნება. ერთ-ერთ ვერსიად მოხუცი ქალბატონის გაუპატიურება და შემდეგ მისი მკვლელობა სახელდება. შიდა ქართლის საოლქო პროკურორის ამირან ნოზაძის განცხადებით, ამ ვერსიასთან დაკავშირებით დამატებითი დეტალები მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გახდება ცნობილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** შინაგან საქმეთა იმერეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის თანამშრომლებმა ყალბი დოკუმენტის დამზადების ფაქტზე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ბუღალტერი ქეთევან ალშიბაია ამხილეს. ბუღალტერმა ავტოქარხნის ყოფილ მუშაზე – გრიგოლ აბესაძეზე, რომელიც საწარმოო ტრავმის შედეგად დასახიჩრდა, ყალბი ცნობა გასცა. დოკუმენტის თანახმად, აბესაძე არ იყო საწარმოში ტრავმის შედეგად დასახიჩრებულთა სიაში, რითაც მას არ მიეცა კანონით დაწესებული შეღავათებით სარგებლობის საშუალება. აღნიშნული მასალები სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზნით იმერეთის საოლქო პროკურატურას გადაეცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თერჯოლა.** იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე თერჯოლაში ყაჩაღური ბანდა აიყვანეს. ქუთაისელები - გოჩა ყურაშვილი, ზაზა ჯანელიძე და კობა ქუთათელაძე თერჯოლის სოფელ ეწერში ერთ-ერთ ოჯახში დააკავეს, სადაც ისინი ახლობელთან იკრიბებოდნენ. აყვანის დროს, მათ ნიღბები, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები, გადაჭრილი თოფები, ხელყუმბარა და დიდი რაოდენობით ვაზნები აღმოაჩნდათ. პოლიციის ინფორმაციით, მათ გუშინ თერჯოლის სოფელ ჭოგნარში უნდა ჩაედინათ ყაჩაღობა. დაკავებულები ამჟამად ქუთაისის წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან მოთავსებულები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებს განცხადებით მიმართა გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში მცხოვრებმა ოთარ ბერაშვილმა. მისი ინფორმაციით, 8 თებერვლის ღამეს, მისი სახლში არ ყოფნის დროს ორი პირი, დაყაჩაღების მიზნით, დანისა და სანადირო თოფის მუქარით თავს დაესხა მის ოჯახს, წინააღმდგეობის გაწევისას ბოროტმოქმედები მიიმალნენ. გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად დაადგინეს იმავე სოფელში მცხოვრები, 21 წლის ალექსი ბულბულაშვილი და 20 წლის მიხეილ ხუჯიაშვილი, რომლის სახლიდან არარეგისტრირებული სანადირო თოფი ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანის დასახლებაში მცხოვრებ 50 წლის იუსუბ დურსუნ-ოღლი ბაირამოვს, 14 თებერვალს ვაზიანის სამხედრო ნაწილთან ახლოს, მიმდებარე ტერიტორიაზე ჯერჯერობით გაურკვეველი ტიპის ასაფეთქებელი მოწყობილობა აუფეთქდა. როგორც რაიონის გამგეობაში აცხადებენ, აფეთქების შედეგად, ბაირამოვმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო და იგი მოთავსებულია რაიონულ საავადმყოფოში. აღსანიშნავია, რომ ამგვარი აფეთქებები ვაზიანის დასახლებაში უკვე სისტემატურ ხასიათს იღებს. სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობა ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე წლების წინ, რუსების მიერ გადაყრილ სამხედრო ჭურვებს ეძებს, რომლის დაშლასაც ხშირად სავალალო შედეგი მოსდევს. მარტო გასულ წელს, აფეთქებების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სამოსამართლო სწავლების ცენტრში" დღეიდან მოსამართლეთა თანაშემწეების პრეტენდენტთა მომზადების სამთვიანი კურსი დაიწყება. როგორც ცენტრის დირექტორი დავით სააკაშვილი აცხადებს, აღნიშნულ კურსს 60 იურისტი გაივლის. ისინი სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, საკონსტიტუციო სამართალში და სხვა საკითხებში კვალიფიკაციას აიმაღლებენ. მოსამართლეების თანაშემწეთა საკვალიფიკაციო გამოცდა ივნისში ჩატარდება. იურისტებს, რომლებიც ტესტირებას გაივლიან, "სამოსამართლო სწავლების ცენტრის" სპეციალური სერთიფიკატები გადაეცემათ, რომლითაც მათ მოსამართლეების თანაშემწეებად მუშაობის უფლებამოსილება მიენიჭებათ. "სამოსამართლო სწავლების ცენტრში" იანვარში 79-მა იურისტმა საკვალიფიკაციო ტესტირების ჩაბარების შემდგომ სერთიფიკატი უკვე მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტთან თანამშრომლობის ფარგლებში, "სამოსამართლო სწავლების ცენტრში," 16-17 თებერვალს მოსამართლეებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან დაკავშირებით სემინარი გაიმართება. ღონისძიებაში მონაწილეობას 20 მოსამართლე მიიღებს. შეხვედრას ევროსაბჭოს ექსპერტები კშიშტოფ ზიმანი, დოუ კორფი და ჰელენ ლუის იანსენი წარუძღვებიან. სემინარზე განიხილავენ შემდეგ საკითხებს: "ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების პროცესში", "ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის მიხედვით", "ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სარჩელის შეტანა", "დასაშვებლობის კრიტერიუმები, სასამართლო ხარჯები, ადვოკატებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და მესამე მხარის ჩარევა". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ავჭალის ბავშვთა კოლონიაში მყოფ პატიმრებს გუშინ, "ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის" თავმჯდომარემ ვლადიმერ ვარძელაშვილმა სხვადასხვა სახის საჩუქრები გადასცა. პატიმარმა ბავშვებმა საჩუქრად პროდუქტები, საყოფაცხოვრებო ნივთები და ტანსაცმელი მიიღეს. ავჭალის ბავშვთა კოლონიაში დღეისათვის 20-მდე პატიმარი იხდის სასჯელს. **ინტერ-პრესი**

პრესინგი

# დაკავებულები პოლიციამ თავად გააპარა

ხათუნა ჯანგირაშვილი

**“პოლიცია კრიმინალებს ებრძვის, პოლიცია ხალხის სამსახურშია, პოლიცია მხოლოდ დამნაშავეებს იჭერს და სთხოვს პასუხს, პოლიცია ადამიანის უფლებებს არ არღვევს”**, - ამ სიტყვებს რიგითი თუ მაღალჩინოსანი სამართალდამცველებისგან მუდმივად ვისმენთ, თუმცა, მუდმივად ხდება გაუგებრობები, რომლებიც პოლიციელთა შეგნებულ თუ შეუგნებელ საქმიანობას უკავშირდება ხოლმე. **“სამართალდამცველებმა კანონით მინიჭებული დაცვის უფლების განხორციელება შემიზღუდეს”**, - ამ სიტყვებს დაკავებულ-დაპატიმრებულთა ადვოკატები ხშირად იმეორებენ და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარება, რომ არა ხშირ შემთხვევებში, დაკავებულების ინტერესების დამცველები, სამართალდამცველთა თვითნებობის გამო, პატიმრის მონახულებასაც ვერ ახერხებენ ხოლმე.

ცოტა ხნის წინ, “თავისუფლების ინსტიტუტის” ქუთაისის რეგიონალურ კოორდინატორს ადვოკატი ირაკლი მახათაძე დაუკავშირდა, დახმარება სთხოვა და შესჩივლა, რომ ქუთაისის პოლიციის მეორე განყოფილების თანამშრომლები, მას დაცვის უფლების განხორციელების საშუალებას არ აძლევდნენ და დაკავებულებთან შეხვედრას უკრძალავდნენ. არადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფთა დაკავების მოტივი უცნობი იყო, როგორც თავად დაკავებულთათვის და მათი ოჯახის წევრებისთვის, ასევე, ადვოკატისთვისაც - სამართალდამცველები სამი მეგობრის დაკავების მიზეზს არ ასახელებდნენ.

“თავისუფლების ინსტიტუტის” რეგიონული კოორდინატორი, პოლიციაზე საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს წევრებთან ერთად, პოლიციის განყოფილებაში მივიდა და სამართალდამცველთაგან დაკავების მიზეზის გარკვევა სცადა. პოლიციელებმა საბჭოს წევრებს მონიტორინგის განხორციელების უფლება არ მისცეს, უფრო მეტიც, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები განყოფილების უფროსამდე, ზვიად ბერიძემდეც კი არ მიუშვეს. “თავისუფლების ინსტიტუტის” წევრები და დაკავებულთა ახლობლები იძულებულები გახდნენ, საქმის კურსში ჩაეყენებინათ ქუთაისის პოლიციის სამმართველოს მაშინდელი უფროსი თემურ ნოზაძე. ამასობაში კი, პოლიციის მეორე განყოფილების თანამშრომლებმა დაკავებული სამი მეგობრიდან ორი ჩუმად გააპარეს.

**“წარმოდგენა არ გვაქვს, რისთვის წაგვათრიეს პოლიციის განყოფილებაში, ჩვენი დაკავების მიზეზს ასაიდუმლოებდნენ, არაფერს გვეუბნებოდნენ, რა უნდოდათ ჩვენგან. ადვოკატი თვალითაც არ დაგვანახეს. მერე მოულოდნელად მოვიდნენ და ისე გაგვაპარეს განყოფილებიდან, რომ ვერც დაკავების და ვერც გამოშვების მიზეზი ვერ გავიგეთ”,** - ასე აუხსნეს მომხდარი “თავისუფლების ინსტიტუტის” წევრებს პოლიციის მიერ ჯერ უმიზეზოდ დაკავებულებმა, მერე კი განყოფილებიდან პოლიციის მიერვე საიდუმლოდ გამოპარებულებმა.

დიდი მონდომების შედეგად, ბოლოს და ბოლოს, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებმა პოლიციის მეორე განყოფილების უფროსთან შესვლა მოახერხეს და მას მესამე დაკავებულთან, ვასილ ლოსაბერიძესთან შეხვედრა კატეგორიულად მოსთხოვეს.

როგორც გაირკვა, ლოსაბერიძეს დაკავების მომენტში სამი მობილური ტელეფონი აღმოაჩნდა და არსებობდა ეჭვი, რომ ტელეფონები მოპარული იყო. რაც ყველაზე მთავარია, შეტყობინების ჟურნალში ლოსაბერიძის დაკავების მიზეზად ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება იყო დაფიქსირებული. რაც შეეხება მობილურ ტელეფონებს, ვისი საკუთრება იყო ისინი, სამართალდამცველებს ამის გარკვევა არც უცდიათ. მეტიც, პოლიციამ ვერც ლოსაბერიძის დაკავებისა და ჩხრეკის ოქმები წარმოადგინა. ამიტომ, იძულებულები გახდნენ, როგორც უკანონოდ დაკავებული, ლოსაბერიძე გაეთავისუფლებინათ.

რაც შეეხება ლოსაბერიძესთან ერთად დაკავებულებს, როგორც უკვე გითხარით, საქმეში “თავისუფლების ინსტიტუტის” ჩართვისთანავე პოლიციის განყოფილებიდან გააპარეს. როგორც გაირკვა, ისინი სამართალდამცველებს შეტყობინების ჟურნალშიც კი არც ჰყავდათ რეგისტრირებული.

# ახალი მთავრობის სრული სია



ზაურ გულაშვილის ფოტო

### 14 თებერვალს დასახელდა მთავრობის ახალი შემადგენლობა. ახალი კანდიდატურები პარლამენტს განსახილველად ხვალ გადაეცემა

პრემიერ-მინისტრი - **ზურაბ ჟვანია**
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი - **ალექსანდრე ლომაია**
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი - **თამარ ლებანიძე**
ეკონომიკის მინისტრი - **ირაკლი რეხვიაშვილი**
ენერგეტიკის მინისტრი - **ნიკა გილაური**
თავდაცვის მინისტრი - **გელა ბეჟუაშვილი**
ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრი - **თამარ სულუხია**
იუსტიციის მინისტრი - **გიორგი პაპუაშვილი**
კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი - **გიორგი გაბაშვილი**
ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი - **ეთერი ასტემიროვა**
საგარეო საქმეთა მინისტრი - **თედო ჯაფარიძე**
სახელმწიფო უშიშროების მინისტრი - **ზურაბ ადეიშვილი**
სოფლის მეურნეობის მინისტრი - **დავით შერვაშიძე**
ფინანსთა მინისტრი - **ზურაბ ნოღაიდელი**
შინაგან საქმეთა მინისტრი - **გიორგი ბარამიძე**
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - **გიორგი წერეთელი**
სახელმწიფო მინისტრი - **თამარ ბერუჩაშვილი**
სახელმწიფო მინისტრი - **გოგა ხაინდრავა**
სახელმწიფო მინისტრი - **გურამ აბსნაძე**
სახელმწიფო მინისტრი - **ჯამბულ ბაკურაძე**

## საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ახალი მთავრობის წარდგენაზე

მინდა ვთქვა, რომ მთავრობის შემადგენლობა შეირჩა ძალიან გულმოდგინედ!

რა თქმა უნდა, ბევრ ადამიანს სურდა მთავრობაში მუშაობა, მაგრამ კრიტერიუმები ძალიან მკაცრი იყო!

ასე რომ, ბევრი შეიძლება გულდაწყვეტილი დარჩა, მაგრამ ეს არის სრულიად განსაკუთრებული მომენტი საქართველოსთვის.

ნოემბრის რევოლუცია მთელი მსოფლიოსთვის სამაგალითო და მისაბაძია, რომელმაც გამოიწვია სრულიად განსაკუთრებული აჟიოტაჟი, განსაკუთრებული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და მე ამაში ჩემი ახლანდელი ვიზიტების შედეგად დავრწმუნდი. ეს გვაძლევს სრულიად უნიკალურ შანსს და ქართველმა ხალხმა ეს შანსი ძალიან კარგად დაინახა!

ხალხმა ეს ბოლო იმედი წვეთ-წვეთად მოაგროვა და ახალი ხელისუფლების წარმატებაში ჩადო!

ასე რომ, პასუხისმგებლობა, რომელიც ამ ახალ მთავრობას გააჩნია, განუზომლად დიდია. ეს არის პასუხისმგებლობა საქართველოს დღევანდელი დღის, ჩვენი მომავლის, ჩვენი ისტორიის, თითოეული ქართული ოჯახის წინაშე.

თითოეული ოჯახი უნდა გრძნობდეს, რომ ეს არის საქართველოს მთავრობა, რომელიც მისი დამცველია, მიუხედავად ეროვნული წარმომავლობისა!

მეორეა ის, რომ ეს არის მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე. მას ექნება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მოქმედი პარლამენტის წინაშე, რომელიც მარტის ბოლოს აირჩევა.

ეს არის მთავრობა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს რამდენიმე მოკლევადიანი და გრძელვადიანი ამოცანა.

მოკლევადიანი ამოცანაა შემოსავლების სტაბილიზება და დღესაც მინდა ვთქვა, რომ მაფია, რომელიც იყო, მაგალითად, ბენზინის იმპორტში და სიგარეტის იმპორტში, ისევ მოქმედებს!

მაფია, რომელიც კონტრაბანდისთანაა დაკავშირებული, მიუხედავად ოქრუაშვილისა და რამდენიმე ადამიანის მიერ გადადგმული მკვეთრი ნაბიჯებისა, ისევ მოქმედებს, დიდი იმედი მაქვს გია ბარამიძისა, რომელმაც ბრწყინვალედ დაიწყო მუშაობა, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა.

საქართველოში გადავდგით პირველი ნაბიჯები კრიმინალური ვითარების დასარეგულირებლად.

პირველი ნაბიჯი გადავდგით იმ მიმართულებით, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებდა ხალხს, კერძოდ სამეგრელოში, თუმცა იქაც არ გვაქვს ეს საქმე დამთავრებული. იქ ხალხი ძალიან დაუცველად გრძნობს თავს და დღესაც სიტუაცია ბოლომდე გამოსწორებული არ არის.

ეს ეხება საქართველოს სხვა რეგიონებსაც!

საქართველოში ყველგან უნდა დასრულდეს, ერთხელ და სამუდამოდ, კრიმინალური ფორმირებების ბოგინი.

საქართველოში ხალხი დამამცირებლად ღატაკია. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებით საქართველო პოსტსაბჭოურ სივრცეში ბოლო ადგილზეა! თუ 1990 წლის მონაცემებით ესტონეთის გვერდით ვიყავით, დღეს ერთ სულ მოსახლეზე შვიდჯერ ნაკლები შემოსავალი გვაქვს, ვიდრე ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაშია. გვაქვს უფრო ნაკლები, ვიდრე ტაჯიკეთში, რომელიც ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ სამჯერ ჩამოუვარდებოდა საქართველოს.

ამ მდგომარეობაში იმყოფება სახელმწიფო აპარატი. ამგვარად: პირველი ნაბიჯები უნდა გადაიდგას სტაბილიზაციისკენ და სხვადასხვა სფეროებში წესრიგის დასამყარებლად!

ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე იდგმება!

ამ მთავრობისთვის უმთავრესია საგადასახადო რეფორმის მომზადება. საქართველოში უნდა გამარტივდეს და მთელ რიგ სფეროებში შემცირდეს გადასახადი.

ჩვენ უნდა ვიყოთ მზად, რომ უახლოეს კვირეებში დაიდოს პროგრამა და განხორციელდეს პენსიების ზრდა! ამ დავალებას მე ვაძლევ მთავრობას მარტის შუა რიცხვებისთვის!

აუცილებლად უნდა გაუქმდეს მიწის გადასახადი, ახალი სტიმული მიეცეს სოფლის მეურნეობას.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფული ჩაიდოს მეცნიერებასა და კულტურაში, ვინაიდან ეს უნიკალური სფერო გადასარჩენია! საქართველოში შესაქმნელია ახალი ბაზა ამ სფეროში და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ სამინისტროში ასევე სპორტის განვითარებას. პირადად ვაპირებ, პრეზიდენტის პატრონაჟის ქვეშ ავიყვანო პირველ რიგში ფეხბურთი და შევქმნათ ეროვნული ფეხბურთის განვითარების პროგრამა.

ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

პრაქტიკულად ორ-სამ წელიწადში კვალიფიციური სამედიცინო კადრების გარეშე დავრჩებით, თუ არ შეჩერდა ის კრიზისი, რომელიც ჯანდაცვის სფეროშია.

თავდაცვის სამინისტროსთან მიმართებაში ჩვენ უნდა შევქმნათ პატარა, კომპაქტური და ძლიერი შეიარაღებული ძალები.

ძალიან მნიშვნელოვანია ის საქმეც, რასაც ბატონი გურამ აბსანძე აკეთებს.

უნდა ვთქვა, რომ საქართველოში ყოველგვარი დაყოფა ბანაკებად დამთავრდა, მაგრამ ეს პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შედგეს იმ ხალხის რეინტეგრაციისა და დასაქმების პროგრამა რომელიც დაიჩაგრა მარტო იმის გამო, რომ სხვა პოლიტიკურ ბანაკში იყო და არ დაინიშნა არც ერთ თანამდებობაზე.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გადავდგათ არაორდინალური ნაბიჯები აფხაზეთის მიმართულებით!

არა მგონია, ამ სფეროში ვინმე უკეთესად იყოს მზად, ვიდრე დღევანდელი სახელმწიფო მინისტრი და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ, ასევე, შეიქმნა სახელმწიფო მინისტრის პოსტი ევროპული ინტეგრაციის დარგში. მინდა ვთქვა, რომ ამ სამინისტროს და ამ პოსტის შემოღებას ქვეყნის წინა ხელმძღვანელობა ეწინააღმდეგებოდა!

ჩვენ არა მხოლოდ ავაფრიალეთ ევროპული დროშა, არამედ ჩვენი მიზანია, საქართველოს დაახლოება და, რა თქმა უნდა, გაწევრიანება ევროპის კავშირში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს აღარ არის ოცნება. ამისთვის საჭიროა ძალიან მკვეთრი და დამაჯერებელი მოქმედებები საქართველოს მხრიდან.

ერთი რამ უნდა იცოდეს ყველამ!

ეს მართლაც უნიკალური მთავრობაა, თავისი წესიერებით, პატიოსნებით და გამოცდილებით.

მე ვიცი: შევარდნაძემ ისე დაანგრია ეს სისტემა, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, ალბათ, ამ ზამთარში სიტუაციის გამოსწორებას ვერ მოვახერხებთ.

ენერგეტიკის დანაწევრება სხვადასხვა უცხოელ კონტრაქტორებს შორის, რომლებსაც არ აქვთ კოორდინაცია, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს!

ქართული ენერგეტიკა პირველ რიგში უნდა მართოს ქართულმა სახელმწიფომ, რა თქმა უნდა, ჩვენი უცხოელი მეგობრების დახმარებით და ამისთვისთვის ჩვენ გადავდგამთ ყველა ნაბიჯს!

ძირითადად, ეს არის, რისი თქმაც მინდოდა!

ერთი რამ ყველამ უნდა იცოდეს - ეს არის აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე პროგრესული და ყველაზე საინტერესო მთავრობა, რომელსაც აქვს ისტორიული ამოცანა, დაახლოებით ისეთი, რაც ჰქონდათ აღმოსავლეთ ევროპის მთავრობებს 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში.

ჩვენ არ უნდა წავიდეთ არანაირ გაუმართლებელ დათმობებზე და არანაირ გაუმართლებელ კომპრომისზე.

ჩვენ უნდა გავაერთიანოთ საზოგადოება, მაგრამ კორუფციული ინტერესების წინაშე დათმობა ყოვლად დაუშვებელია.

მინდა იცოდეს მთავრობის ყველა წევრმა, რომ იმ წუთში, როდესაც რომელიმე სამინისტროში ისევ დაიწყება ნათესავებისთვის ბიზნესების აწყობა, არა მარტო მინისტრი იქნება მოხსნილი, არამედ, რა თქმა უნდა, მთავრობა მთლიანად აგებს პასუხს და უფრო მეტიც - ასეთი მინისტრი დაპატიმრებული იქნება!

თქვენ იცით, რომ სააკაშვილი არასოდეს ხუმრობს ამ თემაზე!

მე მაქვს ჩემი პასუხისმგებლობა და სიკვდილი მირჩევნია საკუთარი იმედების გაცრუებას. არავის მიმართ არ იქნება დამნდობი დამოკიდებულება!

საქართველოს უკლებლივ ყველა მცხოვრებმა უნდა იცოდეს, რას აკეთებს მისი მთავრობა და ყოველგვარი ეჭვები და ჭორები უნდა მოიხსნას!

ეს არის ძალიან მკაცრი გაფრთხილება და არ ვაპირებ, ამ თემას მეორედ დავუბრუნდე!

შემდეგ უკვე იქნება მოქმედება!

მე ვთავაზობ ჟურნალისტებს, რომ თითოეულმა მთავრობის წევრმა, ვინც აქ არის წარმოდგენილი, წაიყვანოს ყველა ჟურნალისტი და აჩვენოს, რა ბინაში ცხოვრობს, რა მანქანა ჰყავს, აჩვენოს, რა საბანკო ანგარიშები და რა შემოსავლები გააჩნია, რომ რომელიმე მათგანს ექვს თვეში არ აღმოაჩნდეს გავლენიანი ბიზნესმენი მეგობარი, რომელიც მას ინახავს.

არ აღმოჩნდეს უცებ, რომ გადასახლდა სადღაც ხუთსართულიან სასახლეში ქალაქის ცენტრში.

არ აღმოჩნდეს ის, რომ მისმა მეუღლემ დაიწყო 50 ათას დოლარიანი მანქანით სიარული!

დარწმუნებული ვარ, ჩვენი მეგობრები ამაზე დათანხმდებიან, მე რამდენიმე მათგანს უკვე ვესაუბრე და ეს იყო ჩვენი ძალიან მნიშვნელოვანი მოწოდება.

მაქვს ძალიან დიდი იმედი პრემიერ-მინისტრის და პრეზიდენტის გუნდისა!

იქნება საპარლამენტო გუნდიც, იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ჩვენ გვჭირდება საპარლამენტო კონტროლი იმისათვის, რომ არ მოხდეს ქვეყნის ხელახალი დაჭაობება!

მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ გვესმის, რომ ამ იმედების გამართლებას სჭირდება 24-საათიანი მუშაობა!

მეც და ბატონ ზურაბსაც გვესმის, რომ ყოველი წუთი უნიკალურია და მას გამოყენება უნდა, ხვალ და ზეგ შესაძლოა, საქართველოს ეს შანსები აღარ ჰქონდეს!

მინდა საზოგადოებას ვუთხრა, რომ ჩვენ გვჭირდება მოთმინება, გვჭირდება იმის გააზრება, რომ ერთ თვეში სიტუაცია არ შეიცვლება, მაგრამ ყოველდღე უნდა ჩანდეს პროგრესი და წარმატება ყველა სფეროში!

ეს არის ის, რისკენაც მივისწრაფვით – მთავრობა, მართლაც, არის უნიკალური გუნდი, უნიკალური ნაზავი და, რაც მთავარია, გუნდია.

აქამდე საქართველოს მთავრობა არასოდეს ყოფილა გუნდი!

საქართველოს მთავრობის მოღვაწეობა იყო ერთმანეთზე გადაკიდებული, ერთმანეთთან დაპირისპირებული, ერთმანეთის ძირის გამომთხრელი მინისტრების საქმიანობა.

მე ვიყავი ამ მთავრობის წევრი და ვიცი, რომ ყოველი მთავრობის სხდომიდან სახლში სამი დამატებითი ჭაღარით მივდიოდი, იმიტომ, რომ არ მსიამოვნებდა იმ ხალხთან ყოფნა ერთ ოთახში, მაგრამ რაღაცის გაკეთება მინდოდა.

საბოლოო ჯამში, რაღაც მომენტის შემდეგ მივხვდი, რომ ცალკე აღებული მინისტრი ვერაფერს გააკეთებს, თუ არ არის ერთიანი შემადგენლობა, რომელსაც ქვეყნის ამოქაჩვა შეუძლია.

აქ მარტო პრეზიდენტი არ იღებს გადაწყვეტილებას, ეს ხალხი, ყველა, დაჯდება მაგიდასთან და ყველა ერთად მივიღებთ ძირითად საკითხებზე გადაწყვეტილებას.

ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა ნამდვილად არ გაგვიჭირდება, მიუხედავად ასაკში განსხვავებისა!

ეს არის ისტორიული მომენტი და დღეს ბოლო ასეთი საზეიმო ღონისძიებაა. ხვალიდან იწყება მუხლჩაუხრელი და ხელებდაკაპიწებული, სერიოზული მუშაობა.

იმედი მაქვს, ბატონი ზურაბი და თითოეული ცალკე აღებული მინისტრი, მართლაც, წარმატებული იქნება ამ ისტორიული მისიის განხორციელებაში!

გმადლობთ ყურადღებისთვის!

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

*მოულოდნელი რაკურსი*

# ახალ მინისტრთა კაბინეტზე, საკადრო პოლიტიკაზე და არა მარტო მათზე

პირველი გვერდიდან

კერძოდ ის, საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა, თუნდაც იგი სულ უპატიოსნესი გენიოსებით იყოს დაკომპლექტებული, მხოლოდ შემსრულებელია და არა დამკვეთი. მთავრობა არ ქმნის პოლიტიკას, არამედ ახორციელებს მას. პოლიტიკის განმსაზღვრელი არის სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალი, ანუ პრეზიდენტი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს მრჩეველთა ინსტიტუტზე დაყრდნობით. კონკრეტულად რა ფორმითაა წარმოდგენილი ეს ინსტიტუტი, პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ეს შეიძლება იყოს "განდობილთა" ვიწრო წრე, სადაც ფიგურირებენ პრეზიდენტთან დაახლოებული სხვადასხვა თანამდებობის (ან სულაც თანამდებობის არმქონე) პირები; რაღაც საკონსულტაციო საბჭოს მაგვარი ორგანო და ა. შ.

ყველა განვითარებულ ქვეყანაში, გინდ საპრეზიდენტო მმართველობა იყოს, გინდა საპარლამენტო, მინისტრი არის მისი ქვემდებარე უწყების საქმიანობის განმსიტყველი, ანუ, ე. წ. "პიარშჩიკი," და არა სპეციალისტი ან მენეჯერი. ეს ფუნქციები, როგორც წესი, უფრო ქვემდგომ პირებს ეკისრებათ. რასაკვირველია, გარკვეული ორგანიზატორული თვისებები მინისტრსაც მოეთხოვება, მაგრამ არც იმდენი, როგორც ეს ჩვენთან წარმოუდგენიათ. შემთხვევითი არ არის, რომ ვერც ევროპაში და ვერც ამერიკაში ვერ იპოვით ისეთ მინისტრს, რომელიც მეტ-ნაკლებად მაინც არ ფლობდეს ორატორულ ხელოვნებას და საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე მეტყველება არ შეეძლოს. სამაგიეროდ, რამდენსაც გნებავთ იმდენს ნახავთ არაპროფესიონალს და არცთუ დიდ ინტელექტუალს.

რაც მთავარია, ეს იმიტომ კი არაა ასე, რომ ევროპაში და ამერიკაში აწყობილი სისტემა აქვთ და შეუძლიათ, თავს უფლება მისცენ, არ ჰყავდეთ "მცოდნე მინისტრი," არამედ პირიქით: ეს ქვეყნები სწორედ იმიტომაცაა წარმატებული, რომ ასეთი მართვის სისტემა აქვთ აწყობილი. შრომის გონივრული დანაწილება რომ წარმატების საწინდარია, ჯერ კიდევ XIX საუკუნის მანუფაქტურების მეპატრონეებს ესმოდათ. მმართველობის ეფექტიანობას, უპირველეს ყოვლისა, ამავე მმართველობის წესი განსაზღვრავს. მოკლედ, ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს მინისტრთა კაბინეტი (რომელიც, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ნამდვილად ყველაზე უკეთესია პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიაში) შეიძლება დიდად ქმედითუნარიანი არც გამოდგეს, თუ არ მოხდება მმართველობის წესის ძირეული შეცვლა. ვარდების რევოლუციის ლიდერები აცხადებდნენ, რომ ისინი პირადად შევარდნაძის წინააღმდეგ კი არ იბრძვიან, არამედ შევარდნაძის სისტემის წინააღმდეგ. შევარდნაძის სისტემა კი სხვა არაფერი იყო, თუ არა მმართველობის არსებული წესი.

ეს წესი არ გულისხმობს მარტოოდენ სახელისუფლო ძალებში ურთიერთქიშპის წაქეზებას და დაპირისპირებულ ბანაკებს შორის ბალანსირებას. კულუარული დაპირისპირებები და პიროვნული შეუთავსებლობები ხელისუფლების გავლენიან ფიგურებს შორის, გარკვეულ დონეზე ყველა ქვეყანაშია. გაცილებით მნიშვნელოვანია ფუნქციების სწორი გადანაწილება. შევარდნაძის დროს ქვეყანას პრაქტიკულად არ გააჩნდა საშინაო პოლიტიკა. მიიღებოდა უამრავი წინააღმდეგობრივი და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებები, ყველაფერი დამოკიდებული იყო წმინდა სუბიექტურ ფაქტორებზე: საკმარისი იყო, დაგეკმაყოფილებინა რამდენიმე გავლენიანი პირის ინტერესი და პრაქტიკულად ნებისმიერი გადაწყვეტილების გატანა იყო შესაძლებელი.

შევარდნაძე უვარგისი მმართველი იყო არა იმიტომ, რომ ის მინისტრების მინისტრებით დამთრგუნველი ინტრიგანი იყო და ცუდ გადაწყვეტილებებს იღებდა, არამედ, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ მას საერთოდ არ გააჩნდა ქვეყნის განვითარების არანაირი პროგრამული ხედვა და არც ესმოდა ამის საჭიროება. მისი პოლიტიკა, თუ ის არ ეხებოდა ძალაუფლების განმტკიცების ტექნოლოგიას, მთლიანად რეაგირებაზე იყო აგებული და არა პრევენციაზე. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ვერც ერთი სახელმწიფო უწყება ვერ იმუშავებდა ნორმალურად და არც მუშაობდა. ასევე ბუნებრივია, რომ ამგვარი თამაშის წესები უცილობლად განაპირობებდა ხელისუფლების სათავეებში ყველაზე კორუმპირებული, მლიქვნელი და არაკომპეტენტური კადრების მძლავრობას. ყოველგვარი მმართველობის წესი მოითხოვს შესაბამის პერსონალიებს, უფრო ზუსტად, შესაბამის პერსონალურ თვისებებს და სადაც მლიქვნელობას და უვიცობას დიდი გასავალი აქვს, იქ პრინციპულობა და კომპეტენტურობა ვერ გაიხარებს.

ამდენად, ყბადაღებული "შევარდნაძის სისტემის" დაძლევა მხოლოდ მმართველობის წესის შეცვლითაა შესაძლებელი. სხვა შემთხვევაში, ეს მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილება იქნება, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ "გუნდურ პასუხისმგებლობაზე" და უცხოეთში ნასწავლ-განათლებული რამდენი მინისტრიც არ უნდა გვყავდეს. ამ შემთხვევაშიც ნამდვილად არ არის საჭირო ველოსიპედის გამოგონება. არსებობს სახელმწიფო მმართველობის აპრობირებული სისტემა, რომელიც ძალიან ეფექტურად მუშაობს ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ესაა:

პრეზიდენტი, რომელიც მრჩეველთა ინსტიტუტზე დაყრდნობით იმუშავებს და განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების სტრატეგიას უკლებლივ ყველა სფეროში;

მთავრობა, რომელიც უშუალოდ ახორციელებს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრულ სტრატეგიას;

პარლამენტი, რომელიც აკონტროლებს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას.

სხვათა შორის, პარლამენტის უპირველესი მოვალეობა რომ მთავრობის (განსაკუთრებით საბიუჯეტო სახსრების მოზიდვისა და ხარჯვის) კონტროლია და არა იმდენად კანონების წერა, ჩვენთან ჯერ კიდევ არა აქვთ კარგად გაცნობიერებული. ისევე როგორც ის ბანალური ჭეშმარიტება, რომ არასდროს არ არსებობს კარგი პრეზიდენტი და ცუდი მთავრობა. საქართველოს მთავრობა, თავისი პრემიერ-მინისტრით, სხვა არაფერია, თუ არა პრეზიდენტის ხელისუფლების ნაწილი და არა დამოუკიდებელი ერთეული. ამ კონტექსტში გაცილებით მნიშვნელოვანია საქართველოს პრეზიდენტის მიერ პროგრამული სტრატეგიის ფორმირებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ინსტიტუციების შექმნა, ვიდრე იმაზე მსჯელობა, გაამართლებს თუ არა მთავრობის კაბინეტური სისტემა. მთავრობამ უნდა გააკეთოს ის, რასაც მას დაავალებენ. თუ პრეზიდენტი გადაწყვეტილებათა მიღების სიმძიმის ცენტრს მთავრობაზე გადაიტანს და თვითონ უფრო მისი გაკონტროლების ფუნქციას იტვირთებს, ეს იქნება ფუნქციების აღრევა, რომელიც აუცილებლად უარყოფით შედეგებს მოიტანს. მიზეზი მარტივია: მთავრობა, რომელიც თავისი ბუნებით გადაწყვეტილებათა განმხორციელებელია და არა მიმღები, უბრალოდ შეუძლებელია, არ იყოს რეაგირებაზე აწყობილი. მას უბრალოდ არ ეცლება სტრატეგიისთვის. ასეთი რამ მხოლოდ საპარლამენტო მოდელის პირობებში შეიძლება მოხდეს, როცა პრემიერ-მინისტრის "ზევით" აღმასრულებელ ხელისუფლებაში არავინაა და მრჩევლების ინსტიტუტიც მასთან არსებობს. ხოლო რას ნიშნავს რეაგირებაზე აწყობილი პოლიტიკა (იხ, ზემოთ "შევარდნაძის სისტემაზე"), ამის მწარე გამოცდილება უკვე გვაქვს.

პრეზიდენტი მთავრობის საქმიანობის მაკონტროლებელი კი ვერანაირად ვერ იქნება. იგი თვითონაა მთავრობის ფაქტობრივი ხელმძღვანელი და საკუთარი თავის მკაცრი კონტროლი ამქვეყნად ჯერ არავის მოუხერხებია. ერთადერთი გზა, რომლითაც შესაძლებელია, არ მოხდეს პრეზიდენტის იდენტიფიცირება მთავრობასთან, შევარდნაძის გზაა, აქედან გამომდინარე შედეგებით. სწორედ ამიტომ, დღევანდელი მთავრობა ვერ იქნება ისეთი, როგორიც ადრე იყო.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი იქნება აუცილებლად კარგი, ან უფრო ცუდი. ჯერ ყველაფერი წინაა. მინისტრთა კაბინეტის ფორმირება მხოლოდ დასაწყისია, რომელსაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს სახელისუფლო სტრუქტურების ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა. რაც შეეხება პერსონალიებს, "საკადრო პოლიტიკა" აქ არაფერ შუაშია. ასეთ ტერმინს ცივილიზებული მსოფლიო საერთოდ არ იცნობს. კადრებს, ანუ პერსონალიების თვისებებს განსაზღვრავს მმართველობის წესი. შევარდნაძის საკადრო პოლიტიკაზე სწორედ იმიტომ იყო ბევრი ლაპარაკი, რომ კადრების შერჩევის საკითხს საქართველოს ექსპრეზიდენტი მისი საკუთარი პასუხისმგებლობის აცილების კუთხით განიხილავდა. ამიტომაც იყო მისი "საკადრო პოლიტიკა" ყოველთვის ცუდი. რადგან ასეთი პოლიტიკა არასოდეს არ შეიძლება იყოს კარგი. საქართველოს მთავრობას ყველაზე კარგი კადრები მაშინ ეყოლება, როცა საკადრო პოლიტიკა, როგორც ასეთი, აღარ იარსებებს.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




ნოდარ ლადარია

ერთი წუთით გადავხედოთ გაზეთ "24 საათს". არა, ნუ წავიკითხავთ, უბრალოდ გადავხედოთ... პირველი, რასაც შევამჩნევთ, მეორე გვერდზე გაჩენილი სვეტების გამყოფი ვერტიკალური ხაზებია. ეს სიახლე, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 25 იანვრის შემდეგ დამკვიდრდა და დაახლოებით ამავე დროს და ამავე მეორე გვერდზე გაჩნდა რუბრიკა "ოფიციოზი". ამ რუბრიკაში იბეჭდება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებები. თავისთავად, "24 საათი" ამით დემოკრატიულ საზოგადოებაში სავალდებულო გამჭვირვალებას ემსახურება და ისიც უნდა ვთქვათ, რომ საიდანღაც ხომ უნდა ვიცოდეთ, რა გადაწყვეტილებებს ღებულობს ჩვენი მთავრობა! მაგრამ თვით სიტყვა "ოფიციოზი" რამდენად მისაღებია ჩვენი გაზეთის კონტექსტში? ეს ლათინური წარმოშობის სიტყვა ნიშნავს შემდეგს: *ოფიციოზი — ბეჭდვითი ორგანო, რომელიც მთავრობის თვალსაზრისს გამოხატავს, მაგრამ მისი ოფიციალური ორგანო არაა.* განმარტების მეორე ნაწილს თუ განვიხილავთ, ყველაფერი წესრიგშია: გაზეთი "24 საათი" არაა მთავრობის ოფიციალური ორგანო. მაგრამ რა ვუყოთ პირველ ნაწილს: გამოხატავს თუ არა ჩვენი გაზეთი მთავრობის თვალსაზრისს?

რა თქმა უნდა, განკარგულებებისა და ბრძანებების ტექსტის გამოქვეყნება არ ნიშნავს თვალსაზრისის გამოხატვას, რადგან ამ პუბლიკაციებს არათუ ხოტბა-დიდება ან გამართლება, საერთოდ არავითარი კომენტარი არ ახლავს. ასე რომ, სიტყვა "ოფიციოზი" ერთგვარად უადგილოდაა გამოყენებული ამ რუბრიკის სათაურში. ოფიციოზს მაშინ მივიღებდით, მაგალითად, ასე, ორიოდე წლის წინათ გაზეთ "ახალი ვერსიის" პოლიტიკურ მიმომხილველად **ნატო ონიანი** რომ დანიშნულიყო.

მაგრამ შეკითხვა მაინც რჩება: გამოხატავს თუ არა ჩვენი გაზეთი მთავრობის თვალსაზრისს. ერთი წუთით დავივიწყოთ, რომ საქართველოს მთავრობა მხოლოდ ახლა ყალიბდება და მთავრობის თვალსაზრისად ხელისუფლების ძირითადი კურსი ვიგულისხმოთ. შევთანხმდეთ, რომ თვალსაზრისის გამოხატვა აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული არა ოფიციალური ტექსტების უბრალო გამოქვეყნებასთან, არამედ ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მოვლენათა გარკვეულ გაშუქებასთან. ანუ, სხვა სიტყვებით, ანალიზთან.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტში ხმა გაისმა ჩვენს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების დასაცავად. წარმოიდგინეთ, **გურამ შარაძემაც** წამოიწყო "რუსთავი-2"-ის დაცვა. ამბობდნენ, რომ დეპუტატთა შეშფოთებას იწვევდა ქართული ტელეეთერიდან "ერთბაშად ორი ანალიტიკური გადაცემის გაქრობა". ეს მოვლენა მართლაც არაა მოკლებული ერთგვარ ყვითელ ელფერს. იმდენად, რომ **ირაკლი ბერიაშვილსაც** წამით დაავიწყდა თავისი ძველი კრიტიკული განწყობა და 10 თებერვლის "სალაყბოში" ასეთი ცრემლიანი ფრაზა წარმოთქვა: "**დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია "რუსთავი-2"-სა და "მზის", უფრო ზუსტად კი, ეკა ხოფერიასა და ინგა გრიგოლიას ეკრანიდან გაუჩინარებამ. რას აღარ ლაპარაკობს ხალხი ამ უცნაურ დამთხვევაზე, მაგრამ ფაქტია — სრული სიმართლე მხოლოდ ამ ორმა მომხიბლავმა ქალმა იცის.**" ჩემი ნება რომ იყოს, ამ ნაწყვეტს, სულ მცირე, ერთ ზედსართავ სახელს მაინც მოვაშორებდი: ტაქტის გამო არ გეტყვით, რომელს. მით უმეტეს, რომ ახლა სულ სხვა რამ მადარდებს: სრული და ჭეშმარიტი თუ არა, ხმამაღალი და გარკვევით გამოთქმული ვერსია მაინც უნდა "გაჟღერდეს" ამ დიდი მითქმა-მოთქმის პასუხად...

მაგრამ კვლავ პირველ სიტყვასა მოვიდეთ, ესე იგი, მთავრობის თვალსაზრისთან ჩვენს დამოკიდებულებას დავუბრუნდეთ. უკვე ვთქვით, რომ ეს დამოკიდებულება მხოლოდ მაშინ გაირკვევა, თუ გაზეთში მოცემულ მოვლენათა ანალიზს დავაკვირდებით. ამ მხრივ, ტელევიზიის მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმეა: არც "ღამის კურიერი" და არც "ღამის მზერა" არ ყოფილა ანალიზური, ან, როგორც ახლა ამბობენ "ანალიტიკური" გადაცემა. სასაცილოა, მაგრამ ამ განსაზღვრებას უფრო მიუდგებოდა პირველი არხის "რა ხდება". იქ, ცუდად თუ კარგად, **კოკა ყანდიაშვილი** ბედავდა ხოლმე ხანგრძლივ მონოლოგებს. სხვა საკითხია, გამოსდიოდა თუ არა. სხვა საკითხებზე სხვებმა იფიქრონ, მე კი იმას ვიტყვი, რომ ეს "მომხიბლავი ქალბატონები" (როგორ ერთბაშად დატკბა ირაკლი ბერიაშვილი!) უბრალოდ მოიწვევდნენ ხოლმე ვიღაც-ვიღაცეებს და აძიძგილავებდნენ ერთმანეთთან. საკუთრივ ანალიზი ამ გადაცემებში მხოლოდ რუდიმენტულად იყო წარმოდგენილი. ასე რომ, წაართვეს თუ არა ჩვენს მედიას ანალიზის შესაძლებლობა, სულაც არაა ცალსახად ცხადი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ტელევიზია ჯერ კიდევ ელოდება თავის **დორენკოს**. რუსული "ო-ერ-ტეს" ეს ჟურნალისტი, შესაძლოა, არ ყოფილა სიღრმისა და გემოვნების ეტალონი, არც მისი თვალსაზრისები იყო საყოველთაოდ მისაღები და ადამიანურად სამართლიანი, მაგრამ მან სწორედ ანალიზით მოახერხა მრავალი გავლენიანი პოლიტიკოსის გაღიზიანება. საქართველოს მედიაში ჯერ ასეთი ფიგურა არ გამოჩენილა...

ჩვენ კი ისევ გავიმეოროთ უკვე დასმული შეკითხვა: გამოხატავს თუ არა "24 საათი" მთავრობის თვალსაზრისს? რა თქმა უნდა, იმედი არა მაქვს, რომ ზუსტ და ამომწურავ პასუხს ვიპოვი. უბრალოდ, სათქმელის საბაბად და წინამდებარე პუბლიკაციის ხერხემლად ვიყენებ ამ შეკითხვას. ხანდახან იდეური ტენდენცია არა მარტო სიტყვებში მჟღავდნება, არამედ დუმილში. აი, მაგალითად, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე (12 თებერვალი) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველმა, მიტროპოლიტმა აბრაამმა გვამცნო შემდეგი: "**მსოფლიო საპატრიარქოს პოზიცია და ხედვა ნაწილობრივ გამოხატული იყო იმ სიტყვებში, რომლებიც პატრიარქმა ბართლომემ წარმოთქვა საქართველოში ვიზიტის დროს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვიზიტი სათანადოდ არ გაშუქდა, პატრიარქის ქადაგებები არ გამოქვეყნდა**". გასაგებია, რომ ინფორმაციულ ნაკადში არსებული ხარვეზიდან მრავალი დასკვნის გამოტანა შეიძლება. რატომ არ აქვეყნებს ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიო პატრიარქის ქადაგებებს? — გამოდის, რომ არსებობს გარკვეული ტენდენციური აცდენა, მიუხედავად ერთიანი აღმსარებლობისა. დარწმუნებული ვარ, არც რუმინულ პრესაში გამოქვეყნებულა იქ ვიზიტით მყოფი **მიხეილ გორბაჩოვის** სიტყვები იმის შესახებ, როგორ მეგობრულად გააკრიტიკა მან ამხანაგი **ჩაუშესკუ** ავტორიტარულობისა და იზოლაციონიზმისათვის.

მაინც საითკენ ვუმიზნებ? ახლავე გამოჩნდება.

9 თებერვალს **დავით ზურაბიშვილმა** გაგვახარა თავისი ნამდვილად ანალიზური სტატიით *სამნი ერთ ნავში ანუ როცა მესამე ზედმეტია.* უკვე სათაურიც გვკარნახობს, რომ საქმე რევოლუციურ სამეულს ეხება. დავით ზურაბიშვილი თანმიმდევრულად გვისაბუთებს, რომ გარკვეული დროის შემდეგ სახელისუფლებო ნავს ერთი მათგანი დატოვებს. ახლა არ ღირს იმის გარშემო მკითხაობა, ვინ იქნება ბორტს მიღმა დარჩენილი: იშოვეთ ეს ნომერი და წაიკითხეთ სტატია, შრომა დაგიფასდებათ. მე იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი "საინფორმაციო ნავი" დავით ზურაბიშვილის სტატიის გამოქვეყნებიდან მეორევე დღეს ერთმა კი არა, ერთბაშად ორმა დატოვა. თუ გადავავლებთ თვალს გასული კვირის ნომრებს, შევამჩნევთ შემდეგს: 10 თებერვალი — *რუსეთის მთავარი გასაჭირი, იმპერიული ოცნებები და იმპერიული აზროვნება*; 11 თებერვალი — *დღეს სააკაშვილი პუტინს სამეგობროდ გაწვდილ ხელს ჩამოართმევს*; 12 თებერვალი — *მიხეილ სააკაშვილი და ვლადიმირ პუტინი დამეგობრდნენ*; 13 თებერვალი — *მართლა დამეგობრდნენ თუ არა პუტინი და სააკაშვილი?* სამაგიეროდ, პარლამენტის ამბებმა, ანუ იმ ასპარეზმა, სადაც დღეს იჭედება ჩვენი ხვალინდელი დღე, მორცხვად გადაინაცვლა A2 გვერდის ვერტიკალურ გისოსებს შორის.

სიტყვამ მოიტანა და აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ ძალიან ხშირად პირველი გვერდიდან A3 გვერდზე გვაგზავნიან, იქ კი შესაბამის სათაურს ვერ ვპოულობთ. ამ ციფრების გაკონტროლებას სულ რაღაც რამდენიმე წამი სჭირდება და ძალიან ვთხოვ დამკაბადონებლებს, ნუღარ გააწვალებენ მკითხველს.

ჩვენ კი საქმეს მივხედოთ: რატომ არ მოიცალა **გიორგი ასანიშვილის** სკალპელივით ბასრმა ირონიამ ქურდული თუ შავი გაგების იმ ზეიმისთვის, რომელმაც ქართულ პარლამენტში იჩინა თავი ამ რამდენიმე დღის წინ? რატომ არ შეეწია ბეჭდვითი სიტყვა **გიგა ბოკერიას** მიერ სატელევიზიო ეთერში შემოკრულ საგანგაშო ზარს იმის გამო, რომ ქართულ პარლამენტში ხარებასა და გოგიას მენტალობამ იმძლავრა?

არა, რაღაც-რაღაცეები დაიბეჭდა: აი, მაგალითად, 11 თებერვალს ჩვენმა გაზეთმა **ლევან თედიაშვილს** შეახსენა, რომ მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე "24 საათს" კი არ ულაპარაკია, არამედ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს, **ალექსანდრე გიოშვილს**. ეს, რა თქმა უნდა, გაზეთს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ კრიმინალური ეთიკისა და ქართული ტრადიციების აღრევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარლამენტის სესიაზე, თავისთავად, ნამდვილად უფრო მეტ განხილვას იმსახურებდა, ვიდრე სააკაშვილის მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც მოსამზადებელი და ნიადაგის მომსინჯავი ვიზიტი რუსეთში.

მე პირადად ამ ერთდღიანი ვიზიტისგან დიდს არაფერს ველოდი, ამიტომ მიკვირს, რატომაა ასე უკმაყოფილო **ირაკლი ბათიაშვილი** (იხ. 14 თებერვლის ნომერი): "**რუსეთმა საქართველოს პრეზიდენტს დიდი სპექტაკლი დაუდგა და ნულით გამოუშვა... მოსკოვში სააკაშვილის ვიზიტის დროს არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ განხილულა, არც აფხაზეთთან, არც დსთ-ს სამშვიდობო ძალებთან, არც რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით. საკითხების კონსტრუქციულად წარმოჩენა ნინო ბურჯანაძემ ბევრად უკეთესად მოახერხა, ვიდრე ახლანდელმა პრეზიდენტმა**". მართალია, ბათიაშვილის პრეტენზიები სააკაშვილთან (რომლებიც უშუალო მოსმენით გაცილებით უფრო სასაცილოდ გამოიყურებოდა, ვიდრე საგაზეთო ფურცელზე) არც თუ მთლად საფუძვლიანია, თუ ერთდღიანი ვიზიტის კონტექსტს წარმოვიდგენთ, მაგრამ ამ პრეტენზიების კრიტიკა მას შემდეგ, რაც სააკაშვილის რუსეთში ვიზიტი ასეთი ფართო ფორმატით წარმოჩნდა "24 საათის" ფურცლებზე, ცოტა ძნელია. იმისგან, რასაც ასე დაწვრილებით აშუქებენ, ბუნებრივია, უფრო მნიშვნელოვან შედეგს უნდა ველოდეთ, ვიდრე პირჯვრის წერისა და მაგიდაზე კაკუნის კურიოზული კომბინაციაა.

ვიზიტის მოსამზადებელ და მის გამშუქებელ თავისივე პუბლიკაციებთან ერთგვარ კონტრასტში უკვე 13 თებერვალს მოვიდა "24 საათი". ვგულისხმობ **სოფო ბუკიას** პუბლიკაციას *პრობლემები და პერსპექტივები*, რომელსაც შეიძლება დაერქვას ანალიზური, ოღონდ აქ მოცემული ციტატების ხარჯზე. ციტატები კი რუს ანალიტიკოსებს ეკუთვნის. აქ ვკითხულობთ **პაველ ფილგენგაუერის** ვრცელ მსჯელობას იმის გარშემო, შეგვიძლია თუ არა ვივარაუდოთ, რომ ორ პრეზიდენტს შორის სერიოზული პირადი ურთიერთობა დამყარდა (მართლა დამეგობრდნენ თუ არა?!). ამ ექსპერტს "24 საათი" დაუკავშირდა მოსკოვში და ფრჩხილებში ჩასმული შეკითხვა დაუსვა. ექსპერტის მრავალსიტყვაობა იმას უნდა მივაწეროთ, რომ შეკითხვა ისევე გულუბრყვილოა, როგორც ხეზე კაკუნი. სხვათა შორის, რუსეთის იმპერატორი და გერმანიის კაიზერი ნათესავები იყვნენ, ბავშვობიდან მეგობრობდნენ და დიდობაშიც ერთმანეთს ასე მიმართავდნენ პირად წერილებში — "ჩემო ნიკი" და "ჩემო ვილი". ასე გრძელდებოდა 1914 წლის ზაფხულამდე...

მაგრამ ხეზე კაკუნის გულუბრყვილობას იქით სააკაშვილის უტყუარი პოლიტიკური ალღო დგას (ის აშკარად გამოჩნდა გასული წლის ნოემბერში), ჩვენი კორესპონდენტების გულუბრყვილობას კი რა ვუყოთ? — "**მართლა დამეგობრდნენ თუ არა პუტინი და სააკაშვილი? — ამ კითხვაზე რუს ექსპერტს პასუხის გაცემა უჭირს**". საწყალი! უჭირს! სინამდვილეში ალბათ ფიქრობდა, ეს ვის გადავეყარეო... კიდევ კარგი, ებრაული თუ გერმანული ტაქტი ეყო.

არა, ჩვენ, ქართველებს მაინც სხვა სითბო და სიყვარული გვაქვს. ამ "სითბოსა და სიყვარულს" უნდა გადავაყოლოთ ჩვენი პოლიტიკური წინდახედულება, კანონის უზენაესობა ("გაგიხარდებათ, თქვენმა შვილმა რომ ვინმე ჩაუშვას?"), საკუთარი კეთილდღეობა ("როგორ შეიძლება უკანონო პრივატიზაციებზე ხანდაზმულობის ვადის გაუქმება!"). განა თვით ბათიაშვილი იმაზე არ აყრდნობდა თავის პრეტენზიებს, რომ ქართველები იმდენად იდიოტები არიან, პუტინის ღიმილი სიმართლე ჰგონიათ და ჭკვიანი კი მარტო მე ვარო? ბოლოს და ბოლოს გამოდის, რომ ჩვენ თვითონვე ასეთი წარმოდგენა შევიქმენით საკუთარ თავზე: ქართველი ისაა, ვინც ოდნავ თბილ დახვედრაზე შაქარივით დნება, ვინც თავის ეროვნულ ინტერესებს ქუჩური გაგების ფასად სწირავს, ვინც მასზე ოდნავ ძლიერი არამზადისაგან ყოველგვარ შეურაცხყოფასა და დამცირებას მორჩილად ყლაპავს, აქაოდა "ინტრიგნობა" არ დამბრალდეს და "კაი ბიჭობას" ხინჯი არ დაემჩნესო, ვინც თავის ჯიბეში შეცურებულ სხვის ხელს არ შეამჩნევს, რადგან ესეც ქართველობის, იმ ყბადაღებული "სითბოსა და სიყვარულის" ღალატი იქნება რაღაც "ხელის ჭუჭყის" სასარგებლოდ. მე რომ ასეთი ადამიანების საზოგადოება ამიწერონ, მათ შორის ცხოვრება ნამდვილად შემრცხვებოდა და თუ ჯერ ცხოვრების იმედი არ დამკარგვია, მხოლოდ იმიტომ, რომ მჯერა: სინამდვილეში ჩვენ ასეთები არა ვართ; მალე ჩვენი ფარაც საბოლოოდ შებრუნდება მართალ გზაზე სასიარულოდ და პარლამენტში მოხვედრილი კოჭლი ცხვრები თავიანთ კანონიერ ადგილს დაიკავებენ საზოგადოების უკანა რიგებში.

ახლა კი შევაჯამოთ: ალბათ "24 საათს" მაინც ვერ ვუწოდებთ ოფიციოზს, თუმცა კი 25 იანვრის შემდეგ აშკარა ცვლილებები შეეტყო. ჩვენი სინამდვილე თითქოსდა განაწილდა A2 გვერდის ვერტიკალურ და A7 გვერდის ჰორიზონტალურ გისოსებს შორის: სამთავრობო პერიპეტიები და კრიმინალური ქრონიკა. სინამდვილე კი გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და ღრმაა. ის ვერანაირ გისოსებში ვერ თავსდება და მის ასახვას, თუ სიღრმე არ გვყოფნის, სიზუსტე მაინც სჭირდება.

სწორედ სიზუსტე გვღალატობს ხშირად და ეს ძალიან მძიმეა, რადგან, როგორც ფრანგები ამბობენ, ცხოვრების საზრისი დეტალებშია. სიზუსტის ასეთი დარღვევები შეინიშნება, მაგალითად, 12 თებერვალს გამოქვეყნებულ ინტერვიუში, რომელიც მიტროპოლიტ აბრაამს "24 საათის" პრეს-ომბუდსმენმა, **ნოდარ ლადარიამ** ჩამოართვა. აი, მაგალითად, *ევროპის ეკლესიათა კონფერენციას* ბ-ნმა ლადარიამ *ევროპის საეკლესიო კონფერენცია* უწოდა, თუმცა კი მშვენივრად იცის, რა ჰქვია მას (ვიცი, რომ 1991 წელს მის სხდომაშიც კი მიუღია აქტიური მონაწილეობა). იქ სადაც "ჭიათურის მიტროპოლიტი" უნდა დაეწერა, ავტორი "ჭიათურის ეპისკოპოსს" წერს. როცა მაღალყოვლადუსამღვდელოესი რესპონდენტი მას დაწვრილებით ჩამოუთვლის კათოლიკოს-პატრიარქის მიერ რუსეთის ეკლესიისადმი შეთავაზებულ კონკრეტულ ინიციატივებს, ბ-ნი ლადარია ასე ამოკლებს: "**რუსეთის მხარემ არ მიიღო არც ის დათმობები, რომლებიც მათ ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავარმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სრულიად სამართლიანად შესთავაზა**". ასე გაჩნდა ტექსტში ზედმეტი და უადგილო სიტყვა "დათმობა". სხვაგან კი პრეს-ომბუდსმენი ერთ სიტყვას აკლებს და ასევე საწინააღმდეგო ეფექტს ღებულობს: "**1990-იან წლებში რუსეთის ეკლესიამ იოანე ვოსტორგოვი წმინდანად შერაცხა**". უნდა იყოს: "1990-იან წლებში რუსეთის ეკლესიამ იოანე ვოსტორგოვი **ლამის** წმინდანად შერაცხა". იგრძენით განსხვავება?

ჰოდა, იქნებ ბ-ნმა ლადარიამაც იგრძნოს, რომ სხვის ტექსტებზე პარაზიტირება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მკითხველთან უტყუარი ინფორმაციის მიტანა. თუმცა აქ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მართლმადიდებლობის ის დამცველები, რომლებიც ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ საქვეყნოდ აცხადებენ, თითქოს მიტროპოლიტმა აბრაამმა სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან ერთობლივი ლოცვისკენ მოუწოდა, უსინდისოდ ტყუიან: ინტერვიუს ტექსტში ეს არც პირდაპირ წერია და არც ირიბად გამომდინარეობს.

ჩვენ ერთი რამ დაგვრჩა სათქმელი: ყველა ქართველმა, თითოეულმა ჩვენგანმა, მორწმუნეებმა, პატრიოტებმა, პროფესიონალებმა და ქალებმა უნდა შევიძინოთ გონიერი ადამიანის აუცილებელი თვისება: საკუთარი თავის გარედან განხილვის უნარი.

**P. S.** ამ სტატიის ტექსტი უკვე დაწერილი მქონდა, როცა მაცნობეს, რომ 14 თებერვლის საღამოს ნარიყალას წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში შეიჭრა რადიკალ მორწმუნეთა ჯგუფი. მათ შეურაცხყოფა მიაყენეს მღვდელ **ზაზა თევზაძეს**. რადიკალები თავიანთ მუქარასა და დაშინებას ასაბუთებდნენ იმით, რომ მამა ზაზა დაესწრო ქრისტიანთა ერთობლივ ლოცვას. ეს ტრადიცია ქრისტიანულ სამყაროში უკვე მრავალი ათეული წელია არსებობს. შარშან თბილისში ლოცვა გაიმართა 24 იანვარს და ის **ბასილი მკალავიშვილის** მრევლმა დაარბია. წელს ლოცვას ადგილი ჰქონდა 23 იანვარს კათოლიკურ ეკლესიაში და მას სამი მართლმადიდებელი სასულიერო პირი ესწრებოდა: დეკანოზი ბასილი კობახიძე, დეკანოზი გიორგი ჩაჩავა და მღვდელი ზაზა თევზაძე. როგორც ნაწილობრივ თვით რადიკალთა სიტყვებიდან გამომდინარეობს და ნაწილობრივ იქიდანაც, რომ სამი კვირის წინ მომხდარზე რეაგირება თვით ფანატიკოსთათვისაც დაგვიანებულია, არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ 14 თებერვალს მომხდარი ამაზრზენი ფაქტი არის რადიკალური ჯგუფების რეაქცია მიტროპოლიტ აბრაამის ინტერვიუზე, რომელიც 12 თებერვალს დაიბეჭდა "24 საათში" და მის სატელევიზიო გამოსვლაზე 13 თებერვალს "რუსთავის 2"-ის დილის ეთერში.


საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991




ბიძინა მაყაშვილის სვეტი



# ყვავილები

უკვე დიდი ხანია იმ ასაკს გავცდი, ახალი წლის დადგომა გაუცნობიერებელ სიხარულს რომ ანიჭებს ადამიანს. ყველაფერი ძალიან ერთფეროვანი მეჩვენებოდა. საახალწლო განწყობა ჩვენთან ხომ დეკემბრის მეორე ნახევრიდან იწყება და თვენახევარი გრძელდება. შეგახსენებთ: 17 დეკემბერი - ბარბარობა, 25 - შობა (იმათი), 30 - კორპორაციული წვეულება (რა თქმა უნდა, თუ უმუშევარი არ ხარ); 1 იანვარი - ახალი წელი, 2 - ბედობა, 7 - შობა (ჩვენი), 14 - ძველი ახალი წელი, 19 - ნათლისღება, 27 - ნინაობა, 30 - ჩინური ახალი წელი... ღვინო, შამპანური, კონიაკი, ლუდი (პახმელიაზე), ჭაჭა (ხაშთან), გოზინაყი, ჩურჩხელა, შოკოლადი, საცივი, ბაჟე, გოჭი, ხალადეცი, ხიზილალა, კუპატი, ხაში (ჭაჭა), ქონი, ცხიმი, ხოლესტერინი; ერთნაირი სადღეგრძელოები, ერთნაირი ხუმრობები, ჭორები, სიფათები; ტელევიზორში ბავშვობიდან გაზეპირებული ფილმები, ბენი ჰილი, მისტერ ბინი, ერიკ კლაპტონი, ელტონ ჯონი, ჯო კოკერი... თანაც ეს ყველაფერი თითქმის ყოველ დღე, ერთი თვის განმავლობაში... ხომ შეიძლება კაცმა გარეკოს... მით უმეტეს, რომ შარშანაც ასე იყო, შარშანწინაც, იმის წინათაც....

მაგრამ წელს (ამ სეზონზე) ეს ამბები უფრო ადრე დაიწყო - გიორგობაზე, 23 ნოემბერს. გიორგობა ხომ თავისთავად დღესასწაულია, თუმცა იმის გამო, რომ ყოველწლიურად აღინიშნება, შეიძლება ყოველთვის შესაფერისი ემოციური დატვირთვა ვერ შეიძინოს. მაგრამ 2003 წლის 23 ნოემბერი ძალიან დიდხანს დაახსომდებათ (იმედია, საქართველოს ფარგლებს გარეთაც). აი სწორედ ამ დღეს დადგა საქართველოში არა მარტო ახალი წელი, არამედ ახალი ეპოქაც. ამასთან ერთად, საახალწლო კალენდარში კიდევ ერთი დღე გაჩნდა: 4 იანვარს ახალი პრეზიდენტი ავირჩიეთ.

ეს ყველაფერი კი ვარდების რევოლუციად მოინათლა. ვარდები და საერთოდ, ყვავილები პოლიტიკის ისტორიაში ახალი არ არის. ჯერ კიდევ როდის ჰქონდათ ინგლისელებს წითელი და თეთრი ვარდების ომი?! ანდა, ჩვენი "ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები", 9 აპრილის შემდეგ?! მაგრამ, ამ მხრივ, ყველაზე შორს ჰიპები წავიდნენ თავიანთი მინდვრის ყვავილებით: 60-70-ანი წლების ახალგაზრდობას, რომელიც გულმოდგინედ ტენიდა ყვავილებს ნებისმიერი იარაღის ლულაში, დღესაც "ყვავილების ძალაუფლების" თაობად მოიხსენიებენ.

თუმცა, "ვარდების რევოლუციის" შემოქმედთაგან განსხვავებით, "ყვავილების" თაობის წარმომადგენლები ძალაუფლებაში ვერ მოხვდნენ. ისინი დრომ გააფერმკრთალა და მათგან მხოლოდ ლამაზი ლეგენდები, დიდებული მუსიკა და ყვავილები დარჩა. თუ რა დაგვრჩება "ვარდების რევოლუციისგან", ამასაც ისევ დრო გვიჩვენებს; ჯერჯერობით მხოლოდ ყვავილებია და როცა თაიგული, ან მით უმეტეს, ბაღი (სამოთხის?) გვექნება, მერე ვილაპარაკოთ.

მანამდე კი, ყველამ ჩვენ-ჩვენ საქმეებს მივხედოთ, თორემ მარტო ტელევიზორის ყურებით - აბა დღეს ვინ დაიჭირეს, ან რომელი ახალი მინისტრი დანიშნესო - ვერ გავფრინდებით - ყვავილებს ხომ საფლავებზეც დებენ.

მისახედის მეტი კი რა არის?! თუნდაც ჩვენი კულტურა ავიღოთ. ის უწყებრივად გააერთიანეს ძეგლთა დაცვასთან და სპორტთან. ამ ახალი სამინისტროს ხელმძღვანელის ვინაობაც ცნობილია. თუ რას მოუტანს ეს გაერთიანება მომავალ საქართველოს, ამაზე საქართველოს კულტურის მოღვაწეებს ერთიანი აზრი არ გააჩნიათ. ზოგი ამბობს, ნეტავ რამე გვეშველოს და რაც უნდათ, ის უქნიათო, ზოგი კი სამივე სფეროს ისე მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ მათი ერთ ყუთში მოთავსება დაუშვებლად მიაჩნია.

სანამ ამ საკითხზე საკუთარ მოსაზრებას გამოვთქვამთ, კარგი იქნება, გავიაზროთ, რა არის კულტურა. ნიჭიერი მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი ან რეჟისორი არ არის კულტურა. კულტურა არის ამ ადამიანებისთვის შემოქმედებითი გარემოს შექმნის უნარი. ერი კულტურულია, როცა საშუალო განათლებამიღებულ ადამიანს შეუძლია: ისეთივე სიამოვნება მიიღოს კლასიკური მუსიკის მოსმენით, როგორიც პოპ-მუსიკით; თავისი შთაბეჭდილების ფურცელზე ისე მაინც გადატანა, როგორც საშუალო დონის ჟურნალისტს საქართველოში; გაარჩიოს ერთმანეთისგან გრაფიკა, აკვარელი და ზეთი; კიჩი არ მიიჩნიოს შედევრად; ისეთ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააგდოს 2-საუკუნიანი ისტორიის მქონე ჯორჯიელი ატლანტადან თავისი ჯორჯიის 2-ათასწლოვანი ქრისტიანობით, რომ დარცხვენილმა, მექსიკელი აცტეკების ცივილიზაცია აშშ-ს კულტურულ მონაპოვრად გამოაცხადოს; კანის, ვენეციის, ან ბერლინის კინოფესტივალზე მიღებული მეორეხარისხოვანი ჯილდო უფრო ღირებულად მიიჩნიოს, ვიდრე მთავარი "ოსკარი"; ისე მაინც უყვარდეს სამშობლო, როგორც დარტანიანს უყვარდა თავისი ხმალი; ისეთი ერთგული მაინც იყოს მისი, როგორც თუნდაც იაპონელია თავისი სამუშაო ფირმის; ისე მაინც ამაყობდეს მით, როგორც თუნდაც ინგლისელი ფეხბურთის გულშემატკივარი თავისი საყვარელი, მესამე დივიზიონიდან გასავარდნად გამზადებული კლუბით.

არა მგონია, ამ ყველაფრის რეალიზაცია ძალიან ძნელი იყოს. და როცა ეს განხორციელდება, ბევრი რამ, რაც დღეს პრობლემად მიგვაჩნია, აღარ შეგვაწუხებს. აღარ დადგება დღის წესრიგში "ჰარი პოტერის" მავნე ზეგავლენის საკითხი, რადგან ამისი არავის შეეშინდება; "ვეფხისტყაოსანის" სცენაზე ან ეკრანზე გადატანა აღარ ჩაითვლება მკრეხელობად; FM რადიოების და მუსიკალური ტელე-არხების უგემოვნობა ვერაფერს დააკლებს ახალგაზრდებს - მათ ისინი უბრალოდ, ყურადღებასაც არ მიაქცევენ.

... და კიდევ ძალიან ბევრი რამ მოწესრიგდება. მაგრამ თუ ეს ყველაფერი არ გაკეთდა, ყვავილები მარტო საფლავებისთვის დაგვრჩება.

# "თექის სახლი" თქვენს სამსახურში

ნანა ბასილაშვილი



თექა განსაკუთრებით ქალებშია პოპულარული

ვახო ხალილოვის ფოტო

"რაც ლამაზია, კარგია და ჩვეულებრივი არ არის, ანუ არაჩვეულებრივია, ის მაინტერესებს და ამიტომაც აღმოვჩნდი აქ; რამხელა გემოვნებითაა ყველაფერი გაკეთებული, ეს ნიჭიერი და მშრომელი ადამიანის ნახელავია. რა კარგია, რომ რაღაც გაიხსნა და არა პირიქით. მართალია ფასები ცოტა მაღალია, თუმცა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ამას ვერ ვიტყვით", - მსახიობი კახი კავსაძე, გუშინ მაღაზია-სალონის - "თექის სახლის" პრეზენტაციაზე წარმოდგენილი, ქართული თექის ნაწარის შესახებ აღფრთოვანებული საუბრობდა.

ქართული თექისაგან დამზადებული უნიკალური ტანსაცმელი, ფეხსაცმელი თუ სხვადასხვა აქსესუარები, რომლებიც აქამდე გაფანტული იყო სხვადასხვა სახელოსნოებსა თუ სამკერვალოებში, დღეიდან ერთ კონკრეტულ ადგილას, საბურთალოს ქუჩის №37-ში მოიყრის თავს. სალონის მენეჯერის ხათუნა კიკვაძისა და ექვსი მხატვარ-დიზაინერის (ლილე ფილფანი, ქეთევან გრძელიშვილი, ნინო კუთხაშვილი, ქეთევან ცანკაშვილი, ანა ჯანუყაშვილი, ეკატერინე ჟიჟილაშვილი) მიზანი, ძირითადად, სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ქართული თექის თითოეული ორიგინალური ნიმუში, იქნება ეს ლაბადა, ქალის კოსტიუმი, ქვედა კაბა, შარფი, ჩანთა, ქუდი, ფეხსაცმელი, სამკაული, თუ სხვა აქსესუარი, ერთ კონკრეტულ ადგილას, ყველასათვის თვალსაჩინოდ ყოფილიყო გამოფენილი. ამასთან, სალონის გახსნის აუცილებლობა, უამრავი შეკვეთების მიღება-გასტუმრებისა და დაინტერესებულ მომხმარებელთან საურთიერთოდ კარგი გამოსავალი იყო. და კიდევ, ეს მათთვისაცაა, ვისაც ჯერ კიდევ არ ჰქონია შეხება, ქართული თექის ნაწარმთან, იმის მიუხედავად, რომ ბოლო დროს, თექის გამოფენა შედარებით ხშირად იმართება.

"თექის სახლში" წარმოდგენილ ნაწარმს, გამოფენის სახე უფრო ჰქონდა ვიდრე, სარეალიზაციო საქონლის. მაღაზიაც სალონთან ერთად შემთხვევით არ მოიხსენიება, ხელით ნაკეთი თექის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თუ აქსესუარი ხომ ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია. ნაცრისფერი თბილისისა და ტრადიციულად "შავოსანთა" ფონზე, ხალისიანი და თბილი ფერები განსაკუთრებით სანახაობრივი და "სასარგებლოა".

ქართული თექა, ანუ მოთელილი მატყლი საქართველოში უხსოვარი დროიდან არსებობს. უკანასკნელ წლებში მხატვარ-დიზაინერების თექით დაინტერესებამ, ქართული ტრადიცია ახლებურად წარმოაჩინა. თუმცა, ალბათ ეს ყველაფერი უმჯობესია თავად იხილოთ. დღესდღეობით, სალონში უმეტესად ზამთრის კოლექციაა წარმოდგენილი. "თეთრი სახლის" დიზაინერები, ვიდრე მომხმარებლისაგან მათი გემოვნებისა და სტილის მიხედვით, ნებისმიერ შეკვეთაზე მუშაობას დაიწყებენ, უკვე საგაზაფხულო კოლექციას ამზადებენ.

"ჩვენი ნაწარმი, სამწუხაროდ, იაფი არ არის, რაც ისევ და ისევ ძვირფასიანი ნედლეულისა და შემდგომ მათი დამუშავების უამრავი სტადიიდან მომდინარეობს. სპეციალური მატყლის გარეცხვა, გაპენტვა, შეღებვა, შემდეგ მხოლოდ ნატურალურ ნაჭერზე მისი გადმოტანა და ასე შემდეგ - უამრავი პროცედურაა საჭირო, მაგრამ, რაც მთავარია, ქსოვილი კეთდება ხელით და ამდენად, იგი ერთადერთი და განუმეორებელია", - ამბობს "თექის სახლის" მენეჯერი ხათუნა კიკვაძე.

"თექის სახლის" კოლექციის რიგიანად დათვალიერება, როგორც ყოველთვის პრეზენტაციის დღეს შეუძლებელი იყო. ამის გამო გული არავის დაწყვეტია, რადგანაც სალონის მენეჯერის თქმით, დათვალიერების (და რასაკვირველია არა მხოლოდ) საშუალება, ნებისმიერ დღესაა შესაძლებელი. მთავარია, რომ ამიერიდან არსებობს ნამდვილი ქართული თექის სახლი.

# დებატები "ულისეს" თემაზე

"როიტერის" კორესპონდენტი დუბლინიდან ფრიად უცნაურ ამბებს იტყობინება. თოვლი დნება, გაზაფხული მოდის და ირლანდიელებს ჯეიმს ჯოისი ახსენდებათ. უფრო ზუსტად, ივნისის თვე, როდესაც მთელი ქვეყანა ბლუმსდეის ზეიმობს.



დუბლინის ცენტრში

თუმცა, როგორც "როიტერი" ვარაუდობს, წელს ეს ლიტრობით ლუდითა და საუკეთესო ლიტერატურით გაჯერებული ღონისძიება მწვავე დებატების ფონზე ჩაივლის. მწერლების და პუბლიცისტების ნაწილი უკვე ხმამაღლა საუბრობს იმაზე, რომ ეს წიგნი მათ ყელში ამოუვიდათ, და რომ მობეზრდათ ის კულტი, რაც ირლანდიელებმა "ულისესგან" შექმნეს. ამგვარი დამოკიდებულების გამო თავს დამცირებულად გრძნობენ სხვა ირლანდიელი მწერლები, წიგნის ფანები კი ქმნიან ე.წ. "ჯოისის ბიზნესს", რომელიც ტურიზმსა და ფულის კეთებაზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე ლიტერატურაზე.

ამ მოსაზრების ერთ-ერთი პირველი დამცველი კომიკური ბესტსელერის ავტორი როდი დოილი გახლავთ. რამდენიმე დღის წინ ნიუ იორკში შეკრებილ აუდიტორიას მან ღიად განუცხადა: "ულისე" ყოველთვის ლიდერობს ხოლმე ყველა დროის საუკეთესო წიგნების ათეულში, არადა, ნამდვილად მეეჭვება, რომ ხალხს ნამდვილად გაეგო ის". შემდეგ დოილმა ჯოისს უკვე ირლანდიური გაზეთის ფურცლებიდან შეუტია და კიდევ უფრო გაამწვავა ნიუ იორკში გამოთქმული მოსაზრება: "თუ მწერალი ხარ და დუბლინში ცხოვრობ და თუ ნაწარმოებში რეალისტურ დიალოგს ჩაურთავ, მაშინვე იფიქრებენ, რომ "ულისეს" მიბაძე. თითქოს ჯოისს თავისი შემოსაზღვრული ტერიტორია ჰქონდეს, სადაც შესვლა აკრძალულია. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ნერვებს მიშლის".

როდი დოილს მხარს უბამს პუბლიცისტი კევინ მეიერსი. გაზეთ "აირიშ თაიმსში" გამოქვეყნებულ სვეტში ის "ულისეს" ასე ახასიათებს: "ლიტერატურის ისტორიაში "ულისე" ყველაზე უნაყოფო ნაწარმოები გახლავთ, ნამდვილი გამომხმარი მიწა. მასში 400 ათასი სიტყვაა, აქედან 250 ათასი, წესით, ამოსაღებია".

ჯეიმს ჯოისის წინააღმდეგ გაბედულად ილაშქრებს ჟურნალისტი შონ მონკრიეფიც. "აირიშ იქზამაინერში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ის წერს: "მაინც რა ხდება "ულისეში"? ბევრი არაფერი. ბლუმი საუზმობს, მიდის დაკრძალვაზე, ცოტას დუბლინში ხეტიალობს. იგივეს აკეთებს სტივენ დედალუსი. გამოთვრება და თავს ისულელებს. მერე ორივენი მიდიან სახლში. აბა, სცადეთ და მსგავსი ფაბულის ნაწარმოები დღეს გაუგზავნეთ რომელიმე გამომცემელს, გამოქვეყნებას ვერასდროს ეღირსებით".

თუმცა, ცხადია, ამ შეურაცხმყოფელ განცხადებებს ჯოისის თაყვანისმცემლები არ ეპუებიან. "უსამართლობაა, ამტკიცო, რომ "ულისე" არავის ესმის და მოსწონს", - აცხადებს ჯეიმს ჯოისის ცენტრის დირექტორი ჰელენ მონაგანი. რაც შეეხება ჯოისის ბიზნესს, მონაგანი დასძენს: "ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, საზოგადოებისთვის მეტი ცნობები მიგვეწოდებინა ჯოისის შესახებ".

"ულისეს" დუბლინელი თაყვანისმცემლები გაღიზიანებულ პუბლიცისტებს იმასაც უმტკიცებენ, რომ მათთვის რომანის შინაარსი მეასეხარისხოვანია. მათ არც პუნქტუაციის გარეშე შექმნილი წინადადებები, მინიშნებები კლასიკაზე და სიმღერების ნაწყვეტები აღიზიანებთ. ის, რაც მათთვის ძვირფასი და შეუდარებელია, ჯოისის ენის ესთეტიკა გახლავთ.

ასეა თუ ისე, ბუნებრივია, 16 ივნისს დაგეგმილი დღესასწაული არც წელს ჩაიშლება. გაღიზიანებული პუბლიცისტებისა და ჩრდილშიმოქცეული მწერლების უკმაყოფილება ბლუმსდეის ზეიმს ვერაფერს დააკლებს. დუბლინში ამ დღეს აუცილებლად შეიკრიბება ის ხალხი, ვისაც ძალიან უყვარს ლიტერატურა.

მით უფრო, რომ წელს დუბლინი გრანდიოზულ ღონისძიებებს გეგმავს. 16 ივნისს, სავარაუდოდ, 10 ათასზე მეტი ადამიანი ეწვევა დედაქალაქს. ისინი შეეცდებიან ო`კონელის ქუჩაზე ისაუზმონ და ზუსტად გაიარონ ის გზა, რომელზეც ბლუმმა 1904 წლის 16 ივნისს იარა. იმავე დღეს მოეწყობა ჯოისის გავლენით შექმნილი გამოფენები, "ულისეს" მხატვრული კითხვები და კიდევ ათასი სხვა ღონისძიება, რომლებზეც აუცილებლად მოგითხრობთ.

მოკლედ

## გერმანელები უნიკალურ გამოფენას გვპირდებიან

26 თებერვალს გერმანელი ექსპერტები, ბოხუმის სამთო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები საქართველოს ეწვევიან და არქეოლოგიურ ცენტრთან მოლაპარაკებებს გამართავენ. გერმანელი ექსპერტების ვიზიტის მიზანია, ბოხუმის მუზეუმში დაცული ქართული ექსპონატების გამოფენა საქართველოშიც მოაწყონ. თუმცა, არსებობს ერთი პრობლემა - ექსპონატებისათვის საჭიროა ვიტრინები, რომელთა ტრანსპორტირებაც გერმანიიდან ძვირი ჯდება. დიდ თანხებთან არის აგრეთვე დაკავშირებული ამ ვიტრინების საქართველოში დამზადება, რომელზეც ნაწილობრივ შესაძლოა ისევ გერმანულმა მხარემ იზრუნოს.

გამოფენა სახელწოდებით: "საქართველო - განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან" ბოხუმის მუზეუმში თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, რამაც გერმანელ დამთვალიერებელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს რეგიონებში მოპოვებული უნიკალური არქეოლოგიური მასალა: სპილენძის, რკინისა და ოქროს ნივთები. ამ ნივთებს რესტავრაცია გერმანიაში ჩაუტარდა.

გერმანელი ექსპერტების სურვილია ბოხუმის მუზეუმში 2007-2008 წლებისათვის მოეწყოს კიდევ ერთი გამოფენა, სახელწოდებით "კოლხეთი".

## დღესასწაულის სამზადისში

თბილისის თეატრალური სამყარო თეატრის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ემზადება; გრანდიოზული თეატრალიზებული წარმოდგენა ათონელის ქუჩაზე ახლადგახსნილ თეატრალურ დარბაზში გაიმართება. როგორც ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გოჩა კაპანაძემ განაცხადა, ახალი თეატრის სახელწოდება, ჯერჯერობით, მოფიქრებული არ არის. მას, სავარაუდოდ, ან "თეატრი მშრალ ხიდთან", ან "თეატრი ათონელის ქუჩაზე" დაერქმევა. თეატრის დარბაზი 120 მაყურებელზეა გაანგარიშებული.

27 მარტს - თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელიც ერთგვარ "ცოცხალ" ანონსს წარმოადგენს, მონაწილეობას მიიღებენ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, თეატრალური სარდაფის, "თავისუფალი თეატრის" 40-მდე ცნობილი სახე. ისინი წარმოადგენენ იმ სპექტაკლების ნაწყვეტებს, რომლებიც თეატრალური სეზონის განმავლობაში ნაჩვენები იქნება ახლად გახსნილ თეატრში; მათ შორის: "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", "სისხლიანი ქორწილი", "ბერნარდა ალბას სახლი", "დარისპანის გასაჭირი", მონო-სპექტაკლი "მე – სერგო ფარაჯანოვი", რომელშიც მთავარ როლს თავად სამხატვრო ხელმძღვანელი შეასრულებს. ამჟამად, გოჩა კაპანაძე კიდევ ერთ სპექტაკლზე მუშაობს, რომელიც მე-20 საუკუნის ცნობილი ხელოვანების – სარა ბერნარისა და ელეონორა დუზეს ბიოგრაფიულ ცნობებს მოიცავს.

## "ვეფხისტყაოსანი" ვარდების რევოლუციას მიეძღვნება

საქართველოს ნაციონალური ბალეტის თეატრი - "მეტეხი" 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად ემზადება. როგორც "მეტეხის" სამხატვრო ხელმძღვანელმა, ქორეოგრაფმა გელოდი ფოცხიშვილმა განაცხადა, ანსამბლის საიუბილეო კონცერტი დეკემბერში უნდა გამართულიყო, თუმცა ის თანხების უქონლობის გამო გადაიდო.

"მეტეხი" იუბილეს გრანდიოზულად აღნიშვნას აპირებს. ანსამბლის ქორეოგრაფები ახალ კომპოზიციაზე - "ვეფხისტყაოსანზე" მუშაობენ. წარმოდგენა ვარდების რევოლუციას ეძღვნება.

"ვეფხისტყაოსანი" დადგმულია თანამედროვე სტილში და მასში გამოყენებულია კლასიკური, ფოლკლორული და თანამედროვე მუსიკა, ასევე V-VI საუკუნეების ქართული საგალობლები.

"მეტეხის" სამხატვრო ხელმძღვანელის თქმით, "ვეფხისტყაოსანი" ქართველი მაყურებლისთვის ერთგვარი სიახლე იქნება. "მეტეხის" იუბილე, სავარაუდოდ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება.

მარტში "მეტეხი" საგასტროლოდ გაერთიანებულ ემირატებში მიემგზავრება, შემდეგ კი ავსტრალიას ეწვევა.

"ბერლინალე" - 54

# უკანასკნელი დარტყმა ფესტივალზე

ნინია კაკაბაძე
ბერლინიდან

*პარადოქსებით სავსე ფესტივალი დასრულდა. 14 იანვარს, 14:00 საათზე პრესის წარმომადგენლებს ფესტივალის გამარჯვებულთა ვინაობა გამოგვიცხადა ამერიკელმა კინომსახიობმა ფრენსის მაქ დორმანდმა, რომელიც საკვირველი კეკლუცობითა და მანერული ჟესტიკულაციით იმ ადამიანთა გვარებს ასახელებდა, რომელთაც პრესტიჟული თუ ერთობ უმნიშვნელო ჯილდოები წაიღეს საკუთარ ქვეყანაში. ჟიურის თავმჯდომარესთან და გამარჯვებულებთან ჩვენ დავბრუნდებით...*



˝კედლის პირისპირ˝ გადამღები ჯგუფი

### დასკვნითი მიმოხილვა

არსებობს მოსაზრება, რომ კინემატოგრაფმა, როგორც ხელოვნების ერთ-ერთმა დარგმა საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა და იგი აღარ ვითარდება. მე აქვე მინდა მოგახსენოთ ჩემი მოკრძალებული აზრი - მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. მაგრამ აქვე მიჩნდება ერთი კითხვა. ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კინოფესტივალზე, საკონკურსო ჩვენებაში წარმოდგენილმა ნამუშევრებმა გამაკვირვეს. არც ერთი მათგანი არ გვიგზავნიდა მესიჯს იმის თაობაზე, რომ კინოხელოვნება ჯერ კიდევ სიახლის შექმნის, განვითარების პროცესშია. რასაკვირველია, იყო რამდენიმე საინტერესო ნამუშევარი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გვთავაზობდა არავითარ სიახლეს ფორმის თვალსაზრისით. თემები ასე თუ ისე თანამედროვე და აქტუალურია. არავითარი ექსპერიმენტი და არავითარი სიახლე. საკმაოდ ერთფეროვანი და შეიძლება თამამად ითქვას, უფერული კინოფესტივალი, რომელიც ბერლინში უკვე 54-ჯერ ჩატარდა. მიუხედავათ ამისა, მე მაინც ვფიქრობ რომ კინოხელოვნება პერსპექტივაში გააგრძელებს არსებობას და ყოველთვის იტყვის ახალ სიტყვას.

ერთი გამონათქვამი, რომელიც ყოველთვის მაღიზიანებს, მაგრამ როგორც აღმოჩნდა მასაც ლოგიკური არსი აქვს, ასე ჟღერს:

### ყველაფერი ახალი, კარგად დავიწყებული ძველია

ერთადერთი განსხვავებული ნამუშევარი, რომელმაც განსხვავებული ნოტა შემოიტანა ბერლინის კინოფესტივალზე, ბერძენი კინორეჟისორის, თეო ანგელოპულოსის ფილმი "ტრილოგია... მიწა ტირის" იყო. ტრილოგიის პირველი ნაწილი. ფილმი, რომელიც კლასიკური კინემატოგრაფიის ნიმუშს წარმოადგენს. ტონინო გუერას სცენარი ომის თემაზე. ომი, რომელიც კინოში პირდაპირ არ მოჩანს, მაგრამ ეკრანზე მისგან გამოწვეული შედეგებია. ფილმის მოქმედება საბერძნეთში 1919 წლიდან 1949 წლამდე ვითარდება. ანგელოპულოსმა განაცხადა, რომ ამ ტრილოგიაში მას გადაწყვეტილი აქვს ყველა ის ომი აჩვენოს, რომელიც მისმა ქვეყანამ გამოიარა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ფილმის პირველი ნაწილია.

პოეტური კინოს ნიმუში, სტატიური კადრები, სიმბოლოები და მეტაფორები, ფერების სიმბოლური დატვირთვა, შემაძრწუნებელი სიცარიელე და სიჩუმის ხმაური, ცოტა დიალოგი და ნელი მოქმედება, მთლიანად კინოს ნელი ტემპი, რომელიც ოსტატურ დინამიკას ქმნის და ზუსტად სამი საათი გრძელდება. დაღლილი და დაფიქრებული მაყურებელი. ერთმნიშვნელოვნად საინტერესო კინო, პროფესიონალურ კინოენით გამოსახული აქტუალური თემა. "ომი ყოველთვის იყო და იქნება; არასდროს დასრულდება ადამიანთა უმიზნო სიკვდილი, აბსურდულ ომს ყოველთვის შეეწირება უდანაშაულო ადამიანი"- თქვა ანგელოპულოსმა პრესკონფერენციაზე. და არ შეიძლება მას არ დავეთანხმოთ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ტონინო გუერა დაბერდა და მისი სცენარი დღევანდელი დღისთვის ზედმეტად გადატვირთულია პოეზიით, სიმბოლოებითა და მეტაფორებით. ანგელოპულოსს კი გერონტოფობია შეეპარა და ამიტომ მისთვის ჩვეული, ფარული ემოციურობა, ყოვეგვარი სენტიმენტების გარეშე, რომელიც მის წინამორბედ ფილმებში ზომიერების ნიმუში იყო, სადღაც გაუჩინარდა.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა... თეო ანგელოპულოსის ფილმი, ერთადერთი განსხვავებული ნამუშევარი იყო ბერლინის კინოფესტივალზე საკონკურსო კინოჩვენებაში წარმოდგენილ ფილმებს შორის. და თუკი ყველა, სხვა დანარჩენი ფილმი მეტნაკლებად ერთნაირი და ერთნაირად უფერული იყო, და მხოლოდ ეს უკანასკნელი იყო განსხვავებული, მაშინ ის გამონათქვამი, რომელიც მე არ მიყვარს, შესაძლებელია ამ შემთხვევაში არ ამართლებდეს საკუთარ შინაარსს, ვინაიდან ეს უკანაკნელი ფილმი ყველაზე განსხვავებულად, ორიგინალურად და საინტერესოდ გამოიყურებოდა ამ კინოფესტივალზე.



ჯოშუა მარსტონი და კატალინა სანდინო-მორენო



შარლიზ თერონი

### დარტყმა პირველი

ჟიურის სპეციალური ჯილდო, "ვერცხლის დათვი" გადაეცა არგენტინელ კინორეჟისორს, დენიელ ბურმანს, ფილმისათვის "დაკარგული ჩახუტება". პოლონეთიდან არგენტინაში ემიგრირებული ებრაელების ისტორია. ფილმის მთავარი გმირი, რომელიც სახლიდან გასულ და უკან არდაბრუნებულ მამას ეძებს. ეს ხაზი რეჟისორმა, როგორც საკუთარი ფესვების ძიება, ისე წარმოადგინა. ემიგრანტების მესამე თაობა, რომელიც მისთვის ამ უცხო ქვეყანაში დაიბადა და გაიზარდა, საკუთარ მიწისკენ, საკუთარი ფესვებისკენ ილტვის. ეს მოსათხრობად საინტერესო თემა, დენიელ ბურმანმა საკმაოდ უინტერესოდ გამოსახა. თითქოს რეალისტური, მარტივი ისტორია, რეპორტაჟული მანერით მოთხრობილი, ბევრი დიალოგით და მუდმივად მოძრავი კამერით, საკმაოდ დაბალი ხარისხის კინონამუშევარს წარმოადგენს, მაგრამ როგორც ეტყობა, თემა ამ ეტაპზე ყველაზე მეტად აქტუალური და თანამედროვეა და რატომ?!

### დარტყმა მეორე

ფესტივალის მთავარი ჯილდო, "ოქროს დათვი" გადაეცა გერმანელ კინორეჟისორს, ფატიჰ აკინს ფილმისათვის "კედლის პირისპირ".

და რატომ ემიგრაცია?! "ოქროს დათვის" მფლობელი წარმოშობით თურქი, მაგრამ გერმანიაში დაბადებული და გაზრდილია. ფილმიც ჩვეულებრივი სასიყვარულო სამკუთხედის ისტორიას მოგვითხრობს. სამივე გმირი ტრადიციული მუსლიმანური ოჯახის წარმომადგენელია. მათი ისტორია მარტივია. ფესტივალზე შედეგების გამოცხადების შემდეგ რამდენიმე წუთში, პრესცენტრის ფოიეში ეგზალტირებული გამარჯვებული რეჟისორი სირბილით და შეძახილებით შემოქანდა, და იქვე მობილიზებულ ჟურნალისტებს სწორედ ეს მოახსენა: "თანამედროვე კინო მარტივი ისტორიების ჩვენებაა". მე გავაგრძელებ - მთავარია, რა მოჩანს მის მიღმა. საკუთარ მიწას მოწყვეტილი ადამიანები, რომელნიც სრულიად განსხვავებულ სამყაროში ცხოვრობენ და ცდილობენ საკუთარი ტრადიციები შეინარჩუნონ. კულტურათა აღრევა და კონფლიქტი, რეალისტურ-ნატურალისტური, კლასიკურ სტილში გადაღებული ფილმი, სპეციფიური გერმანული იუმორით. ფილმის ჩვენების შემდეგ, ერთ-ერთმა გერმანელმა კრიტიკოსმა რეჟისორს მადლობაც კი გადაუხადა, ტიპური გერმანული კინოს შექმნისთვის. ესეც მართალია და ეს უკანასკნელი სწორედ იმაზე მიგვითითებს, რისი გამოთქმაც ყველაზე მეტად სურდა რეჟისორს: გერმანიაში მაცხოვრებელმა დაახლოებით შვიდმა მილიონმა თურქმა საკმაოდ წარმატებულად მოახერხა ამ განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყანაში ადაპტირება. ემიგრანტების, ეგრეთ წოდებული მეორე თაობა ცდილობს ჰარმონიულად გააერთიანოს მისი წინაპრებისა და შთამომავლობის ტრადიციები, კულტურა თუ რელიგია.

ეს ყველაფერი ისევ და ისევ მინდა შეგახსენოთ, რომ მოსათხრობად არის საინტერესო, მაგრამ კინემატოგრაფიული თვალსაზრისით, ნამუშევარი საკმაოდ უინტერესოდ არის გადმოცემული.

### ვერსია პირველი - კეკლუცი ქალბატონი ემიგრანტების ქვეყნიდან

პრესკონფერენციის დარბაზში, რომელიც გადაჭედილი იყო სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ჟურნალისტებით თუ კრიტიკოსებით, შედეგების გამოცხადების დროს, სრული სიჩუმე იყო. არ ისმოდა ემოციური შეძახილები თუ აპლოდისმენტები, რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში ყოველთვის ასე ხდება; როგორც ჩანს, არა მხოლოდ ქართული დელეგაცია დარჩა გაკვირვებული და აღშფოთებული და არა მხოლოდ შედეგებით. ფრენსის მაქ დორმანდის უხერხული მატრაკვეცობით და მის მიერ შერჩეული ლაურეატებით. როგორც ეტყობა ჟიურის თავმჯდომარის, ამერიკელი ქალბატონის (რომელიც თავად ემიგრანტების ქვეყნიდან არის), დაჟინებული მოთხოვნით გაიმარჯვეს ზემოთხსენებულმა რეჟისორებმა, თორემ სხვა რას დავაბრალოთ მისი ამგვარი უმისამართო ხელ-ფეხის ქნევა და უსაფუძვლო სიცილი, არ ვიცით.

### ვერსია მეორე - კინო პოლიტიკაა

გერმანიაში კინოფესტივალზე გამარჯვებული თურქი-გერმანელი კინო რეჟისორის გერმანული კინოპროდუქცია აღმოჩნდა. ფაშიზმის კომპლექსი, რომელსაც ახლა სხვა ერების წარმომადგენელთა მიმართ დემოკრატიული დამოკიდებულებით ანეიტრალებენ. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, და ისიც ძალიან მიხარია, თუკი გერმანიაში ყველა ემიგრანტი თავს როგორც საკუთარ სამშობლოში ისე გრძნობს, მაგრამ რა შუაშია ეს ყველაფერი კინოსთან და ამ შემთხვევაში კინოფესტივალთან?! და რა დააშავა ქართულმა დელეგაციამ რომელსაც სულ სხვა ფილმები მოეწონა და სულ სხვა ფილმებს მისცა ხმა?!

### და ბოლოს... გულდაწყვეტილი ქართველები

ჩვენი პროგნოზი არ გამართლდა, არც ერთი ჩვენგანის რჩეული არ აღმოჩნდა გამარჯვებულთა სიაში. გულდაწყვეტილები და გაბრაზებულები ვდგავართ პრესცენტრის ფოიეში, სწორედ შედეგების გამოცხადების დროს, სწორედ მაშინ, როდესაც ეგზალტირებული გამარჯვებული შემოხტა შენობაში, ჩვენ ერთად შეკრული და გაერთიანებული ქართველები ვდგავართ ერთად და არ ვიცით როგორ გამოვხატოთ უკმაყოფილება. გამარჯვებულს ტაშს არ ვუკრავთ, მაგრამ ამით მას არაფერი აკლდება. ბოლოს და ბოლოს, გაბრაზებული დათო მელიქიშვილი ამბობს: "რას ყვირიან ესენი, არ იციან, რომ ჩვენთან ვარდების რევოლუცია მოხდა"... გაგვახსენდა ჩვენი უახლოესი ისტორია, დაგვიბრუნდა თავდაჯერებულობა, (არაფერს არ ნიშნავს, რომ ჩვენი და კეკლუცი ამერიკელი ქალბატონის შეხედულებები არ დაემთხვა ერთმანეთს) და ამიტომ ასე, მართალია, ვარდების გარეშე, მაგრამ ამაყად და მშვიდობიანად დავტოვეთ შენობა მომავალი ფესტივალის და საერთოდ მომავლის იმედით.

# 54-ე "ბერლინალეს" გამარჯვებულები

შაბათს ბერლინის 54-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ყველა გამარჭვებულის ვინაობა გაირკვა.



ფატიჰ აკინი ოქროს დათვის მფლობელია

**"ოქროს დათვი"** მიიღო ფატიჰ აკინის ფილმმა "კედლის პირისპირ"

**ჟიურის დიდი ჯილდო, "ვერცხლის დათვი"** მიიღო დენიელ ბარმენის ფილმმა Lost Embrace

**საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისთვის** "ვერცხლის დათვი" გადაეცა კიმ კი-დუკს ფილმისთვის "სამარია"

**საუკეთესო მსახიობ ქალებს,** კატალინა სანდინო მორენოს ("მოწყალე მარია") და შარლიზ თერონს ("მონსტრი") - "ვერცხლის დათვი"

**საუკეთესო მსახიობ მამაკაცს**, დენიელ ჰენდლერს (Lost Embrace) - "ვერცხლის დათვი"

**საუკეთესო მსახიობთა ჯგუფს** ფილმისთვის "გარიჟრაჟი" - "ვერცხლის დათვი"

**საუკეთესო კინომუსიკისთვის** ბანდა ოზირისს (Primo Amore) - "ვერცხლის დათვი"

**საუკეთესო ევროპული ფილმისთვის** ბიორნ რუნგეს ფილმს "გარიჟრაჟი" გადაეცა "ლურჯი ანგელოზი"

**ალფრედ ბაუერის პრიზი** - ჯოშუა მარსტონის ფილმს "მოწყალე მარია"

**საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის** კრისტი პუიუს ფილმს "ერთი ღერი კენტი და ერთი პაკეტი ყავა" - "ოქროს დათვი"

**საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის** კარინ იუნგერისა და ბრიგიტ ჰილენიუსის ფილმს "მაგარია!" - ჟიურის ჯილდო, "ვერცხლის დათვი"

**მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ჟიურის პრიზი "UIP ბერლინი"** - კრისტი პუიუს ფილმს "ერთი ღერი კენტი და ერთი პაკეტი ყავა"

**პანორამას მოკლემეტრაჟიანი ფილმების პრიზი** - ტაიკა ვაიტიტის ფილმს "ორი მანქანა, ერთი ღამე"

**ეკუმენური ჟიურის ჯილდო** - კენ ლოუჩის საკონკურსო ფილმს Ae Fond Kiss

**კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო გაერთიანების, "ფიპრესის" პრიზი** - ფატიჰ აკინის ფილმს "კედლის პირისპირ"

**მალფრედ ზალცბერგის პრიზი** - სებასტიენ ლიფშიცის ფილმს "ველური მხარე"

**პანორამას მაყურებელთა პრიზი** - ანდრეს ვაიელის სრულმეტრაჟიან ფილმს "მოთამაშეები" და იოჰან ბრიზინგერის მოკლემეტრაჟიან ფილმს Passing Heatrs

**საბავშვო ჟიურის "მინის დათვი"** - მარიო ხ.დე ლოს რაიესის მხატვრულ ფილმს "მაგნიფიკო" და მიშელ ლემიეს მოკლემეტრაჟიან ფილმს "ქარიშხლის ღამე"

**ახალგაზრდული ჟიურის "დათვი"** - ნცავენი ვა ლურულის მხატვრულ ფილმს "ხის საკანი"

**გერმანიის ბავშვთა შემწეობის სამსახურის დიდი პრიზი** - მარიო ხ.დე ლოს რაიესის ფილმს "მაგნიფიკო"

**გერმანიის კინოხელოვანთა თეატრის გილდიის პრიზი** - კენ ლოუჩის ფილმს Ae Fond Kiss

**მშვიდობის კინოპრიზი** - ვინიკო ბრეზანის ფილმს "მოწმეები"

**"ტედი"** - სებასტიენ ლიფშიცის მხატვრულ ფილმს Wild Side

**ვოლფგანგ სტაუტეს პრიზი** - რეკეშ შარმას ფილმს "საბოლოო გადაწყვეტილება"

**კალიგარის კინოპრიზი** - დევიდ ფერარიოს ფილმს "ნაშუაღამევს"

**პრიზი დოკუმენტური ფილმისთვის** - ბარტეკ კონოპკასა და პიოტრ როსოლოვსკის ფილმს "თხის გზა".

# ქართველი მაყურებლის არჩევანი



ოქროს და ვერცხლის დათვები

**გიორგი კალატოზიშვილი**, კინომცოდნე - ანეტ ქეი ოლესენის In Your Hands ("შენს ხელში").

**გოგი გვახარია**, კინომცოდნე - თეო ანგელოპულოსის Trilogy: The Weeping Meadow.

**არჩილ შუბაშვილი**, კინომცოდნე - რიჩარდ ლინკლეიტერის Before Sunset ("მზის ჩასვლამდე").

**ნანა თუთბერიძე**, კინომცოდნე - თეო ანგელოპულოსის Trilogy: The Weeping Meadow.

**დავით ბუხრიკიძე**, კრიტიკოსი - ანეტ ქეი ოლესენის In Your Hands ("შენს ხელში").

**ბიძინა რამიშვილი**, ჟურნალისტი - რიჩარდ ლინკლეიტერის Before Sunset ("მზის ჩასვლამდე").

**სალომე დადუნაშვილი**, ჟურნალისტი - ანეტ ქეი ოლესენის In Your Hands ("შენს ხელში").

**ოთარ ჭუმბურიძე**, ენათმეცნიერი - თეო ანგელოპულოსის Trilogy: The Weeping Meadow.

**დავით მელიქიშვილი**, მხატვარი - მანუელ არაგონის Your Next Life ("შენი შემდეგი ცხოვრება")

**გიორგი ნადირაძე**, მხატვარი - რიჩარდ ლინკლეიტერის Before Sunset. ("მზის ჩასვლამდე")

**ეკა გაბაშვილი**, ჟურნალისტი - პატრიკ ლეკონტის Intimate Strangers.

**ნინია კაკაბაძე**, კინომცოდნე - ანეტ ქეი ოლესენის In Your Hands ("შენს ხელში").

**P.S.** ბერლინის ფესტივალს ოფიციალურად, დაახლოებით, 25 ადამიანი ესწრებოდა საქართველოდან. ეს იმ ადამიანთა ჩამონათვალია ვინც სისტემატურად ადევნებდა თვალს საკონკურსო ფილმების ჩვენებას. ეს პროგნოზები გაკეთებულია საერთაშორისო ჟიურის შედეგების გამოცხადებამდე. როგორც ხედავთ, ქართული "ჟიურის" ვერც ერთი რჩეული ვერ გახდა "ოქროს დათვის" მფლობელი.

რაგბი

# ოთხი მწვრთნელი ჯობს თუ ერთი ჯობდა

**მწვრთნელთა კვარტეტმა მუშაობა მარცხით დაიწყო**

პაატა თოთაძე

**ევროპის ერთა თასი**
**საქართველო – პორტუგალია**
**14:19**

**საქართველო:** *ხინჩაგიშვილი, ღვაბერიძე (კუთარაშვილი), კოპალიანი (სუჯაშვილი), ზედგენიძე, გორგოძე (მჭედლიშვილი), მაისურაძე, ურუშაძე, უდესიანი, სამხარაძე, კვინიხიძე, მაჩხანელი, ალანია, ზიბზიბაძე, ურჯუკაშვილი, ხამაშურიძე*
**2 ლელო** – *კოპალიანი, ღვაბერიძე*
**2 გარდასახვა** – *ურჯუკაშვილი, კვინიხიძე*

**პორტუგალია:** *კორდეირუ, სანტუში, ფერეირა (სერმენტუ), ენდრადე, დურეი, უვე, მურინელუ (ლეალი), კუნია, პისარა, გრენიუ, დევიდ მეტეუში, სოუსა, დიოდუ მეტეუში, ეგილარი, მელეირუ*
**1 ლელო** – *ეგილარი*
**1 გარდასახვა** – *მელეირუ*
**3 საჯარიმო და 1 არეკნი** – *მელეირუ*

მატჩზე დამსწრე საქართველოს პრეზიდენტმა შეხვედრის შემდეგ თქვა, ქართველ მორაგბეებს ცოტა მეტი ჟინი რომ ჰქონოდათ, ამ თამაშს მოიგებდნენო. არ ვიცი, შესაძლოა, მას ასე მოეჩვენა, მაგრამ, ჩემი აზრით, ქართველებმა სხვა რამის გამო წააგეს.

პირველი მიზეზი გამოუცდელობაა, მეორე კი - მოედანზე შექმნილი ვითარების არასწორი შეფასება და არასწორი გადაწყვეტილებების მიღება, ტაქტიკური უცოდინარობა. ბევრი გულშემატკივარი ნაკრების მწვრთნელებზე გადატეხს ჯოხს - ფრანგი გაუშვეს, არ ვარგოდა და აგერ უკეთესებიო. მწვრთნელებს უთუოდ ბევრი მოეთხოვებათ, მაგრამ ერთი მატჩით მათი შეფასება არ შეიძლება. მომავალში გამოჩნდება, სწორი ნაბიჯი გადადგა თუ არა რაგბის კავშირმა და სათაურში გამოტანილ კითხვასაც გაეცემა პასუხი.

გუშინ ბევრი პირველად თამაშობდა ნაკრების შემადგენლობაში. ამ დროს ძნელია, დებიუტანტებს მოსთხოვო, გამოავლინონ შესაძლებლობების მაქსიმუმი.

მე-20 წუთისთვის 10:0 იყო პორტუგალიელთა სასარგებლოდ, მაგრამ ანგარიში ზუსტად არ ასახავდა ძალთა თანაფარდობას. მაჩხანელს რომ ცოტა ეყოჩაღა, ის გატანილი ლელოც შეიძლებოდა დაგვეცვა. საერთოდ, მაჩხანელს გუშინდელი თამაში არ წაუვიდა. გაშვებული ლელოდან ათ წუთში მას ლელოს გატანის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ბურთი ხელიდან გაუვარდა. აქ ურჯუკაშვილმა გაჭრა მეტოქის დაცვის ხაზი და ეულად მყოფ მაჩხანელს გადასცა ბურთი, მართალია, მთლად კარგი არა, მაგრამ დაჭერა მაინც შეიძლებოდა.

ამ დროს ანგარიში 10:7 იყო – მეტოქის ლელოსთან ახლოს მოგებული აუტი ქართულმა მოლმა ლელოდ აქცია. ტაიმის დასრულებამდე ერთი ლელოს გატანა კიდევ შეგვეძლო, თუმცა, ახლა უკვე უდესიანი შეცდა – მეტოქის ლელოში შევარდნილს ბურთი ხელიდან გაუვარდა.

მეორე ტაიმში ჩვენები ცოტა დაიღალნენ. ეს არც იყო გასაკვირი - გუნდი მეტოქის ლელოსკენ ძირითადად მორკინალთა ხარჯზე მიიწევდა, საათნახევრიანი ჯაჯგურისთვის კი ქართველი მორკინალები მზად არ იყვნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენმა შერკინებამ აშკარად დაჩაგრა მეტოქისა და ის ტაქტიკური განსწავლულობა რომ ჰქონოდათ მოთამაშეებს, შედეგი უთუოდ სხვა იქნებოდა. მოთამაშეები კი ვახსენეთ, მაგრამ ამისთვის ისინი მწვრთნელებს უნდა მოემზადებინათ. იყო ეპიზოდები, როცა მორკინალები უპირატესობას ქმნიდნენ და თითქოს ლელოს გატანასაც ზედახორიდან ბურთის გამოტანა და გაშლა სჭირდებოდა, მაგრამ... უცნაური იყო ისიც, რომ ხშირად საკუთარი 22-დან, მორაგბე, იმის ნაცვლად, რომ ბურთი სახიფათო ზონისთვის მოეცილებინა და შეტევაში ამის მერე ჩართულიყო, იქიდანვე იწყებდა შეტევას. ალარაფერს ვიტყვით ჯარიმებზე. რამდენჯერმე ხომ სულ ტყუილად დავჯარიმდით, ზურაბ მჭედლიშვილიც "ტყუილად" გააგდო მსაჯმა ათი წუთით მოედნიდან.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მიხეილ ბურძგლამ თქვა, ტაქტიკური ხარვეზები გვქონდა და ამიტომ დავმარცხდითო. კიდევ იმიტომ, რომ გამოუცდელები ვიყავითო. "ძნელია, როცა ახალი გუნდის ფორმირებას იწყებ. ასეთ დროს დიდი პრეტენზიები არ უნდა გქონდეს გამარჯვებაზე. დღეს ბევრი ახალი მოთამაშე ვნახეთ, კიდევ ვნახავთ და საბოლოოდ ჩამოგვიყალიბდება აზრი მათ შესახებ. გუნდში უნდა იყოს ახალგაზრდათა და ლეგიონერთა სინთეზი. მარტო ახალგაზრდებით შორის ვერ წავალთ. ჩვენ გვაქვს პოტენცია, ვითამაშოთ კარგი რაგბი", - განაცხადა ბურძგლამ.

ასეც არის. ახალი გუნდის ჩამოყალიბება ყოველთვის ძნელია. ერთი მარცხის გამო არც ვაი-ვიშის ატეხვა ღირს. უბრალოდ, საწყენია, როცა მოგების შანსი გაქვს და ხელიდან უშვებ.

ბოლოს ორი სიტყვა სტადიონის დაცვაზე უნდა ვთქვათ. პრესკონფერენციაზე მიმავალ ჟურნალისტებს რომ გვაჩერებენ და გვეკითხებიან, საით მიდიხართ და რატომო, პორტუგალიელთა გასახდელში ვინ შედის, იმას რატომ არ კითხულობენ? არ შეიძლება, ყოველთვის ერთი და იგივე მეორდებოდეს – მეტოქეს გასახდელში უვარდებოდნენ და ათასგვარ რაღაცას სთხოვდნენ, ფორმით დაწყებული და თავსახვევით დამთავრებული. ფორმასაც გააჩნია. ულამაზო და დამამცირებელია ეს ყოველივე.



საქართველოს ნაკრებს ვერც პრეზიდენტის გულშემატკივრობამ უშველა




ფეხბურთი

# "დინამო" განახევრდა

**საქართველოს ჩემპიონის მეორე მარცხი**

მიხეილ აბაიშვილი

*კვიპროსის ქალაქ აიანაპაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი თბილისის "დინამო" აგრძელებს საგაზაფხულო სეზონისთვის მზადებას. 14 თებერვალს საქართველოს ჩემპიონმა გამართა მორიგი საკონტროლო მატჩი, რომელშიც რუსეთის პრემიერლიგის გუნდმა, იაროსლავლის "შინიკმა" გაუწია მეტოქეობა.*

**დინამო – შინიკი 2:4 (1:0)**

"დინამომ" ზედიზედ მეორე მარცხი განიცადა, თუმცა, კლუბის პრეს-ატაშის, ლევან სალუქვაძის თქმით, თანამეგობრობის ტურნირის გამარჯვებულს ურიგოდ არ უთამაშია და რიგ შემთხვევებში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე მისი მეტოქე.

შუშაკმა ამ შეხვედრაში ტრადიციული, 3-5-2 ტაქტიკური განლაგება გამოიყენა. მატჩი ქართველი ფეხბურთელების საგრძნობი უპირატესობით დაიწყო. მე-12 წუთზე "დინამომ" ანგარიში გახსნა: ნემსაძემ ფლანგურ გარღვევაზე გაიყვანა კვირკველია, რომლის ჩაწოდებული ბურთიც "შინიკის" საჯარიმოს ხაზთან მელქაძემ მახვილგონივრულად გაატარა, გადაცემის საბოლოო ადრესატმა, ანჩაბაძემ კი ძლიერი დარტყმით საკუთარი გუნდი დააწინაურა. შეხვედრის პირველ ნახევარში მელქაძეს, რომელიც ანჩაბაძემ მეტოქის მეკარესთან პირისპირ დატოვა, შეეძლო, ანგარიშში სხვაობა ორამდე გაეზარდა, მაგრამ მეკარემ მისი დარტყმა მოიგერია.

რუსებმა პირველი საპასუხო გოლი მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაიტანეს. 47-ე წუთზე "დინამოს" საჯარიმოს მისადგომებთან დაინიშნა ჯარიმა და, მართალია, გვარამაძემ პირველი დარტყმა მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას რუბინმა დაასწრო და თანაფარდობა აღადგინა.

მიღებული გოლის შემდეგ ისევ დინამოელები გააქტიურდნენ. 62-ე წუთზე ქართულ კლუბში სინჯებზე მყოფი ბრაზილიელი ჯეფერსონი დარჩა "რუბინის" მეკარესთან პირისპირ, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. 5 წუთის შემდეგ კი იგივე ჯეფერსონი ნემსაძის პასით რუსების საჯარიმოში შეიჭრა, თუმცა, დარტყმის ნაცვლად ბურთი ქუსლით იაშვილს დაუტოვა, რომელსაც ამ მანევრით დაბნეული მეტოქის დაცვამ ხელი ვეღარ შეუშალა – "დინამოს" თავდამსხმელმა მეკარეც მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

74-79 წუთებს შორის "დინამოს" დაცვითი ხაზი, პრაქტიკულად, "ჩავარდა". ამ ხუთწუთიან მონაკვეთში "შინიკის" ფეხბურთელებმა 3 უპასუხო გოლი გაიტანეს და, პრაქტიკულად, გადაწყვიტეს კიდეც მატჩის ბედი.

დარჩენილ დროში დინამოელებსაც შეექმნათ საგოლე მომენტები, მაგრამ იაშვილმა და ჰომერომ ხელსაყრელი პოზიციებიდან გოლის გატანა ვერ მოახერხეს.

ივო შუშაკი: "თუ ჩვენს მიერ კვიპროსზე ჩატარებულ წინა საკონტროლო შეხვედრებს გავიხსენებ, შემიძლია ვთქვა, რომ "შინიკთან" ყველაზე კარგი თამაში ვაჩვენეთ. პირველ ტაიმში, როდესაც ძირითადი გუნდით გამოვდიოდით, მიუხედავად იმისა, რომ "შინიკი" ძალიან კარგი გუნდია, მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ. სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩემი ფეხბურთელის უხეშმა შეცდომამ "დინამოს" თამაშის ადეკვატური შედეგი ვერ უზრუნველყო. მეორე ტაიმში განსაკუთრებით უსახურად გამოიყურებოდნენ მარცხენა ფლანგის ფეხბურთელები. ამ თამაშმა დამანახა, რომ თადარიგის ზოგიერთი ფეხბურთელის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი ძალიან მცირეა."

გუშინ "დინამო" პრაქტიკულად განახევრდა. გუნდის 10 ფეხბურთელი (გვარამაძე, მამალაძე, წერეთელი, შაშიაშვილი, ნემსაძე, გოგობერიშვილი, კვირკველია, ახალაია, მელქაძე, იაშვილი) გაემგზავრა ლიმასოლში, სადაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეუერთდა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები, რომელიც ისევ უმწვრთნელოდაა, 18 თებერვალს ჩაებმება კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში, სადაც ჩვენი პირველი მეტოქე იქნება რუმინეთის ეროვნული გუნდი. რაც შეეხება ახალ მთავარ მწვრთნელს, მის ვინაობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანია დღეს დაასახელებს. ამ პოსტის მაძიებელი ორი კანდიდატი დარჩა: უკრაინელი ანატოლი ბიშოვეცი და ფრანგი ალან ჟირესი.

"დინამო" კი წამყვანი ფეხბურთელების გარეშე აგრძელებს მზადებას. ხვალ შუშაკის გუნდი მორიგ, მე-5 სპარინგ-მატჩს გამართავს. მისი მეტოქე ჩეხეთის პირველი ლიგის ერთ-ერთი კლუბი იქნება.

TV–სპორტი

**ორშაბათი 16 თებერვალი.**

**НТВ + ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ბობ ლანე
08:00 NBA TV. დიდი თამაშები. წელი 1992. "ყველა ვარსკვლავთა" მატჩი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 გერმანიის ჩემპიონატი
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 იტალიის ჩემპიონატი
19:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. "ბენფიკა" – "პორტუ"
20:45 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:30 სახვალიო ტელეპროგრამა
21:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:20 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:15 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი. მე-3 ტური
01:15 იტალიის ჩემპიონატი. "ლეჩე" – "მილანი"
03:00 03:00-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. ყველა ვარსკვლავთა მატჩი

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:15, 17:00, 19:45 პრესცენტრი
11:15, 23:30 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 საჭადრაკო მიმოხილვა
12:15 კოსიკი კარატე. რუსეთის ჩემპიონატი
14:30 მძლეოსნობა. ევროპის თასი გერმანიაში
17:15 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
18:00 "NHL – პლუს"
18:15 "რკინის ფაქტორი" – "Iron Man-2003"
18:55 ბოულინგი. PBA Tour სპრინგფილდში. (აშშ)
20:00 კალათბურთი. NBA-ს ყველა ვარსკვლავთა მატჩი
23:00 "ორშაბათამდე მივატანთ"
23:35 სახვალიო ტელეპროგრამა
23:45 დიდი რინგი. პროგრამა პროფესიულ კრივზე. შესვენებისას (01:00) – ახალი ამბები
02:00 "NHL – პლუს"
02:15 "რკინის ფაქტორი" – "Iron Man-2003"

**EUROSPORT**
11:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი გერმანიაში
12:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
13:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი საფრანგეთში
14:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
15:30 მძლეოსნობა. ჭერქვეშა ევროპის თასი. გერმანია
17:00 ველოსპორტი. მსოფლიო თასი ტრეკზე მოსკოვში
18:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
21:15 ფეხბურთი. ევროგოლები
22:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
23:00 მულტისპორტი
23:30 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
01:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
01:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
02:15 ფეხბურთი. ევროგოლები
03:15 ახალი ამბები
03:30 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
03:45 მულტისპორტი
04:15 ახალი ამბები

ველოსპორტი

# მარკო პანტანის მოულოდნელი აღსასრული

ნინო პირველი

14 თებერვალი - სიყვარულისა და სილამაზის დღე საბედისწერო აღმოჩნდა ველოსპორტის იტალიელი ვარსკვლავის, მარკო პანტანისთვის. 14 თებერვალს, ადგილობრივი დროით 21 საათსა და 30 წუთზე, რიმინის სასტუმრო "ლე როზეს" მომსახურე პერსონალმა მარკო პანტანი მკვდარი იპოვა ნომერში. როგორც სასტუმროს ხელმძღვანელობა აცხადებს, პანტანი მათთან 9 თებერვალს მივიდა და ოთახი მოითხოვა. სასტუმრო "ლე როზე" ულამაზეს ადგილას, ვიალე ელენაზე მდებარეობს, ზედ ადრიატიკის ზღვის პირას. თხუთმეტიოდე კილომეტრითაა დაშორებული პანტანის მშობლიურ დასახლება ჩეზენატიკოდან. "ლე როზეს" ზამთარზაფხულ მუდამ ბევრი სტუმარი ჰყავს. ამის მიუხედავად, "ტურ დე ფრანსისა" და "ჯიროს" გამარჯვებული მარკო პანტანი მაინც იმდენად საპატიო სტუმარი იყო მომსახურე პერსონალისთვის, რომ მას ყველა დიდ ყურადღებას აქცევდა. 14 თებერვალს, პანტანი საღამომდე რომ არ გამოჩნდა, მომსახურე პერსონალი შეშფოთდა. განგაში პორტიემ ატეხა. ის ამტკიცებდა, რომ იმ დღეს "ელეფანტინო" საერთოდ არ ჩამოსულა ქვევით. დილის ათ საათზე დამლაგებელმა ქალმა კარზე დაუკაკუნა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. უკანასკნელად პანტანი 13 თებერვლის საღამოს ნახეს რიმინის კალათბურთის კლუბის უცხოელმა მოთამაშეებმა, რომელთაც ველომრბოლი ხელის აწევით მიესალმა. ამის შემდეგ პანტანისთვის თვალი აღარავის მოუკრავს. სასტუმროს შეფიქრიანებული პერსონალი მეხუთე სართულზე ავიდა და პანტანის კარზე მიუკაკუნა. პორტიემ გაღება სცადა. კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი. ბოლოს, როგორც იქნა, ნომერში შეაღწიეს. პანტანი გარდაცვლილი იყო. რა თქმა უნდა, მაშინვე გამოუძახეს პოლიციას, რომელმაც უცებ გამორიცხა მკვლელობის ვერსია. ვერც ალკოჰოლის გადაჭარბებული დოზით მიღება დაადგინეს და ვერც სხეულზე იპოვეს რაიმე დაზიანება. ერთადერთი, რასაც მიაგნეს, ანსიოლიტის ნარჩენები იყო. ამ პრეპარატის დიდი ოდენობით მიღება, მართლაც, იწვევს სიკვდილს. პოლიციამ ვერც ოთახში იპოვა რაიმე ხელჩასაჭიდი სამხილი. პანტანის ხელნაწერებს კი მიაგნეს, მაგრამ, როგორც ამტკიცებენ, მათ სპორტსმენის სიკვდილთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ასე რომ, პანტანის უეცარი გარდაცვალების მიზეზი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. სამშაბათს ცხედარს აუტოფსიას ჩაუტარებენ.



პანტანის სიკვდილის მიზეზი ჯერ დაუდგენელია

შუაღამე გადასული იყო, როცა სასტუმროში პანტანის და, მანოლა მოვიდა. ის ძალიან გააღიზიანა სასტუმროს ტერიტორიაზე და მის გარეთ უამრავი ჟურნალისტისა და ფოტოკორესპონდენტის ხილვამ. "წადით აქედან, წადით!", - ყვიროდა მანოლა და ყოველგვარ კომენტარზე უარს აცხადებდა. 1 საათსა და 25 წუთზე პანტანის ცხედარი რიმინის საავადმყოფოში გადაასვენეს. სასტუმროში შეკრებილმა ორასამდე კაცმა ველომრბოლი ტაშით გააცილა. ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორებმა დაასკვნეს, რომ პანტანი 14 თებერვალს, 17 საათზე გარდაიცვალა. "ეს იმდენად საშინელი ამბავია, რომ ვერც კი ვიჯერებ. პანტანის კარგად არ ვიცნობდი, მასთან ურთიერთობა ადვილი არ იყო. რთული პიროვნება გახლდათ. ამის მიუხედავად, ხალხს ძალიან უყვარდა. ბევრ გულშემატკივარს ახსოვდა, ხშირად გვეკითხებოდნენ, როდის დაბრუნდებოდა ისევ ველოსპორტში. სიტყვები არ მყოფნის ჩემი მწუხარების გამოსახატავად", - თქვა იტალიის ველოსპორტის ასოციაციის თავმჯდომარემ ფრანკო ბალერინიმ. "გაოგნებული ვარ. ეს დიდი ტრაგედიაა. ძალიან ვწუხვარ, ნამდვილად ძალიან ვწუხვარ", - ეს მარიო ჩიპოლინის სიტყვები გახლავთ. "არ ვიცი, ბოლო ხანებში ფიზიკურად როგორ გრძნობდა თავს, მაგრამ ვატყობდი, რომ ფსიქიკურად ძალიან იყო შეცვლილი. ბოლოს შარშან ვნახე, ჯიროზე. მის ამბებს გაზეთებიდან ვიგებდი. ძალიან ძლიერი იყო, მაგრამ ამავე დროს საოცრად მგრძნობიარე. ამიტომაც ვერ გაუძლო ამდენ უსიამოვნებას", - ნაღვლიანად შენიშნა სტეფანო გარძელიმ.

მარკო პანტანის, მართლაც, მძიმე ცხოვრება ჰქონდა. შესანიშნავი სპორტსმენი იყო და კარიერის მანძილზე 36 გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ სიხარულზე მეტი მაინც მწუხარება ნახა. 1998 წელს ჯერ ჯირო მოიგო, შემდეგ კი - ტურ დე ფრანსი. 1999 წელსაც ბევრს ელოდნენ მისგან, მაგრამ დოპინგ-კონტროლზე ჩავარდა და დისკვალიფიკაცია მიიღო. მის წინააღმდეგ სასამართლოშიც კი აღიძრა საქმე სპორტული ტყუილის გამო. ცოტა მოგვიანებით ზუსტად ასეთივე უსიამოვნება შეემთხვა გერმანელ იან ულრიხსაც, მაგრამ, პანტანისგან განსხვავებით, ულრიხმა ყველაფერს გაუძლო და დიდ სპორტში დაბრუნება შეძლო. პანტანის კი ამდენი ძალა არ აღმოაჩნდა. დიდი სურვილის მიუხედავად, მან ვერ მოახერხა კრიზისის გადალახვა. გასულ წელს ჯიროზე კი მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ყველამ დაინახა, რომ ეს უკვე აღარ იყო უწინდელი პანტანი. "ელეფანტინო" ველარ დაბრუნდა. იან ულრიხმა დისკვალიფიკაციის შემდეგ ტურ დე ფრანსზე მეორე ადგილი დაიკავა, პანტანი კი დევნის მანიით დაავადდა. ეჩვენებოდა, რომ გამუდმებით ვიღაც დასდევდა, ვიღაცას მისი ლიკვიდაცია სურდა. ამას დეპრესიაც დაერთო და პანტანი პადუას ფსიქიატრიულ კლინიკაში აღმოჩნდა. თითქოს მკურნალობამ წარმატებით ჩაიარა, ტურნირებზეც ფიქრობდა, მაგრამ კარიერაც და სიცოცხლეც ნაადრევად შეწყდა. პანტანი 34 წლისა გარდაიცვალა. ასე მოულოდნელად დასრულდა იტალიური ველოსპორტის ერთ-ერთი ვარსკვლავის ხანმოკლე ცხოვრება.

# "საოჯახო ტოტო"-ს 14 თებერვლის №46 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 000048 | 1,5 | 003165 | 1,0 | 006282 | 1,0 | 009131 | 3,5 | 012182 | 15,0 | 015210 | 1,5 | 018416 | 2,0 | 021567 | 2,0 | 024687 | 1,0 | 027655 | 1,5 | 030629 | 1,0 | 033619 | 3,0 | 036454 | 2,0 | 039326 | 6,0 | 042117 | 7,0 | 045418 | 1,5 |
| 000081 | 3,5 | 003170 | 1,0 | 006297 | 1,5 | 009143 | 3,5 | 012238 | 30,0 | 015230 | 1,0 | 018468 | 2,5 | 021573 | 1,0 | 024702 | 4,5 | 027667 | 10,0 | 030674 | 4,5 | 033624 | 7,0 | 036473 | 3,0 | 039328 | 1,5 | 042123 | 6,0 | 045427 | 2,5 |
| 000091 | 1,0 | 003176 | 1,5 | 006305 | 2,0 | 009170 | 1,5 | 012285 | 3,5 | 015233 | 1,0 | 018472 | 3,5 | 021595 | 2,5 | 024703 | 1,5 | 027690 | 1,5 | 030676 | 1,5 | 033628 | 1,0 | 036477 | 1,0 | 039359 | 2,5 | 042162 | 4,5 | 045440 | 1,0 |
| 000120 | 1,0 | 003191 | 15,0 | 006321 | 2,0 | 009194 | 3,0 | 012338 | 1,0 | 015309 | 2,5 | 018503 | 3,0 | 021604 | 1,0 | 024723 | 1,5 | 027707 | 25,0 | 030721 | 2,0 | 033634 | 2,0 | 036484 | 1,0 | 039365 | 2,5 | 042181 | 1,0 | 045442 | 3,0 |
| 000135 | 12,5 | 003204 | 1,0 | 006329 | 1,0 | 009225 | 4,5 | 012352 | 2,5 | 015311 | 1,5 | 018504 | 2,0 | 021606 | 3,0 | 024735 | 1,0 | 027714 | 4,0 | 030727 | 1,0 | 033641 | 1,5 | 036486 | 2,5 | 039443 | 3,5 | 042184 | 2,0 | 045467 | 1,0 |
| 000161 | 2,0 | 003229 | 2,0 | 006331 | 1,5 | 009275 | 1,5 | 012359 | 1,5 | 015354 | 1,0 | 018514 | 3,0 | 021618 | 2,0 | 024737 | 1,5 | 027723 | 1,5 | 030729 | 2,0 | 033651 | 4,0 | 036490 | 1,5 | 039469 | 1,5 | 042238 | 1,0 | 045473 | 2,0 |
| 000180 | 2,0 | 003245 | 2,0 | 006340 | 1,5 | 009299 | 1,5 | 012367 | 4,0 | 015357 | 1,5 | 018521 | 2,0 | 021621 | 3,0 | 024776 | 15,0 | 027726 | 1,5 | 030748 | 1,0 | 033660 | 1,5 | 036499 | 5,0 | 039488 | 1,0 | 042256 | 2,0 | 045483 | 2,0 |
| 000193 | 1,0 | 003313 | 1,5 | 006351 | 2,0 | 009331 | 2,0 | 012380 | 7,0 | 015453 | 3,5 | 018522 | 1,5 | 021643 | 5,0 | 024777 | 1,0 | 027756 | 1,5 | 030759 | 2,5 | 033679 | 2,5 | 036502 | 1,0 | 039491 | 1,5 | 042261 | 2,0 | 045488 | 3,0 |
| 000245 | 1,5 | 003320 | 1,5 | 006395 | 2,5 | 009332 | 2,5 | 012381 | 4,0 | 015456 | 1,5 | 018530 | 4,0 | 021679 | 1,0 | 024801 | 1,5 | 027780 | 4,5 | 030770 | 7,0 | 033704 | 3,5 | 036547 | 1,5 | 039513 | 6,0 | 042289 | 1,5 | 045496 | 1,5 |
| 000266 | 2,0 | 003322 | 1,0 | 006413 | 1,5 | 009340 | 4,5 | 012386 | 2,5 | 015465 | 1,0 | 018584 | 2,5 | 021682 | 1,5 | 024808 | 3,5 | 027796 | 4,5 | 030793 | 1,0 | 033728 | 1,5 | 036552 | 1,0 | 039541 | 1,5 | 042339 | 2,0 | 045521 | 1,5 |
| 000284 | 2,0 | 003325 | 1,0 | 006423 | 5,0 | 009348 | 3,5 | 012405 | 2,0 | 015479 | 12,5 | 018587 | 1,5 | 021683 | 1,5 | 024811 | 1,5 | 027802 | 2,0 | 030797 | 1,5 | 033735 | 2,0 | 036555 | 2,0 | 039568 | 1,0 | 042350 | 10,0 | 045553 | 2,5 |
| 000294 | 2,5 | 003327 | 1,0 | 006447 | 1,0 | 009373 | 1,5 | 012408 | 9,0 | 015511 | 1,5 | 018607 | 1,0 | 021684 | 1,5 | 024812 | 1,5 | 027812 | 5,0 | 030816 | 1,0 | 033737 | 2,0 | 036561 | 2,5 | 039581 | 2,0 | 042373 | 10,0 | 045584 | 2,0 |
| 000335 | 1,5 | 003329 | 4,0 | 006459 | 1,5 | 009374 | 2,0 | 012415 | 2,0 | 015514 | 2,5 | 018650 | 1,0 | 021707 | 20,0 | 024851 | 4,0 | 027814 | 2,0 | 030836 | 1,0 | 033740 | 2,0 | 036590 | 3,0 | 039638 | 3,5 | 042412 | 2,5 | 045596 | 1,5 |
| 000339 | 1,0 | 003347 | 2,0 | 006460 | 2,0 | 009389 | 1,0 | 012420 | 1,5 | 015556 | 1,5 | 018687 | 1,5 | 021709 | 2,5 | 024852 | 2,0 | 027828 | 1,5 | 030860 | 2,5 | 033756 | 2,0 | 036598 | 2,5 | 039641 | 1,5 | 042429 | 3,5 | 045605 | 3,0 |
| 000351 | 2,0 | 003391 | 1,0 | 006484 | 3,0 | 009394 | 1,0 | 012438 | 4,5 | 015576 | 4,5 | 018773 | 2,5 | 021752 | 2,0 | 024855 | 1,5 | 027851 | 2,0 | 030877 | 1250,0 | 033759 | 30,0 | 036629 | 3,0 | 039662 | 2,5 | 042470 | 1,5 | 045619 | 2,0 |
| 000375 | 1,5 | 003392 | 1,0 | 006516 | 1,0 | 009405 | 2,5 | 012454 | 1,0 | 015586 | 2,0 | 018774 | 1,5 | 021758 | 1,0 | 024907 | 1,5 | 027918 | 4,0 | 030891 | 1,0 | 033787 | 1,0 | 036661 | 1,5 | 039663 | 3,5 | 042525 | 7,0 | 045625 | 1,5 |
| 000426 | 6,0 | 003422 | 1,5 | 006537 | 1,0 | 009411 | 4,5 | 012465 | 2,0 | 015589 | 1,5 | 018776 | 10,0 | 021772 | 1,5 | 024919 | 5,0 | 027922 | 3,5 | 030901 | 2,0 | 033830 | 1,5 | 036664 | 1,0 | 039682 | 1,5 | 042553 | 3,0 | 045666 | 4,5 |
| 000431 | 7,0 | 003428 | 1,5 | 006549 | 2,0 | 009416 | 2,5 | 012480 | 1,5 | 015597 | 1,0 | 018777 | 2,0 | 021782 | 2,0 | 024921 | 4,5 | 027949 | 1,0 | 030902 | 5,0 | 033857 | 3,5 | 036673 | 2,0 | 039695 | 1,5 | 042602 | 1,0 | 045688 | 2,0 |
| 000449 | 1,0 | 003459 | 1,5 | 006551 | 3,5 | 009427 | 5,0 | 012487 | 5,0 | 015620 | 4,5 | 018801 | 1,0 | 021799 | 2,0 | 024931 | 3,0 | 027961 | 3,5 | 030919 | 4,5 | 033860 | 1,5 | 036701 | 2,0 | 039720 | 2,0 | 042606 | 1,0 | 045702 | 1,5 |
| 000494 | 7,0 | 003466 | 3,5 | 006578 | 1,5 | 009451 | 7,0 | 012510 | 3,5 | 015621 | 1,0 | 018886 | 1,0 | 021816 | 2,5 | 024942 | 2,0 | 027965 | 1,0 | 030927 | 1,0 | 033877 | 7,0 | 036708 | 1,0 | 039760 | 1,5 | 042622 | 2,0 | 045741 | 2,0 |
| 000498 | 1,5 | 003486 | 1,0 | 006603 | 1,0 | 009454 | 1,5 | 012546 | 1,5 | 015630 | 5,0 | 018893 | 1,0 | 021831 | 1,0 | 024950 | 1,0 | 027984 | 1,5 | 030970 | 7,0 | 033955 | 1,5 | 036717 | 1,0 | 039782 | 3,0 | 042623 | 4,0 | 045747 | 4,0 |
